№3-4
2001

975/2
2001

# ბურჯი ეროვნებისა



ეროვნული ბიბლიოთეკა

ბესარიონ ჟორჟენაძის საზოგადოების ჟურნალი

მთავარი რედაქტორი და გამომცემელი
გიორგი გოგოლაშვილი

რედაქტორები:
ციცინო (ნინო) კვანტალიანი,
მარინე კიკონიშვილი,
რუსუდან ლანდია,
ნანა ლოლაძე,
რამაზ ქურდაძე,
ნინო ჭუმბურიძე.

მხატვრული რედაქცია და დიზაინი
ირაკლი ბგალიანისა

მხატვარი
გია ლაშხი

კონსულტანტი
იოსებ ჭუმბურიძე

სარედაქციო საბჭო:
მარინე ბერიძე,
გენადი ბურჯულაძე,
ლეილა გეგუჩაძე,
კახა გაბუნია,
თორნიკე გოგოლაშვილი,
ლილი გოქსაძე,
ქეთევან დათუკიშვილი,
ირინე დემეტრაძე,
ნანა ურთაშვილი,
ჭაბუკა ქირია,
მიხეილ ქურდიანი,
ლევან ლეინჯილია,
ინგა ლუტიძე,
გიორგი წიბახაშვილი,
თამაზ ხმალაძე,
ნინო ჯორბენაძე.

დირექტორი
მირიან ხაჭვანი

რეგისტრირებულია ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოს მიერ 12.04.99. № 4/9-88.
მისამართი:
პ. ინგოროყვას ქ. №8
ტ. 99-75-48

ინდექსი 76016

ჟურნალის ელექტრონული ვერსია იხილეთ ინტერნეტგაზეთში
www.TABLO.ge



უძველესი ქართული წარწერა ნეკრესიდან

იხილეთ გვერდი 6-7.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბურჯი ეროვნებისა

BURJI EROVNEBISA

№ 3-4 (40)

2001



უმთავრესი ბურჯი ეროვნებისა გახლავთ სამშობლო ენა.

იაკობ

გამოდის თვეში ერთხელ

ფასი 1 ლარი

## შინაარსი

### ვარლამ თოფურია — 100

ვ. თოფურიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი თარიღები ........ 2
ე. ბაბუნაშვილი – ლეგენდარული მეცნიერი, პიროვნება ........ 3
ლ. ჭეიშვილი – „... საშვილიშვილოდ გარდაეცემის" ........ 5

### მწიგნობრობა ქართული

ლ. ჭილაშვილი - წინაქრისტიანული ხანის ქართული წარწერა ნეკრესიდან ........ 7

### სახელმწიფო ენა

ხ. თოდუა – მომავალ თოთხმეტ აპრილამდე ........ 9

### დედაენა

ნ. ჯორბენაძე – სწორია... 11

### უკომენტაროდ

უპირველესია დედაენის სიწმინდე ........ 11

### თვალსაზრისი

რ. ბერულავა – ევრისტიკული სიტყვაშემოკლება ........ 12

### სიტყვა ქართული

გ. ცოცანიძე – დღეღამის დროის დანაწილება მეცხვარეულ ლექსიკაში ........ 14

### ო, ენავ ჩემო!...

ფ. კარტოზია – ყური დავუგდოთ დიდ იაკობს ........ 16

### ქართულის მოამაგენი

ბ. წიფურია – ლუიჯი მაგაროტო – ქართული ლიტერატურის მკვლევარი ........ 17

### ჩვენი სკოლა

შ. ქურდაძე – მივხედოთ ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკას ........ 20
მ. ნებიერიძე – გურამ დოჩანაშვილის ორი მოთხრობა და ჩვენი წინადადება ........ 23

### აღიდგებს სული ჩემი უფალსა

ნ. ლამბაშიძე – რატომ ვივიწყებთ საკუთარს და ვითავისებთ უცხოს? ........ 25
ზრუნვა მიცვალებულთა სულთათვის ........ 30

### მილოცვა

გ. მაღრაძე – ბერმუხა ........ 34
იდღეგრძელეთ, ბატონო ნოდარ ........ 35

აბიტურიენტის გვერდი ........ 36

ახალი წიგნები ........ 10, 15, 34

გარეკანის პირველ გვერდზე: აღდგომა – პლაკატი ი. ბუბლიანისა;
მესამე და მეოთხე გვერდებზე: ბიბლიური თემები, ილუსტრაცია
გ. ტაბიძის ლექსისა „ძველი წისქვილი" – ნახატები გ. ლაშხისა.

საპარლამენტო ეროვნული ბიბლიოთეკა



# ვარლამ თოფურიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი თარიღები

**1901** წლის 8 იანვარს დაიბადა აბაშის რაიონის სოფ. ონტოფოში.

**1913-1918** წწ. სწავლობდა ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში.

**1918** წ. შევიდა თბილისის უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის საენათმეცნიერო დარგზე.

**1922** წ. წარჩინებით დაამთავრა უნივერსიტეტის კურსი და დატოვებულ იქნა ქართული ენის კათედრასთან პროფესორობისათვის მოსამზადებლად.

**1922-1923** წწ. იყო ბორჩალოს, ახალციხისა და ახალქალაქების მაზრებში მესხური, ჯავახური და ქართლური კილოების შესასწავლად.

**1923-1928** წწ. მუშაობდა ლექტორად თბილისის ცენტრალურ პედაგოგიურ ინსტიტუტში.

**1924** წ. ჩააბარა სადოქტორო გამოცდები.

**1925-1928** წწ. სწავლობდა სვანურ ენას.

**1929-1932** წწ. იყო ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების მდივანი.

**1930** წ. დაამტკიცეს უნივერსიტეტის დოცენტად.

**1933-1934** წწ. იყო დაღესტანში ლაკური ენის შესასწავლად.

**1933-1936** წწ. იყო (შეთავსებით) რუსთაველის სახ. ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების ინსტიტუტის (ელხი) ჯერ სწავლული მდივანი, შემდეგ კი ლექსიკოლოგიის სექციის ხელმძღვანელი.

**1933-1938** წწ. განაგებდა ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში ქართული ენის კათედრას.

**1935** წ. დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „სვანური ენა. I. ზმნა". მიენიჭა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

**1935** წ. დაინიშნა თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ, სადაც ამავე დროს განაგებდა ქართული ენის კათედრასაც.

**1936** წ. დაამტკიცეს პროფესორად.

**1936-1941** წწ. განაგებდა ენიმკი-ს ლექსიკოლოგიის განყოფილებას.

**1938** წ. თბილისის უნივერსიტეტის დაარსების 20 წლისთავთან დაკავშირებით დაჯილდოვდა საქართველოს ცაკ-ის სიგელით.

**1939-1940** წწ. დაღესტნის პედაგოგიური ინსტიტუტის მიწვევით წაიკითხა ლაკური ენის კურსი.

**1941-1943** წწ. მუშაობდა ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ.

**1941-1960** წწ. მუშაობდა აკად. ნ. მარის სახ. ენის (შემდგომ ენათმეცნიერების) ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილების გამგედ.

**1943-1949** წწ. იყო ნ. მარის სახ. ენის ინსტიტუტის დირექტორი.

**1944** წ. აირჩიეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად.

**1944** წ. დაჯილდოვდა მედლით „კავკასიის დაცვისათვის".

**1945-1966** წწ. განაგებდა თბილისის სახელმწ. უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრას.

**1946** წ. მიენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

**1946** წ. დაჯილდოვდა შრომის წითელი დროშის ორდენით.

**1946** წ. დაჯილდოვდა მედლით: „მამაცური შრომისათვის 1941-1945 წწ. დიდ სამამულო ომში".

**1948-1963** წწ. იყო თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს I, II, III, IV, V, VI, VII და VIII მოწვევათა დეპუტატი.

**1951-1952** წწ. განაგებდა ქართული ენის კათედრას გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში.

**1952** წ. დაჯილდოვდა ლენინის ორდენით.

**1965** წ. გადაეცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელი.

**1965** წ. დაჯილდოვდა იაკობ გოგებაშვილის მედლით.

**1966** წ. დაჯილდოვდა საპატიო ნიშნის ორდენით.

**1966** წ. 21 აგვისტოს გარდაიცვალა.

**1968** წ. დაჯილდოვდა თბილისის უნივერსიტეტის დაარსების 50 წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო მედლით.

**1971** წ. მიენიჭა საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემია.

აკადემიკოს ვარლამ თოფურიას დაბადებიდან 100 წელი შეუსრულდა. საიუბილეო კომისიის (თავმჯდომარე აკადემიკოსი როინ მეტრეველი) გადაწყვეტილებით დიდი მეცნიერისა და მოღვაწისადმი მიძღვნილი საიუბილეო ღონისძიებები 2001 წლის მაისში გაიმართება. „ბურჯი ეროვნებისა" მოკრძალებით ეხმიანება ამ თარიღს და პატივს მიაგებს ქართული ენათმეცნიერების ერთ-ერთ მესაძირკვლეს.

ამჯერად ჩვენი ჟურნალის სტუმარია თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრის გამგე, ბატონი ვარლამის მოწაფე და მისი საქმის ერთგული გამგრძელებელი პროფესორი ელენე ბაბუნაშვილი



# ლეგენდარული მეცნიერი, პიროვნება

**– აკადემიკოს ვარლამ თოფურიას 100 წელი შეუსრულდა. დღევანდელი გადასახედიდან როგორ შეაფასებდით ბატონი ვარლამის ღვაწლს ქართული ენის, ქართული მეცნიერების წინაშე.**

– აკადემიკოს ვარლამ თოფურიას მრავალმხრივი და ნაყოფიერი მეცნიერული მოღვაწეობის, ნათელი აზროვნების, უშრეტი ენერგიის, განსაკუთრებული პედაგოგიური ნიჭის, ქართული ენისა და ქართული მეცნიერების წინაშე მისი ღვაწლის აღიარება ბევრი მისი თანამოაზრის, კოლეგისა თუ მოწაფის გამონათქვამებში აირეკლა და არაერთხელ. ამიტომ ძნელია გამეორების თავიდან აცილება. თუმცა მთავარი, ვფიქრობთ, მაინც ის არის, რომ ბ-ნი ვარლამი ქართული ენის სათავეებთან იდგა თავის სახელმოხვეჭილ თანამოაზრეებთან ერთად და ერთ-ერთი იმათგანია, ვინც ქართული ენათმეცნიერება მსოფლიო სარბიელზე გაიყვანა. უთუოდ ეს არის მიზეზი იმისა, რომ მის ნაშრომებს არა მარტო არ დაუკარგავს მნიშვნელობა, არამედ დღესაც ქართველ (და არა მარტო ქართველ) ენათმეცნიერთა სამაგიდო წიგნების რიცხვს ეკუთვნის და ენათმეცნიერული აზრის სიღრმისა და ფართო პერსპექტივების წარმოჩენის ნიმუშს წარმოადგენს. მისი მეცნიერული მოღვაწეობის განხილვა ამჟამად ჩემს მიზანს არ შეადგენს, მაგრამ იმის აღნიშვნა მაინც საჭიროა, რომ ბ-ნი ვარლამი არა მარტო ქართული და, საერთოდ, ქართველური ენათმეცნიერების უმნიშვნელოვანეს პრობლემებს იკვლევდა და წყვეტდა, არამედ კავკასიური ენების კვლევაშიც აქტიურად იყო ჩაბმული და არაერთი ნაშრომი დაგვიტოვა ლაკური ენის გრამატიკული სტრუქტურის შესახებ იბერიულ-კავკასიურ ენათა ურთიერთობის ჭრილში ზოგადენათმეცნიერული თვალსაზრისის მომარჯვებით.

**– სამწუხაროდ, ჩვენ არ გვხვდა წილად ის ბედნიერება, პირადად გვეცნობოდა ბ-ნი ვარლამი. როგორ ფიქრობთ, რა დააკლდა იმ თაობას, ვინც ბ-ნი ვარლამს ვერ მოუსწრო; ანდა რა შეემატა იმ თაობას, ვინც ბ-ნი ვარლამის გვერდით გაიზარდა?**

– ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მე პირადად ძალიან მიჭირს. რა დააკლდა იმ თაობას, რომელიც ბ-ნ ვარლამს ვერ მოუსწრო? ალბათ ის, რაც საერთოდ ასე აკლია ამ თაობას: ყურადღება, მზრუნველობა, სითბო; ისეთი ადამიანის გვერდით ყოფნა, რომელიც სურვილს აღგიძრავს მიბაძო მას როგორც პიროვნებას, ადამიანს, აღმზრდელს, მეცნიერს.

**– ბატონი ვარლამისა და მისი თაობის უპირველესი საფიქრალი და საზრუნავი ქართული ენა იყო. თითქმის 35 წელია, რაც ბ-ნი ვარლამი გარდაიცვალა. როგორ ფიქრობთ, ამ ხნის მანძილზე ქართული ენის შესწავლის, სწავლებისა და მოვლა-პატრონობის საქმე მიდის იმ გზით, რომელსაც პირობითად ბატონი ვარლამისეული, მისი თაობისეული გზა შეიძლება ვუწოდოთ?**

– ჩვენდა საბედნიეროდ, ის, რაც ბატონი ვარლამისა და მისი თაობის მეცნიერების მთავარი საზრუნავი იყო – ქართული ენის სტრუქტურის კვლევა, მოვლა-პატრონობა და მისი სიწმინდის დაცვა, სწორედ იმ გზით წარიმართა, რა გზასაც იმ დროის ადგა. ის უნდა დავსძინოთ კვლავ, რომ ქართული და ქართველური ენების შესწავლის მეცნიერული საფუძვლების შექმნა და ამ საფუძვლებზე დაყრდნობით ამ ენების კვლევაც ბ-ნმა ვარლამმა და მისმა თაობის ენათმეცნიერებმა დაიწყეს და ბრწყინვალედ განახორციელეს კიდეც. ენათმეცნიერთა მომდევნო თაობებმა ამ მომდევნო 30 წლის განმავლობაში ამ კუთხითაც წარმატებით განაგრძეს კვლევა და ამ ხნის მანძილზე არაერთი მნიშვნელოვანი და საყურადღებო ნაშრომი გამოაქვეყნეს. სამწუხაროა, რომ ქართველ ენათმეცნიერებს რამდენიმე უაღრესად ნიჭიერი, განათლებული, მოაზროვნე ახალგაზრდა მკვლევარი გამოაკლდა, რომლებიც სწორედ ბ-ნი ვარლამის ხელდასხმულები იყვნენ და მეცნიერებაშიც და ცხოვრებაშიც ცდილობდნენ, არ ეღალატათ მისი პრინციპებისთვის.

**– ბატონი ვარლამის, როგორც პედაგოგისა და პიროვნების შესახებ ლეგენდებს ჰყვებიან. ეს ის მხარეა ადამიანის მოღვაწეობისა, რომელიც დროსთან ერთად დავიწყებას ეძლევა. ამიტომაც ვცემ პატივს მემუარულ ლიტერატურას; საჭიროდ მიმაჩნია სამაგალითო პიროვნებათა ამ კუთხით წარმოჩენა... ჩვენი მკითხველისთვის, ასე ვთქვათ, სახელდახელოდ რას გაიხსენებდით ბატონი ვარლამის შესახებ?**

– ჩემი აზრით, ის, რომ ადამიანის მოღვაწეობის გარკვეული მხარე დროთა განმავლობაში დავიწყებას ეძლევა, ყველას არ ეხება. არიან გამორჩეული ადამიანები, რომელთა გამორჩეული თვისებები დიდხანს ცოცხლობს ადამიანთა მეხსიერებაში. ასეთი იყო ბ-ნი



არნოლდ ჩიქობავა, აკაკი შანიძე, ვარლამ თოფურია

ვარლამიც, რომლის პიროვნების მომხიბლაობამ, დახვეწილმა და სათუთმა დამოკიდებულებამ კოლეგებისა და მოწაფეების მიმართ, სიკეთემ და განსაცვიფრებელმა დიდბუნებოვნებამ სამუდამო და ღრმა კვალი დატოვა ყველა მისი ყოფილი თანამშრომლისა თუ სტუდენტის გულში. თქვენ მართალი ბრძანებით, მას მართლაც ლეგენდარული თვისებები ახასიათებდა: ცნობილია, რომ ის სისტემსტურად ეხმარებოდა მატერიალურად გაჭირვებულ სტუდენტებსა და ასპირანტებს და, ბუნებრივია, ალბათ ბევრს იკლებდა და აკლებდა თავისი ოჯახის წევრებს (ნუ დაგავიწყდებათ, ეს იმ დროს ხდებოდა, როცა ჩვენში ჯერ კიდევ არ იყვნენ ე.წ. სპონსორები, რომლებიც, მაშინდელისგან განსხვავებით, მილიონებს ფლობენ, მაგრამ არც თუ ისე ადვილად იმეტებენ დახმარებას, თუ თვითონ რაიმე სარგებლობას არ ხედავენ).

გასაოცარი ტაქტით გამოირჩეოდა ბ-ნი ვარლამი ადამიანებთან ურთიერთობისას. არავის ახსოვს, რომ ბ-ნ ვარლამს ვინმეს მიმართ ხმა აემაღლებინოს ოდესმე. ყოველთვის უაღრესად თავაზიანი, მშვიდი, კეთილგანწყობილი უხებლიეთ ასეთსავე დამოკიდებულებას, უღრეს მოკრძალებასა და მოწიწებას იწვევდა მისაუბრეშიც.

გასაოცარი იყო აგრეთვე ის ყურადღება, რომელსაც იჩენდა ბ-ნი ვარლამი სტუდენტების, ასპირანტების და ახალგაზრდა კოლეგების სამეცნიერო მუშაობის მიმართ. არც ერთი დისერტაცია, ავტორეფერატი, მოხსენება, სტატია, მოხსენების თეზისებიც კი არ რჩებოდა მისი ყურადღების მიღმა: უამრავ დროსა და ენერგიას ანდომებდა ამ საქმეს და, რაც მთავარია, მიაჩნდა, რომ ეს ასეც უნდა ყოფილიყო, სხვანაირად ვერ წარმოედგინა: ალბათ ამიტომ ვიყავით ჩვენ ყოველთვის მშვიდად, იმედი გვქონდა, რომ მის მიერ ჩვენი ნაშრომის კრიტიკის მკაცრ ქურაში გატარების შემდეგ ყველაფერი რიგზე იქნებოდა.

დიდ ყურადღებას აქცევდა ბ-ნი ვარლამი აგრეთვე ახალგაზრდა მასწავლებლების პროფესიულ დაოსტატებას, მათ მიერ პედაგოგიური ტაქტისა და პასუხისმგებლობის გრძნობის გამომუშავებას. ამ მიზნით ის ყველა ახალგაზრდა მასწავლებლის ლექციებს ესწრებოდა, რასაც აგრეთვე დიდი დრო სჭირდებოდა. მეც ბევრჯერ დამსწრებია ლექციაზე, რასაც ერთხელ კურიოზული ვითარებაც მოჰყვა. დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე ლექცია უნდა წამეკითხა, აუდიტორიაში შევედი თუ არა, ბ-ნი ვარლამიც შემომყვა. მოუხედავად ბ-ნი ვარლამისადმი ჩემი უდიდესი პატივისცემისა და მოკრძალებისა, არ ვღელავდი (როგორც ჩანს, იმიტომაც, რომ მიჩვეული ვიყავი მის მოულოდნელ „თავდასხმებს"). ლექციის დამთავრებას რამდენიმე წუთი აკლდა, როცა, ჩემდა საუბედუროდ, თვალი ბ-ნი ვარლამისკენ გამექცა, რატომღაც ავღელდი, სიტყვა გამიწყდა შუაზე და ყველაფერი დამავიწყდა. ის იყო, უნდა სამარცხვინოდ გაჩერებულიყავი ასკაციანი აუდიტორიის წინაშე, რომ უცებ მოვისაზრე და სტუდენტებს მივმართე: დღეს ჩვენ ახალი ქართული ენის კათედრის გამგე, აკადემიკოსი ვარლამ თოფურია გვესწრება; შესაძლოა, თქვენ აღარ მოგიწიოთ მასთან შეხვედრა და თქვენი სახელით მინდა ვთხოვო რამდენიმე სიტყვა გითხრათ-თქო. ბ-ნი ვარლამი, დარწმუნებული ვარ, მიხვდა ჩემს ეშმაკობას, მაგრამ, რა თქმა უნდა, არაფერი შეიმჩნია, ოღონდ გაიღიმა და ჩვეული მეტყველებით ესაუბრა სტუდენტებს, რომლებიც ლექციის შემდეგაც არ მოეშვნენ და უამრავი შეკითხვა დაუსვეს...

კიდევ ერთი დამახასიათებელი თვისება ბ-ნი ვარლამისა: შენიშვნას მკაცრი და შეურაცხმყოფელი ფორმით არასდროს არავის მისცემდა. თუ ავტორის რომელიმე მოსაზრებას არ ეთანხმებოდა, ნაშრომის თავისუფალ გვერდზე ფანქრით მიაწერდა ხოლმე მაგალითად, ასეთ შენიშვნას: „ დაგვიჯერებენ კი? " ან „ხომ არ აჯობებდა, ეს დებულება ოდნავ შეგვერბილებინა? "

34 წელია, რაც აკადემიკოსი ვარლამ თოფურია სამუდამოდ წავიდა ჩვენგან, მაგრამ მისი ყოფილი სტუდენტები, ასპირანტები, კოლეგები დღესაც დიდი სიყვარულით, სითბოთი, პატივისცემითა და მოწიწებით იხსენებენ ყველაფერს, რაც კი მასთან არის დაკავშირებული.

ესაუბრა გ. გოგოლაშვილი

ლია ქეიშვილი

# „...საშვილიშვილოდ გარდაეცემის“

ქართული სკოლის დიდი ქომაგი, ცნობილი მეცნიერი და პედაგოგი, ვარლამ თოფურია სწავლა-აღზრდის ბალავრად ქართულ ენას მიიჩნევდა. თვლიდა, რომ ქართული ენის, როგორც სასწავლო საგნის დანიშნულებაა, მოამზადოს განათლებული ახალგაზრდობა, განუვითაროს აზროვნება, გამოუმუშაოს მოსწავლეებს სწორი, დახვეწილი ზეპირი და წერითი მეტყველება, შეაყვაროს თავისი ერი და ქვეყანა, გაუხსნას გონების კარი, ჩაუგდოს გულში სიკეთის თესლი და მის გაღვივებას, აღმოცენებასა და მოვლა-პატრონობას შეუწყოს ხელი, აღუძრას ინტერესი და სურვილი თავისი ქვეყნის მდიდარი კულტურული მემკვიდრეობის შესწავლა-დაცვისა, ჩაუნერგოს ქვეყნის სამსახურის მოვალეობის კეთილშობილური გრძნობა. ამიტომ იყო, რომ ვარლამ თოფურიას მეცნიერულსა და პრაქტიკულ საქმიანობაში დიდი ადგილი ეთმობოდა ქართული ენის .წავლების მეთოდიკის პრობლემებს; ამიტომ იყო, რომ ქართული ენის სწავლების, მოსწავლეთა მეტყველებისა და აზროვნების განვითარების პრობლემები იყო ვარლამ თოფურიას დღენიადაგ ზრუნვისა და ფიქრის საგანი.

ჩვენი სკოლა სვებედნიერი გამოდგა იმით, რომ ქართული ენის სასკოლო კურსის შექმნისა და ჩამოყალიბების სათავეებთან იდგნენ ქართული ეროვნული კულტურის დიდი მესაძირკვლენი: ა. შანიძე, გ. ახვლედიანი, არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია. ამ მხრივ საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ვ. თოფურიას ღვაწლი. მას სიცოცხლის ბოლომდე მჭიდრო კავშირი ჰქონდა სკოლასთან, მასწავლებლებთან, სისტემატურად მონაწილეობდა მასწავლებელთა სამეცნიერო-მეთოდურ კონფერენციებში, ამზადებდა ასპირანტებს.

მისმა გამოკვლევებმა: „ქართული ენისათვის“, „ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვების დაბოლოებანი“, „მეტყველების ნაწილებისათვის ქართულში“, „კითხვების მეთოდით გრამატიკის სწავლებისათვის“, „რატომ არის აუცილებელი ბრუნვათა რიგის შეცვლა ქართულში“, „რა თანმიმდევრობით ვასწავლოთ სახელთა ბრუნება“ და სხვ. უდიდესი როლი შეასრულეს ქართული მეთოდიკური კვლევის განვითარებაში და განუზომელი სამსახური გაუწიეს ახალფეხადგმულ ქართულ სკოლას. ქართული ენის სწავლებისადმი მიძღვნილი ეს გამოკვლევები, კარგად რომ სჭირდებოდა მაშინ ჩვენს სკოლას, იყო ის მკვიდრი და საიმედო საძირკველი, რასაც დაეფუძნა შემდგომში ქართული მეთოდიკური მეცნიერება და აღიზარდა მეთოდისტთა თაობები.

ქართული ენის სწავლებისათვის საპროგრამო მნიშვნელობა აქვს მის წერილებს: „მშობლიური ენის სწავლების საკითხები საშუალო სკოლაში“. ყველაზე ფასეული ის არის, რომ ამ წერილებში მწვავედ არის დასმული დღეისათვის ვერ კიდევ გადაუჭრელი პრობლემა: სკოლაში უნდა ისწავლებოდეს ენა და არა მხოლოდ ენის გრამატიკა. ვ. თოფურიასა და ივ. გიგინეიშვილის რედაქციით გამოსული „ორთოგრაფიული ლექსიკონი“ და ვარლამ თოფურიას უკანასკნელი ნაშრომთაგანი „ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი“ ხომ განუზომელ სამსახურს უწევს სკოლასა და მასწავლებლებს. ეს წიგნი მასწავლებელს საიმედო მეგზურობას უწევს ყოველდღიური მძიმე ტვირთის ზიდვაში. ასეთი მნიშვნელობის თეორიულ კვლევასთან ერთად ვ. თოფურია დიდ პრაქტიკულ საქმიანობას ეწეოდა: კითხულობდა ლექცია-მოხსენებებს მასწავლებლებთან, რედაქციას უკეთებდა ქართული ენის სწავლების საკითხებზე დაწერილ ყველა საჟურნალო სტატიას, იყო პროგრამებისა და სახელმძღვანელოების ავტორი და თანაავტორი.

. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ვარლამ თოფურია ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტთა მომზადებას სკოლისათვის. ამის უპირველეს საფუძვლად მიაჩნდა პედაგოგიური პრაქტიკის მაღალ მეთოდიკურ და მეცნიერულ დონეზე დაყენება. ალბათ, არასდროს დაავიწყდებათ იმ თაობის სტუდენტებს ის საუბრები, რომელთაც ბ-ნი ვარლამი უტარებდა მათ პედაგოგიური პრაქტიკის დაწყების წინ. იგი სტუდენტებისაგან, პირველ ყოვლისა, მოითხოვდა ღრმა თეორიულ მომზადებას, საგნისა და მეთოდიკის საფუძვლიან ცოდნას. მოითხოვდა იმასაც, რომ თავისი გარეგნობით, ჩაცმულობით, ვარცხნილობითა და ქცევით პედაგოგიურ პრაქტიკაზე მყოფი სტუდენტი სანიმუშო და მისაბაძი ყოფილიყო. „თითოეული თქვენგანი სკოლაში უნივერსიტეტის სახეს წარმოადგენს და მის ღირსებას უნდა იცავდეს“, - ეუბნე-



მამასთან, მეუღლესთან და შვილებთან.

ბოდა იგი სტუდენტებს.

იმ წლებში (ეს იყო 1952-1960 წ.) პედაგოგიურ პრაქტიკას პროფ. მ. თალაკვაძე ხელმძღვანელობდა. ბ-ნი ვარლამი ყოველწლიურად მავალებდა მემუშავა პედ.პრაქტიკაზე მყოფ სტუდენტებთან (მე მაშინ ქართული ენის კათედრის უფროსი ლაბორანტი ვიყავი). ეს იყო საინტერესო, შემოქმედებითი შრომით აღსავსე დღეები - მზადება გაკვეთილისათვის, გაკვეთილის ჩატარება, მისი ანალიზი - მკაცრი და პირუთვნელი. კვირა ისე არ გავიდოდა, რომ ბ-ნი ვარლამი ერთხელ ან ორჯერ არ მოსულიყო სკოლაში, გულისყურით არ მოესმინა და გაერჩია გაკვეთილები, მისი გამოჩენა ჩვენთვის დიდი ზეიმიც იყო და მკაცრი გამოცდაც. გაკვეთილების გარჩევისას იგი უყურადღებოდ არ დატოვებდა პრაქტიკანტის მიერ დაშვებულ პატარა შეცდომასაც კი.

განსაცვიფრებელი იყო აგრეთვე ბ-ნი ვარლამის მზრუნველობა დიალექტოლოგიური ექსპედიციის მონაწილე სტუდენტებზე. იგი დაწვრილებით უხსნიდა მათ, როგორ შეეკრიბათ მასალა, როგორ მოქცეულიყვნენ სოფელში, როგორ დაემყარებინათ ურთიერთობა მოსახლეობასთან. იმ წლებში ყოველ ზაფხულს მიხდებოდა დიალექტოლოგიური ექსპედიციების ხელმძღვანელობა. ბ-ნი ვარლამი აუცილებლად მატანდა წერილს რაიონის მესვეურებთან და სთხოვდა მათ, დახმარება გაეწიათ ჩვენთვის. ექსპედიციიდან დაბრუნების შემდეგ კი გულისყურით ისმენდა მუშაობის ანგარიშს სპეციალურად ჩვენთვის მოწვეულ კათედრის სხდომაზე. ყველა ჩვენგანისათვის ეს იყო ცხოვრებისათვის მომზადების შესანიშნავი გაკვეთილები. ვარლამ თოფურიას სახით სტუდენტ ახალგაზრდობას ჰყავდა დიდი მოძღვარი, მასწავლებელი და გულისხმიერი აღმზრდელი.

ხელმოკლე სტუდენტებისათვის ვ. თოფურიას უანგარო, მატერიალური დახმარება ხომ საყოველთაოდაა ცნობილი. სასწავლო წლის დასაწყისში, ლექციის ბოლოს, ბ-ნი ვარლამი გამოუცხადებდა ხოლმე, რომ სტუდენტთა პროფკომის სახელზე დაეტოვებინათ განცხადება ქართული ენის კაბინეტში მათ, ვისაც მატერიალური დახმარება სჭირდებოდა. შემდეგ შუამდგომლობდა პროფკომის წინაშე და გამოაყოფინებდა სათანადო თანხას. ხშირად საკუთარი თანხაც დაუტოვებია ჩემთვის და უთქვამს: „გადაეცით და უთხარით, რომ ეს თანხა სტუდენტთა პროფკომმა გამოყო მათთვის".

მინდა გავიხსენო ერთი ფაქტიც. მოულოდნელად ტუბერკულიოზი აღმოაჩნდა ფილოლოგიის ფაკულ-



შვილიშვილებთან

ტეტის სტუდენტს, იგი საავადმყოფოში მიათავსეს, მდგომარეობა მძიმე იყო. ერთ დილას ბ-მა ვარლამმა დამირეკა ქართული ენის კაბინეტში და მთხოვა უნივერსიტეტის წინ გაჩერებასთან დავხვედროდი. წავედით საავადმყოფოში. ბ-მა ვარლამმა ნახა მთავარი ექიმი, ესაუბრა და სთხოვა, რომ ყველაფერი ელონა სტუდენტის ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად. თუ საჭირო გახდეს და რაიმე წამლის შოვნა გაჭირდეს, აუცილებლად შემატყობინეთ, ქრთამდაც რომ იყოს საყიდელი, არ მომერიდოთ, შემდეგ გადმომცა კონვერტით თანხა და მითხრა დამეტოვებინა სტუდენტისათვის, მოინახულა იგი, ანუგეშა, გაამხნევა, დააიმედა...

ვ. თოფურიას ყოველი ქცევა - დამოკიდებულება სტუდენტთან, მისი მიმართვა, საუბარი თუ სხვა, გამოხატავდა სტუდენტის პიროვნებისადმი უაღრეს პატივისცემას. არ ყოფილა შემთხვევა, რომ სტუდენტი უპასუხოდ გაესტუმრებინა. როგორი სასწრაფო სამუშაოც უნდა ჰქონოდა, ყველაფერს გადასდებდა, აუცილებლად წამოდგებოდა ფეხზე, გულისყურით მოუსმენდა და საჭირო რჩევა-დარიგებას მისცემდა ხოლმე (მარჯვენა ხელს სათვალეს მოჰკიდებდა).

ბედნიერია ის თაობა, რომელსაც ამ დიდბუნებოვან ადამიანთან ჰქონია ურთიერთობა. მე კი უფრო ბედნიერი იმით ვარ, რომ წილად მხვდა ვყოფილიყავი მისი სტუდენტიც, ასპირანტიცა და თანამშრომელიც. მისი სპეტაკი, ქათქათა ჭაღარის ნათელი, საყოველთაოდ აღიარებული ადამიანური სითბო და სიკეთე განუშორებლად თან მახლავს, მამაღლებს და გზას მიწალდავს ჩემს საქმიანობასა თუ ადამიანებთან ურთიერთობაში. ვარლამ თოფურიას ნათელი პიროვნული ღირსებები ძლიერ ზნეობრივ ზემოქმედებას ახდენდა ყველაზე, თავისი გარეგნობითაც იგი ნამდვილი აღმზრდელი და მოძღვარი ბრძანდებოდა.

ნაღვაწი მისი უკვდავია სამარადჟამოდ... და „საშვილიშვილოდ გარდაუვალის".



უცხოელ ასპირანტებთან

# წინაქრისტიანული ხანის ქართული წარწერა ნეკრესიდან

აღმოსავლეთ საქართველოში, ყვარლის რაიონში მდებარეობს ნეკრესის ნაქალაქარი. იგი განლაგებულია კავკასიის სამხრეთ კალთაზე, მდიდარ გეოგრაფიულ ზონაში. მისი, როგორც ქალაქის დაფუძნება, ქართული წყაროებით უკავშირდება მეფე ფარნაჯომს ძვ.წ. მეორე საუკუნეში. ნაქალაქარი საზოგადოებისათვის ცნობილია ადრექრისტიანული არქიტექტურული ძეგლებით, მათ შორის IV ს. ეკლესიით. ნეკრესი პოპულარული გახდა აგიოგრაფიული ლიტერატურის ადრეული ძეგლით აბიბოს ნეკრესელის წამების შესახებ, სადაც აღწერილია აბიბოს ნეკრესელის - ნეკრესის ეპისკოპოსის - ბრძოლა ცეცხლთაყვანისმცემლობის წინააღმდეგ, ქრისტიანობის დასამკვიდრებლად და მისი მოწამეობრივი სიკვდილი. ის ათცამეტ ასურელ მამათა ერთ-ერთი წარმომადგენელი იყო, რომლებიც საქართველოში VI ს. მოღვაწეობდნენ.

ნეკრესის ნაქალაქარზე არქეოლოგიურ სამუშაოებს აწარმოებს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი 1984 წლიდან. გათხრილია II-IV სს. ცეცხლის ტაძარი, ანტიკური ხანის ქალაქის ზღუდის ნაწილი; IV-VI სს. ნაგებობის ნაშთები (სასახლე, მარა.ი), VI ს. ეკლესია და სხვ. აღმოჩენათა შორის მეტად მნიშვნელოვანია IV-VI სს. დათარიღებული არქიტექტურული ნაგებობის კედლებში მეორადი გამოყენებით ჩატანებული ქვის ფილები ქართული უძველესი წარწერებით, რომელთა ხნოვანება განისაზღვრება IV საუკუნის ნაგებობის ქვეშ არსებული კულტურული



ფენის კერამიკით ახ.წ. I-III საუკუნეებით. პალეოგრაფიული ნიშნებითაც ისინი უძველესი წარწერების რიგში ექცევიან. სულ **დადასტურებული შვიდი წარწერიდან I-III საუკუნეებს მიეკუთვნება 5 წარწერა.**

1999 წ. დადასტურებული იქნა კიდევ ერთი წარწერიანი ფილა. ის აღმოჩნდა ნაქალაქარის ტერიტორიის ცენტრში, იმ ადგილის მახლობლად, სადაც ითხრება IV ს. მონუმენტური ეკლესია. ქვა ეგდო ზედაპირზე, საურმე გზაზე. გამოჩენილია წყლის დინების შედეგად, არა თავის ადგილზე.

წარწერიანი ქვა სიგრძით 41.5 სმ-ია. მისი სიგანეა 10-10.5 სმ, სისქე 5.5 სმ. თავი და ბოლო მოტეხილი აქვს. განსაკუთრებით დასანანია ზედა ნაწილის დაზიანება, რამდენადაც დაიკარგა წარწერის დასაწყისი ნაწილი. წარწერა შესრულებულია ამოკაწვრის წესით. ასოების სიმაღლე მერყეობს 1.8-2..5 სმ. შორის, სიგანე 1.0-2.0 სმ. შორის.

შემორჩენილია ორი დაზიანებული და ექვსი სრული სტრიქონი.

**პირველი სტრიქონი:** შემორჩენილია ბოლო ორი ასოს ქვედა ნაწილები.

**მეორე სტრიქონი:** შემორჩენილია პირველი ორი ასოს ქვედა ფრაგმენტები და ორი ბოლო ასო ႠႬ **(ან).**

**მესამე სტრიქონი:** ႠႦႠႲ **(აზატ).** ბოლო ჩამოტეხილია. შეიძლება ალდგეს: Ⴈ **(ი)**

**მეოთხე სტრიქონი:** ႱႨႠႰႱ **(სი არს)**

**მეხუთე სტრიქონი:** ႬႭჃႫ **(ნოუმ)**

**მეექვსე სტრიქონი:** ႺႠႥႨႬ **(ცავინ)**

**მეშვიდე სტრიქონი:** ႾႰႤႥ **(ხრევ)**

**მერვე სტრიქონი:** Ⴑ **(ს)**

**წაკითხვა:** **აზატ(ი)**
**სი არს**
**ნუმ**
**ცავინ**
**ხრევ**
**ს**

წარწერა, ერთი მხრივ, აღნიშნავს დაკრძალულის ვინაობას და, მეორე მხრივ, თხოვნაა თუ მიწოდება: ნურავინ შეეხება მას, ნურავინ არევს (ნუმცავინ ხრევს).

წარწერა ასიმთავრულია. გამოყენებულია ქართული ანბანის თოთხმეტი ასონიშანი: ა(4), ე(1), ვ(2), ზ(1), ი(2), მ(1), ნ(2), რ(2), ს(3), ტ(1), ჳ(1), ო(1), ც(1), ხ(1).

როგორც ირკვევა, საქმე გვაქვს წარწერიან საფლავის ქვასთან, რომელიც სტელის სახით იქნებოდა აღმართული საფლავზე. წარწერის დაზიანებულ ნაწილში, სავარაუდოა, აღნიშნული იქნებოდა დაკრძალულის სახელი. ნეკრესის სხვა წარწერებისაგან განსხვავებით, აღნიშნულ წარწერას ორი სიახლე ახასიათებს.

* გადმობეჭდილია კრებულიდან „ქართველოლოგი" (რედაქტორი პროფ. ე. ხინთიბიძე, №7, 2000 წ.)

ის ხანმეტურია და მასში გვხვდება ძველი ქართული წყაროებისათვის უცნობი სოციალური ტერმინი **აზატი**. ეს ტერმინი ვარაუდით პართულ ხანაში უნდა იყოს შემოსული, აღნიშნავდა - თავისუფალს. მეზობელი ქვეყნების - ირანისა და სომხეთის - მაგალითებით აზატები მძიმედ შეჭურვილი ცხენოსანი მეომრები იყვნენ. არის ვარაუდი, რომ მასთან არის დაკავშირებული ქართული სოციალური ტერმინი აზნაური - მაღალი სოციალური ფენის წარმომადგენლის სახელი, რომელიც დადასტურებული გვაქვს პირველივე ქართულ ლიტერატურულ ძეგლში „შუშანიკის წამება". წარწერის მიხედვით აზატის ინსტიტუტის არსებობა საქართველოში შეიძლება ახ.წ. პირველი საუკუნიდან ვივარაუდოთ. ადრეულ ქართულ ძეგლებში ის არ გვხვდება.

აღნიშნული წარწერა ნეკრესში აღმოჩენილ სხვა რამდენიმე წარწერასთან ერთად დღეისათვის ცნობილ ქართულ წარწერებს შორის ყველაზე უადრესია და ის ახ.წ. I-II-III საუკუნეებით შეიძლება დათარიღდეს.

ამ წარწერიანი სტელის გარდა ნეკრესის ნაქალაქარზე, კერძოდ ადგილ - „ნაგებებში" აღმოჩენილია 5 სხვა წარწერიანი ქვა, რომლებიც ჩატანებული ყოფილა IV ს. აგებული სასახლის კედლებში, მეორადი გამოყენებით. წარწერების დათარიღებაში გვეხმარება არქიტექტურული ნაგებობის ქვეშ არსებული კულტურული ფენის არქეოლოგიური მასალა.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ნეკრესის წარწერებს აქვს ყველა პალეოგრაფიული გამორჩეული ნიშანი, რომლითაც თარიღდება ქართული წარწერების ყველა, ადრეულად მიჩნეული წარწერა (პალესტინა, ბოლნისი, ურბნისი). ეს ნიშნებია: თავშეკრულობა, მარცხნივ გაზიდული ხაზის და ქარაგმის არ არსებობა, კუთხოვნება. ნეკრესის წარწერაზე არ გვხვდება ტექსტის დასაწყისის და დასასრულის სტანდარტული, დაკანონებული ფორმები: „ქრისტე", ვედრება - „უფალო", „ღმერთო", „იყავნ, იყავნ", „ამენ", და სხვ., რაც დამახასიათებელია ქრისტიანული ხანის წარწერებისათვის.

დასკვნები:

1. ზემოთ განხილული წარწერა, ნეკრესის სხვა ხუთ წარწერასთან ერთად წინაქრისტიანული შემოქმედების ნაყოფია. არქეოლოგიურად ისინი თარიღდება ახ.წ. I-III საუკუნეებით. ყველა განეკუთვნება ცეცხლთაყვანისმცემელთა საფლავის ქვებს. ამგვარ დათარიღებას ეთანხმება წარწერაში დადასტურებული სოციალური ტერმინი „აზატი" და ტექსტის ხანმეტური ხასიათი.

2. წარწერიანი ქვა დაზიანებულია - მოტეხილი აქვს თავიც და ბოლოც. ასევე დაზიანებული სხვა წარწერიანი ქვებიც, რაც შემთხვევითობას არ შეიძლება მივაწეროთ. ისინი განზრახ, წინასწარმოფიქრებული ღონისძიებით ჩანს დაზიანებული, რაც ქრისტიანობის გავრცელებისას, ცეცხლთაყვანისმცემლებთან დაპირისპირების დროს არის განხორციელებული. ამ დროს ე.ი. IV ს. დასაწყისში მთელი სისასტიკით დაანგრიეს და გაძარცვეს მაზდეანთა ტაძარი - მეტად შთამბეჭდავი, მონუმენტური არქიტექტურული ძეგლი. როგორც ჩანს, ეს იყო საერთო ღონისძიება მაზდეანთა წინააღმდეგ, როდესაც გაუნადგურებიათ მათი ტაძარ-სალოცავები ან გადაუკეთებიათ ქრისტიანულ ეკლესიებად; საფლავის ქვები დაუმტვრევიათ და დაუყრიათ, მოგვიანებით კი გამოუყენებიათ როგორც სამშენებლო მასალა.

3. ნეკრესის წარწერების აღმოჩენის შემდეგ, დღეს გავრცელებული მოსაზრების საპირისპიროდ, ქართული ასომთავრულის განვითარება არ შეიძლება დაუკავშირდეს ქრისტიანობის შემოსვლა-დამკვიდრებას. იგი გაცილებით ადრე მომხდარი სხვა სოციალური გარემოსა და რელიგიური მრწამსის პირობებში.

4. ჩვენი ვარაუდით, ქართული ანბანის შემოღება და დამწერლობის განვითარება დაკავშირებული შეიძლება იყოს მაზდეანური რელიგიის ტექსტების - ლოცვების, ჰიმნების და სხვათა სათარგმნელად და ქართველ მაზდეანთა საკუთარ ეროვნულ ენაზე აღნიშნული ტექსტებით უზრუნველსაყოფად, რიტუალის სრულყოფილად წარმართვისათვის.

5. საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ, მსგავსივე ღონისძიების განხორციელებას - რელიგიური წიგნების ქართულ ენაზე თარგმანის საქმეს ეკლესიის მესვეურნიცა და ქართველ ქრისტიანთა მრევლიც მომზადებულები შეხვდნენ, რადგანაც მათ უკვე ჰქონდათ ეროვნული ანბანიცა და მწიგნობრობაც. ეს იმ დროს, როდესაც ქართველთა მეზობლები ამ დროს იწყებენ იმავე საქმიანობისათვის საკუთარი ანბანის შექმნას ქრისტიანული საღმრთო ჰიმნების სათარგმნელად (სომხები, ალბანელები).

6. ზემოთ აღნიშნულის შემდეგ, ლეონტი მროველის ცნობას ფარნავაზ მეფის მიერ (ძვ.წ. III ს.) მწიგნობრობის გავრცელების შესახებ „და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული") ნდობით უნდა მოვეკიდოთ. ფარნავაზის დროს იწყება ცეცხლის კულტის განსაკუთრებული გავრცელება. მანვე დააფუძნა აჰურა მაზდას კულტი და თვით კი ღმერთის რანგში მოგვევლინა. „მწიგნობრობა" პირველ რიგში უნდა გავიგოთ როგორც „წიგნის", რელიგიური შინაარსის, სჯულის კანონთა კრებულის დოკუმენტური გაფორმება. „ბიბლია" წიგნია, ისევე როგორც „ყურანი", „წიგნის ხალხი" კი - გარკვეული სჯულის წიგნის მიმდევარი. „მწიგნობრობა" პირველ რიგში, უნდა გავიგოთ, როგორც სჯულის კანონის წიგნის შექმნა. მაშასადამე მწიგნობრობის შემოღებაში პირველ რიგში საეკლესიო წიგნების თარგმნა იგულისხმება, კონკრეტულ შემთხვევაში კი „ავესტის" წიგნების გადმოქართულება.

**ლევან ჭილაშვილი**

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

2001 წლის 12 აპრილს გაიმართა საქართველოს პრეზიდენტთან არსებული სახელმწიფო ენის მუდმივი სახელმწიფო კომისიის სხდომა. დღის წესრიგში ერთი საკითხი იყო – განხილვა საქართველოს კანონის პროექტისა „სახელმწიფო ენის შესახებ“. პროექტის შესახებ სხდომას მოახსენა საქართველოს ენის სახელმწიფო პალატის თავმჯდომარემ ლევან ღვინჯილიამ. სხდომას თავმჯდომარეობდა საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე. გაზეთ „ახალ ეპოქაში“ (20. 04. 2001.) გამოქვეყნდა სოფიო თოდუას საუბარი ბ-ნ ლევან ღვინჯილიასთან, სადაც საუბარია ამ კანონპროექტისა და ჩატარებული სხდომის თაობაზე (იბეჭდება მცირეოდენი შემოკლებით).

**სოფიო თოდუა**

# მომავალ თოთხმეტ აპრილამდე

*სამწუხაროდ, მამულიც, ენაც და სარწმუნოებაც მხოლოდ მოცალეობის ჟამს გვაგონდება. არადა, ჩვენს ქვეყანაში სახელმწიფო ენაზე ზრუნვა სამ სტრუქტურას ევალება. ერთი მათგანია საქართველოს ენის სახელმწიფო პალატა. მისი თავმჯდომარე ლევან ღვინჯილია სინანულით აღნიშნავს, რომ ხელისუფლებასაც და რიგით მოქალაქეებსაც ქართული ენა მხოლოდ 14 აპრილს ახსენდებათ.*

**- კონსტიტუციის თანახმად, ქართული სახელმწიფო ენად არის აღიარებული (აფხაზეთში - ქართულთან ერთად აფხაზურიც სახელმწიფო ენაა). რაღა საჭიროა კანონი სახელმწიფო ენის შესახებ?**

- მოდი, კითხვა სხვანაირად დავსვათ: თუ არ შესრულდა კონსტიტუციის ეს მოთხოვნა, მაშინ რა ვქნათ? კანონი სახელმწიფო ენის შესახებ განსაზღვრავს, რა შემთხვევაში გამოიყენება სახელმწიფო ენა, რა სტატუსი აქვს მას კონკრეტულ შემთხვევაში, ვის რა ვალდებულება და პასუხისმგებლობა აკისრია და ამ ვალდებულებას თუ არ შეასრულებს, რა უნდა მოვიმოქმედოთ. ვთქვათ, საუბარია საჯარო მოხელეზე. კანონში „საჯარო სამსახურის შესახებ“ აღნიშნულია, რომ საჯარო მოხელემ აუცილებლად უნდა იცოდეს სახელმწიფო ენა. თუ მან სახელმწიფო ენა არ იცის, ეს არის მისი თანამდებობიდან გათავისუფლების სამართლებრივი საფუძველი. რაზეც მე მოგახსენებთ, ეს ყველაფერი წერია კანონში „საჯარო სამსახურის შესახებ“ და არა კანონში ენის შესახებ - ეს უკანასკნელი ჯერ არ მიგვიღია. როგორც კი პარლამენტი მიიღებს ენის კანონს, შესაბამისი მექანიზმიც ამუშავდება. თუ კანონით არის განსაზღვრული, რომ დადგენილი სალიტერატურო ნორმის დაცვა სავალდებულოა, ვინც ამ მოთხოვნას არ შეასრულებს, ის უნდა დაისაჯოს. აი, რისთვისაა აუცილებელი ხსენებული კანონის მიღება, თორემ ამა თუ იმ პიროვნების მეტყველების მოწესრიგება, ცხადია, კანონის მეშვეობით ვერ მოხერხდება.

**- კანონი სახელმწიფო ენის შესახებ ჯერ კიდევ წინა მოწვევის პარლამენტს უნდა მიეღო...**

- 1997 წელს ეს კანონი მთავრობის სხდომაზე იუსტიციის სამინისტრომ შემოიტანა განსახილველად. მაშინ იუსტიციის მინისტრი თედო ნინიძე გახლდათ. სხვათა შორის, ურიგო კანონი არ ყოფილა, თუმცა მასში იყო რამდენიმე მუხლი, რომელთა ამოქმედება ჩვენთვის მიზანშეუწონელი იქნებოდა. იმავე წელს შეიქმნა საქართველოს ენის სახელმწიფო პალატა და, იუსტიციის სამინისტროსთან ერთად, კანონზე მუშაობა ჩვენც დაგვევალა. ბოლო სამი წლის განმავლობაში კანონპროექტის შესახებ სამჯერ ვიმსჯელეთ სახელმწიფო ენის მუდმივი სახელმწიფო კომისიის სხდომებზე. თითოეული განხილვის შემდეგ პრეზიდენტი ბრძანებდა, რომ კანონზე მუშაობა უნდა გაგრძელებულიყო და ჩვეულებრივ ერთი თვის თავზე კვლავ უნდა გვემსჯელა, მაგრამ პრაქტიკულად შემდეგი განხილვა მხოლოდ მომდევნო 14 აპრილის წინა დღეებში ხერხდებოდა. თავის დროზე ერთმა ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ აღნიშნა, რომ საქართველოს არ სჭირდებოდა კანონი ენის შესახებ. ამ მოსაზრებამ, ბუნებრივია, აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. სხვათა შორის, დღესაც ბევრი ფიქრობს, რომ ენის კანონის მიღება აუცილებელი არ არის. მე კი მგონია, რომ ამ კანონის მიღება არათუ აუცილებელი, დაგვიანებულიც კია. დამოუკიდებლობის მიღების პირველსავე წლებში ბალტიისპირეთის სამსავე რესპუბლიკაში შეიქმნა შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურები და მიღებულ იქნა კანონები სახელმწიფო ენის შესახებ. აღარაფერს ვამბობ ევროპის განვითარებულ ქვეყნებზე, სადაც ეს პრობლემა კარგა ხნის წინ მოაგვარეს. მაგალითად, საფრანგეთში ამგვარი სამსახური კულტურისა და ფრანკოფონიის სამინისტროსთან არსებობს - მას „ფრანგული ენის დელეგაცია“ ეწოდება, სადაც დაახლოებით 30 კაცი მუშაობს. რაოდენ საკვირველიც უნდა იყოს, საფრანგეთში კანონზე სახელმწიფო ენის შესახებ ზედამხედველობას აწესებს ფინანსთა სამინისტრო. ეს კი ნიშნავს, რომ ამ კანონის აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხები იმავდროულად გულისხმობს გარკვეული ფინანსური ურთიერთობების (ჯარიმის დაკისრება თუ სხვა სანქციები) გარკვევას. მეტიც, საფრანგეთის ყველა სამი-

ნისტრიში შექმნილია ხუთ-ათ-კაციანი ჯგუფები, სადაც ამ კონკრეტული სამინისტროსა და დარგის შესაბამის ტერმინოლოგიაზე მუშაობენ. დამუშავებული მასალები იგზავნება „ფრანგული ენის დელეგაციაში“, იქ ხელახლა ხდება მათი შეჯერება და უკვე ამის შემდეგ იქცევა სავალდებულოდ იმ ტერმინების გამოყენება, რომლებიც ამა თუ იმ დარგში მკვიდრდება. რაც შეეხება კანონს „სახელმწიფო ენის შესახებ“, მას ხელს აწერენ საფრანგეთის პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი, სახელმწიფო მინისტრი, განათლების მინისტრი, ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრი და ფრანკოფონიის მინისტრი.

**- თქვენ მიერ წარდგენილ კანონპროექტში რა დაიწუნა პრეზიდენტმა?**

- შევარდნაძეს ეს კანონი არ დაუწუნებია. პირიქით, შესავალ სიტყვაში მან გარკვეული პოზიტიური დამოკიდებულება გამოხატა კანონპროექტის მიმართ. სიტუაცია დაძაბა საქართველოს პარლამენტის სახელმწიფო ენის ქვეკომიტეტის თავმჯდომარის, ქალბატონ მანანა გოგინეიშვილისა და კიდევ რამდენიმე სხვა ორატორის გამოსვლამ. არადა, ისინი ისეთ საკითხებზე კამათობდნენ, რაც, ჩემი აზრით, საკამათო არ არის. ორი წლის წინათ, როდესაც პირველად იხილებოდა პროექტი სახელმწიფო ენის შესახებ, პრეზიდენტმა კომისიის წევრებს დაავალა, წერილობითი სახით წარმოედგინათ თავიანთი შენიშვნები. რამდენიმე გამონაკლისის გარდა, თავი არავის შეუწუხებია. დღეს კი სწორედ ეს ხალხი აცხადებს პრეტენზიას. რაც შეეხება მანანა გოგინეიშვილს, მან, სხდომის მოწვევამდე რამდენიმე კვირით ადრე მოგვაწოდა თავისი შეხედულებები კანონპროექტთან დაკავშირებით. საკმაოდ მწვავე რეცენზია დაწერა და შენიშვნებიც არ დაუშურებია. მაგრამ საქმე ისაა, რომ ქალბატონ მანანას დღეს ის პუნქტები და პარაგრაფებიც აღარ აკმაყოფილებს, რომლებიც ორი წლის წინათ მისი კატეგორიული მოთხოვნის შემდეგ გავითვალისწინეთ. ცხადია, იდეალური კანონი არ არსებობს, მაგრამ თუ ასე გაგრძელდა, კანონს „სახელმწიფო ენის შესახებ“ ვერასოდეს მივიღებთ. მხატვრები ამბობენ, არ არსებობს დასრულებული ტილო, ფუნჯის ერთი მოსმა რომ არ შეიძლებოდესო. როდისმე ხომ უნდა დამთავრდეს პროექტზე მუშაობა?

**- მანანა გოგინეიშვილმა უკმაყოფილება გამოთქვა „უცხო ენების“ განმარტებასთან დაკავშირებით, რასაც რბილად რომ ვთქვათ, საზოგადოების გარკვეული ნაწილის აღშფოთება მოჰყვა...**

- წინა პროექტში ეწერა, რომ „უცხო ენა“ კანონის მიხედვით ნიშნავს სახელმწიფო ენების (ქართული, აფხაზური) გარდა დანარჩენ სამწერლობო ენებს. ამ ტერმინმა სერიოზული დავა გამოიწვია. ამ განმარტების შედეგად, ბუნებრივია, რუსული, აზერბაიჯანული თუ სომხური ენები უცხო ენათა კვალიფიკაციას მიიღებს. ამან ქალბატონი მანანა ძალზე აღაშფოთა - მისი აზრით, ამით ჩვენ არაქართულენოვან მოსახლეობას ვეუბნებით, რომ ის ენა, რომელზედაც ისინი საუბრობენ, უცხო ენაა. ცოტა არ იყოს, უხერხულია, როცა რომელიმე გამგებელმა საერთოდ არ იცის ქართული და საქართველოს ხელისუფლებას რუსულად ელაპარაკება. არა მგონია, იმ რეგიონებში, სადაც არაქართველი მოსახლეობა კომპაქტურადაა დასახლებული, არ მოიძებნის შესაბამისი კადრები. პირველსავე სიტყვას მოვიდეთ: რუსულად უცხო ენა - иностранный язык - სხვა ქვეყნის ენას ნიშნავს. ჩვენ მაინც წავედით კომპრომისზე და „უცხო ენა“ კანონპროექტის თანახმად განვმარტეთ, როგორც სხვა ქვეყნის ოფიციალური (სახელმწიფო) ენა. როგორც ჩანს, ამგვარი განმარტებაც ბევრს ეხამუშება. სიტყვას აღარ გავაგრძელებ, იმდენი შეუსაბამო არგუმენტი იყო მოხმობილი. საბოლოოდ პრეზიდენტმა კანონპროექტის განხილვა ერთი თვით გადადო.

**- თქვენი აზრით, ამ ყველაფრის უკან გარკვეული პოლიტიკური წრეების ინტერესები ხომ არ იკვეთება?**

- არ მინდა იმაზე მეტი ვთქვა, რაც ვთქვი - მით უმეტეს, რომ, ალბათ, პარლამენტშიც მომიწევს ამ თემაზე საუბარი, თანაც უფრო მწვავედ.

## ახალი წიგნები






განვაგრძობთ ბეჭდვას საქართველოს ტელევიზიის I არხით გადაცემული სიუჟეტების ტექსტისა, რომლის ავტორი არის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართული მეტყველების კულტურის განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელი **ნინო ჯორბენაძე**; კონსულტანტი - ამავე განყოფილების ხელმძღვანელი, დოც. **შუქია აფრიდონიძე**.




# სწორია

## ბარსელონის, არიზონის და სხვა

ქართულში ერთი ასეთი წესი არსებობს: **ა** - ხმოვანზე დაბოლოებულ სიტყვებში გარკვეული ბრუნვისართების ზემოქმედებით ეს **ა** იკარგება. ცა - ცის, მიწა - მიწით, ზღვა - ზღვის, მამა - მამის, და - დის, დით და სხვა. ამ წესს ემორჩილება ყველა სახელი ადამიანის საკუთარი სახელებისა და გვარების გარდა (შდრ. - ნანას წიგნი, - ზაზას კასეტა, შენგელიას რვეული, თოფურიას ლექცია და სხვა). აღნიშნულ წესს ემორჩილება, როგორც საკუთრივ ქართული, ისე უცხოური გეოგრაფიული სახელები - გურიის მთები, აჭარის მოსახლეობა, თემქის დასახლება, ასევე - კუბის მთავრობა, ევროპის სახელმწიფოები, მაგრამ ამ ბოლო დროს იგრძნობა ტენდენცია, რომ გეოგრაფიულ სახელებში (განსაკუთრებით ეს ეხება ჩვენთვის დღემდე უცხოს იშვიათად ხმარებულ გეოგრაფიულ სახელებს) **ა** ხმოვანი უმართებულოდ იყოს შენარჩუნებული. ხშირად შეცდომით ამბობენ - მინესოტას, ოკლაჰომას, არიზონას შტატი, ბარსელონას მოსახლეობა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გეოგრაფიული სახელები სხვა სახელთა მსგავსად იკვეცენ ბოლოკიდურ **ა** ხმოვანს, ამიტომ **სწორი ფორმებია - მინესოტის, ოკლაჰომის, არიზონის** შტატები, **ბარსელონის** მოსახლეობა და მისთანანი.

## „ჩვენგანი", „თქვენგანი"

ჩვენი მსჯელობა ეხება ისეთ გავრცელებულ სიტყვებს, როგორებიცაა „ჩვენგანი", „თქვენგანი".

როდესაც მრავლისაგან ერთის გამოყოფაზე ვსაუბრობთ, ვამბობთ **ყოველი ჩვენგანი, თითოეული თქვენგანი** ან **ყოველი მათგანი**. სწორედ უკანასკნელი ფორმის (მათგანი) გავლენით **თა** კომპლექსს უმართებულოდ უმატებენ „ჩვენგან" „თქვენგან" ფორმებს და ამბობენ - ყოველი ჩვენთაგანი, თითოეული თქვენთაგანი. ეს არასწორი ფორმები ძალიან გავრცელებულია ყოველდღიურ მეტყველებაში, პრესაში, ტელევიზიაში და თითქმის განდევნილია სწორი სიტყვები - ჩვენგანი, თქვენგანი. აღნიშნულ ფორმებში **თა** ბგერათკომპლექსი სრულიად ზედმეტია, რადგან ეს სიტყვები **თა**-ს გარეშეც გამოხატავენ მრავლობითობას, რასაც ვერ ვიტყვით „მათგან" ფორმაზე. აქ იგი აუცილებელია.

რაც შეეხება „ჩვენგან", „თქვენგან" ფორმებს, ისინი არ საჭიროებენ **თა** კომპლექსის დართვას, ასე რომ, **სწორი ფორმებია** - ყოველი **ჩვენგანი**, თითოეული ჩვენგანი - ყოველი **თქვენგანი**.

**უკომენტაროდ**

# უპირველესია დედაენის სიწმინდე!

ევროპაში აღნიშნავენ, გერმანის ხელისუფლებაში შრედერის მისვლის შემდეგ მოსახლეობის უმეტესობა ვეღარ იტანს ებრაელებს, ზანგებს, ბოშებს, ინგლისელებს, ფრანგებს, ერთი სიტყვით, ვერცერთ უცხოტომელს.

გერმანიის ქალაქების ქუჩებში სულ უფრო ხშირად ესხმიან თავს უცხო ენაზე მოსაუბრე გამვლელებს.

ჩინოსნები თანამემამულეებისაგან მოითხოვენ, აღარ იხმარონ ინგლისური სიტყვები და გამოთქმები. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი საგრძნობი თანხით დაჯარიმდებიან.

გერმანელებს აშინებთ, რომ მათ ენას შერყვნის „მდარე" ინგლისური. დედაენის უპირველეს წამხდენად მიიჩნევენ ტაქსის მძღოლებს, აეროპორტის, რკინიგზის, რადიოსა და ტელევიზიის მუშაკებს. ინგლისური სიტყვა-გამოთქმების აკრძალვის მოთავეა ბერლინელი სენატორი ე. ვერნბახი. იგი ითხოვს, დაჯარიმდნენ ის პირები (50 მარკით) და ორგანიზაციები (5000 მარკით), რომლებიც არად მიიჩნევენ ეროვნულ სიამაყეს და მშობლიურ ენას აბინძურებენ უცხო ლექსიკით.

**P.S. საფრანგეთში კანონი ენის შესახებ 1994 წელს მიიღეს. ამ კანონის თანახმად, ფრანგებს ეკრძალებათ ისეთი სიტყვების ხმარება, რომლის შესატყვისიც დაიძებნება დედაენაში.**

**კანონის დამრღვევთ 5000 დოლარის ოდენობის ჯარიმა ემუქრებათ.**

*პოსლედნიე ნოვოსტი №10,*
გადმობეჭდილია გაზეთიდან „კვირის პალიტრა",
*16.03.2001*

**ჩვენს ჟურნალში რამდენიმე წერილი გამოქვეყნდა აბრევიატურის თაობაზე. ეს, ჩვენი აზრით, ერთ-ერთი მწვავე პრობლემაა. შესაბამისმა ორგანიზაციებმა, ენის პალატამ და ქართული ენის მუდმივმა სახელმწიფო კომისიამ დროულად უნდა იზრუნონ ამ პრობლემის მოსაგვარებლად. წინამდებარე და მსგავსი პუბლიკაციები, გვგონია, ხელს შეუწყობს ამ საქმეს.**

# ევრისტიკული სიტყვაშემოკლება

## სიტყვაშემოკლებითი ტერმინოგრაფია და ეკოლოგიური გარსი

ჩვენს ენასთან შედარებით სიტყვაშემოკლების პრობლემა ნაკლებად აწუხებთ ლათინურენოვანი და კირილიცის ანბანის მქონე ერების ენათმეცნიერებს. პრობლემის სირთულე ასო-ნიშანთა სახელწოდებების თავისებურებებით აიხსნება. ქართულში აბრევიატურის კვლევის საკითხი სტიქიურად მიმდინარეობს. მის მოგვარებას, თავის ზედმეტი მტვრევის გარეშე ცდილობენ. სამისოდ, რუსული ენის აბრევიატურული ტრადიციის მიხედვით, სიტყვაშემოკლებებს „იღებენ" საბრევიაციოდ მიჩვეული ქართული ასო-ნიშნების რუსულ ყაიდაზე წაკითხვით. არ იცავენ ქართული ენის ნორმების მოთხოვნებს, ამგვარი დამახინჯებით, ეკოლოგიურად, აბინძურებენ ქართულ ანბანსაც და, შედეგად, ენასაც.

აბრევიატურული ენობრივი ეკონომიის არსი ნათელია: ნაბეჭდი ტექსტის ინფორმაციულობის სწრაფი წვდომა ტექსტური ფრაგმენტის შემოკლებული წარმოდგენით, რითაც მცირდება (ბეჭდვითი და გამოთქმითი) სიტყვის მოცულობა. ასეთი ენობრივი და ბეჭდვითი ეკონომიის საჭიროება პირველ რიგში, ეხება თანამედროვე მეცნიერებათა თითქმის ყველა დარგს.

სიტყვაშემოკლებებს (აბრევიატურა, აკრონიმი) დღეს სერიოზულად თითქმის არავინ იკვლევს. მიზეზი სხვადასხვაა. ჩვენი აზრით, ამ მიზეზთაგან ძირითადია წმინდა ენათმეცნიერული, კლასიკური მიდგომის პოზიციიდან საკითხის გადაწყვეტის შეუთავსებლობა აბრევიატურების, ანუ ხელოვნური მეთოდით შედგენილი ლექსიკური ერთეულების გენერაციასთან. ამის გარდა, ამ საკითხებზე მნიშვნელობა ენიჭება არა მხოლოდ ენათმეცნიერების მონდომებას და კვლევის სურვილს, არამედ თანამედროვე დარგების სპეციალისტებთან ენათმეცნიერების ერთობლივ მუშაობას. ეს საკითხიც მოუგვარებელია.

გასათვალისწინებელია აგრეთვე აბრევიატურებისა და აკრონიმების სხვა ენებში არსებული თეორიისა და პრაქტიკის გამოცდილება.

მნიშვნელოვანია აბრევიატურის, როგორც ხელოვნური სიტყვათწარმოქმნის მექანიზმის კვლევის აუცილებლობა ქართული ენის ტრადიციებიდან, მისი ბუნებიდან გამომდინარე, ენის ნორმების დაცვის პირობებში და ასე შემდეგამასთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენს თითქმის ოცდაათწლიან ლექსიკოგრაფიულ პრაქტიკაში სათანადო ენათმეცნიერული კვლევების გამოყენებისას, სამწუხაროდ, არ შეგვხვედრია არცერთი ქართული სპეციალური ენათმეცნიერული ნაშრომი აბრევიოლოგიაში (ტერმინს აბრევიოლოგია არც კი ხმარობენ), რომელშიც ქართული ასო-ნიშნის სახელწოდებებისა და თვით ენის ნორმების დაცვის გათვალისწინებით აღწერილი ან შემოთავაზებული იქნებოდა სიტყვაშემოკლებათა სისტემა თანამედროვე ინტეგრირებული მეცნიერული დარგებისა და მიმართულებებისათვის: ფიზიკა, მათემატიკა, ეკონომიკა, ფინანსები, მენეჯმენტი, ლოჯისტიკა, კომპიუტერული მეცნიერება და სხვა. ამის მიზეზიც გარკვეულწილად გასაგებია. პრობლემით დაინტერესებულთ ხშირად გვსმენია ამგვარი მსჯელობა:" აბრევიატურა ქართული მოვლენა არ არის", „ეს აბრევიატურა ყურს ჭრის", ერთმანეთის მიყოლებით განლაგებული თანხმოვნების გამოთქმა ცუდი მოსასმენია და სხვ. ენის ეკოლოგიურად დაბინძურებისაგან გამოსავალი აბრევიატურული სისტემის შექმნის სირთულეშია. ენის ეკოლოგიაში ვგულისხმობთ ცნებას, სწავლებას მშობლიური ენის სიწმინდისა და შესაძლო დაბინძურებისაგან თავის დაღწევის შესახებ, ამ რომლს ვუკავშირებთ ფუძე ეკოლოგის თავდაპირველ განმარტებას; ბერძნული სიტყვა ეკოლოგია ორკომპონენტიანია oikos სამშობლო, სახლი; Logos სწავლება, ცნება. ენის ეკოლოგია, ჩვენი აზრით, მიზნად ისახავს ენის დაცვას შესაძლო დაბინძურებისაგან. ამ წერილში დაბინძურების შესაძლო წყაროდ ვგულისხმობთ უსისტემოდ და ქაოსურად მოძალებულ სიტყვაშემოკლებებს.

თითქმის ყოველი დარგის მეცნიერი, მასმედიის მუშაკი, რეკლამათშემქმნელი და სხვები, „თავის აბრევიატურებს" იგონებენ, თხზავენ თავისებურ წესს და სხვა. ეს პროცესი ძალზე სტიქიურია და მოუგვარებელი.

ამ მეოთხედი საუკუნის წინ ჩვენც აღმოვჩნდით ამგვარ მდგომარეობაში ინგლისურ-ქართული კომპიუტერული სამტომეული ლექსიკონის პირველი ტომის შექმნისა და გამოცემის პერიოდში (1973-1984 წ.). საკითხი მხოლოდ სისტემური მიდგომით უნდა გადაწყვეტილიყო. აბრევიატურული სისტემური წესების შესადგენად წარმოიშვა სათანადო მეთოდის ძებნის აუცილებლობა. ქართული აბრევიატურული სახეები ინიციალური აბრევიატურებისათვის მხოლოდ ნაწილობრივ გამოდგება, კერძოდ თუ შესამოკლებელი სიტყვიდან ერთ-ერთი მაინც იწყება ხმოვნით. დანარჩენ შემთხვევებში თანხმოვნებით დაწყებული შესამოკლებელი სიტყვებისათვის ინიციალური აბრევიატურა უვარგისი იყო, ვინაიდან მათი წარმოთქმა ძნელდებოდა ასო-ნიშანთა სახელწოდებების დამახინჯების გარეშე. პრობლემის გადასაწყვეტი მეთოდის ძებნა სხვა მხრიდან დავიწყეთ. შევამჩნიეთ, რომ სხვა ენებში აბრევიატურებს ქმნიდნენ არაერთიანი წესით, არამედ ენის ბუნებიდან და არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე, ანუ დაკვირვება-ანალიზისა და მიხვედრა-შესწავლის მეთოდით. გავავლეთ პარალელი კომპიუტერული ხელოვნური ენების შექმნის დროს არსებულ პრობლემებთან.

კომპიუტერული ხელოვნური ენების, ანუ, მოკლედ, პროგრამული ენების (ალგორითმული, ოპერაციული, პრობლემაზე ორიენტირებული უნივერსალური და სხვა ენები) შესაქმნელად გამოყენებული სხვადასხვა მიდგომიდან ყვ

ლაზე მისაღები აღმოჩნდა ევრისტიკული მიდგომა. ამასთან დაკავშირებით შემოგვაქვს ტერმინი ევრისტიკული სიტყვაშემოკლება. მასში ვგულისხმობთ აბრევიატურებისა და აკრონიმების შექმნის შესაძლებლობის კვლევას, კერძოდ თეორიული და პრაქტიკული მეთოდის შემუშავებას ენის სიტუაციური ანალიზის საფუძველზე. ჩვენს შემთხვევაში დაგვჭირდა შეგვექმნა ასეთი ხელოვნური საბრევიაციო ევრისტიკული მოდელი, კერძოდ თანხმოვნებზე დაწყებული შესამოკლებელი სიტყვებისაგან მიღებული სალექსიკონო ერთეულის „ასაკლერებლად", ასო-ნიშანთა სახელწოდებების დაუმახინჯებლად წარმოსათქმელად და სხვ. შევამჩნიეთ, რომ ტერმინში თემქა ბოლოსართი „ა" იყო პრობლემის გადასაწყვეტი მოდელის მთავარი ელემენტი. თვით სწორად შედგენილ ინიციალურ აბრევიატურულ ერთეულში თემქ (თ-ბილისის ე-ლმავალ მ-შენებელი ქ-არხანა-ა) თითქოს-და „ზედმეტი" ასოს „ა"(ანი) არსებობა ლოგიკურად აღმოჩნდა სამეცნიერო დარგების ერთიანი აბრევიატურული წესების სისტემის ქვაკუთხედი. ამის შემდეგ არ გაგვჭირვებია მთელი რიგი არსებითი სახელების აბრევიატურების დამოდელება. მაგალითად, „გ-ამომთვლელი მ-ანქან-ა" აქამდე არსებული წესით, - პირველი ასოებისაგან აბრევიატურის შედგენა, - იქნებოდა გმ. იგი ასე უნდა გამოგვეთქვა ასო-ნიშნის დაუმახინჯებლად: გან-მან. ეს არაპრაქტიკული და ძნელად გამოსაყენებელი გამოთქმაა. ამიტომ ჩვენი პირველი წესით შექმნილი აბრევიატურა იწერება და გამოითქმის ასე: გმა (ანალოგიურად აბრევიატურისა მ-შენებელი ქ-არხანა-ა). ეს არის ჩვენი პირველი აბრევიატურული წესით შედგენილი ლექსიკური ერთეული, რომელიც ეხება აქამდე ძნელად გადასაწყვეტ საკითხს - მხოლოდ თანხმოვნებზე აწყებული სიტყვებისაგან შემდგარი აბრევიატურის ელერად ერთეულად გამოთქმის დამოდელებას. ამ გზით გადაწყდა სხვადასხვა ტიპის გამომთვლელი მანქანების აბრევიატურების დამოდელება: ციგმა (ციფრული გ-ამომთვლელი მ-ანქან-ა), ეგმა (ე-ლექტრონული გამომთვლელი მ-ანქან-ა) და ა.შ. ამის თაობაზე აღვნიშნეთ საგაზეთო მასალებშიც (რ. ბერულავა - სწორად ვამბობთ და ვწერთ? ეგმ თუ ეგმა? გაზ. „თბილისი" 21 თებერვალი, 1989.; ქართული სიტყვათშემოკლება. ახალი წესები. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა". 7 მარტი, 1998; რ. ბერულავა - ენის ეკოლოგია და ევრისტიკული სიტყვათშემოკლება. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა". 23,24 ივლ., 2000 და სხვ.).

შემოგვაქვს სიტყვაშემოკლებითი ტერმინოგრაფიის ცნება, რომელშიც ვგულისხმობთ სიტყვაშემოკლებათა წესების სისტემის საფუძველზე შესამოკლებელი სიტყვებიდან სწორი ქართული საბრევიაციო ლექსიკური ერთეულის შესაქმნელად ენის ეკოლოგიური სიწმინდის კომპლექსური მოთხოვნის ძირითადი მომენტების დაცვას. ამგვარ ეკოლოგიურ გარსში მოქცეული სიტყვაშემოკლებათა ტერმინოგრაფიის ძირითადი მოთხოვნებია:

ა) აბრევიატურა უნდა შეიცავდეს ერთ ხმოვან ასო-ნიშანს მაინც, რომ იგი ისევე წავიკითხოთ, როგორც იწერება; ბ) აბრევიატურის წაკითხვისას არ დამახინჯდეს ქართული ასო-ნიშნის სახელწოდება; გ) აბრევიატურა უნდა ეფუძნებოდეს ქართული ენის პრაქტიკაში არსებულ მოდელებს; საამისოდ გამოყენებულ იქნეს ტრადიციული გზაც (მაგალითად, ტერმინები ტიპისა თემქა, აგრეთვე თელასი და სხვ.); დ) აბრევიატურა გამართული უნდა იყოს ეტიმოლოგიურად და შექმნას სემანტიკური გარსი (მაგალითად, ცნობილი მოწყობილობის „ციფრული დიფერენციალური ანალიზატორი" აბრევიატურად არ გამოდგება ტრადიციული ინიციალური ხერხი, რითაც მიიღებოდა ცდა. ამ შემთხვევაში მიიღება უაზრობა „ცდა ცდაში" ტიპისა; არ გამოდგებოდა აგრეთვე პირველი მარცვლით მიღებული შემოკლება ციდა, რაც ასევე სხვა აზრობრივი დატვირთვისაა, ვიდრე მოწყობილობის სახე. სწორი აბრევიატურული ერთეული არის ციდაა); ე) გათვალისწინებულ იქნეს სიტყვაშემოკლებების საერთაშორისოდ აღიარებული აზრობრივი, ემოციური (მათ შორის სარეკლამოდ გამოსადეგი) გარეგნული მხარეები; ვ) აბრევიატურა უნდა წარმოადგენდეს ისეთ ახალ ლინგვისტურ წარმონაქმნს, რომელიც თითქოს-და უკვე არსებობდა და ეს-ესაა მოხდა მისი ბგერითი აღქმა (მაგალითად, ზემოაღნიშნული ეგმა მოგვაგონებს სიტყვას გეგმა); ზ) აბრევიატურული ერთეული უნდა შეიცავდეს მხოლოდ და მხოლოდ ქართულ ენაში დასაშვებ თანხმოვანთა კომბინაციებს, რომლებიც აღიარებულია ენათმეცნიერებაში (ივ. ჯავახიშვილი, ბ. ჯორბენაძე, თ. უთურგაიძე, ზ. სარჯველაძე, მ. ქურდიანი და სხვ.). ამ პრინციპით თანხმოვანთა დასაშვებ წყობას ვპოულობთ რვატომეულ - ქეგლში (არნ. ჩიქობავა) და მის საფუძველზე შექმნილ ინვერსიულ ლექსიკონში (ბიძ. ფოჩხუა), ზმნური ფუძეების ლექსიკონში (გ. გოგოლაშვილი, ც. კვანტალიანი, დ. შენგელია), ძველი ქართული ენის ლექსიკონში (ზ. სარჯველაძე) და სხვ. ხშირ შემთხვევაში ამ ლექსიკონებში არ მოიპოვება ზმნური თანხმოვანფუძიანი ერთეულები, რომლებიც თანამედროვე დარგებისათვის ახალ აბრევიატურული ერთეულების შედგენისას წარმოჩინდება ხოლმე, მაგრამ არ წარმოადგენენ აკრძალულ თანხმოვანწყობებს. ზემოაღნიშნულით ეკოლოგიური გარსის პირობებში სიტყვაშემოკლებითი სისტემური წესების დაცვით ადვილია ტერმინთწარმოება (ჩვენი სისტემური წესების თაობაზე იხ. რ. ბერულავა - ქართულ სიტყვაშემოკლებათა წესების ძველი და ახალი სისტემები. „ბურჯი ეროვნებისა", №3; 2000). მაგალითად, ც-ენტრალური ს-აარჩევნო კ-ომისი-ა აბრევიატურულად არის ცესკა, შ-ეზღუდული პ-ასუხისმგებლობ-ა აბრევიატურულად არის შპ-ა (ანუ შპა); გამოთქმის - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება აბრევიატურა არის შპს-ა (მაგრამ დაიწერება შპს-ა), და-მატებული ღ-ირებულების გ-ადასახად-ი - დღგი (დაიწერება, როგორც დღგ-ი); ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი - ამკი (ამკ-ი); ე-ვროპულ ს-ახელმწიფოთა თ-ანამეგობრობ-ა - ესთა (ესთ-ა); მ-თავარი მა-დაბლებელი ქ-ვესადგური-ი - მმაქი (იგივე კონსტრუქციისაა, რაც სიტყვა მმარი); ბიზნესში გავრცელებული გამოთქმა მთავარი მამოძრავებელი ს-ტიმულ-ი - მმასი (იმავე აგებულებისაა რაც მმარი და მმაქი) და ა.შ...

**რევაზ ბერულავა**

*თსუ საბუნებისმეტყველო, ტექნიკურ და ეკონომიკურ მეცნიერებათა ლექსიკოგრაფიული ცენტრის ხელმძღვანელი*

გიორგი ცოცანიძე

# დღეღამის დროის დანაწილება მეცხვარულ ლექსიკაში

დიალექტური ლექსიკის თავისებურებებს ბევრად შეაპირობებს ის გეოგრაფიული და სამეურნეო გარემო, რომელშიც უხდება ცხოვრება ენობრივ კოლექტივს. აქ ძალიან ხშირად აირეკლება ხოლმე გარესინამდვილის მისეული ხედვა, მსოფლშეგრძნება და მსოფლაღქმა, კავშირი რეალურ თუ ირეალურ სამყაროსთან, გარემოს მხატვრული ხედვა და მხატვრული აზროვნებაც კი. ამ მხრივ ერთი საინტერესოთაგანია თუშური დიალექტის ის უბანი, რომელსაც მეცხვარეთა ლექსიკა წარმოადგენს. დღეს მკითხველს შევთავაზებთ დღეღამის დროის მეცხვარულ დანაწილებას და მასთან დაკავშირებულ ტერმინოლოგიას, რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავდება შინამეურნის შესაბამისი ლექსიკისაგან იმავე დიალექტში.

ერთი დღე-ღამე, დროის 24 საათიანი მონაკვეთი, თუშურ დიალექტში აღინიშნება ტერმინით „ჟამი". ერთი დღე-ღამე „ერთი ჟამია", ორი დღე-ღამე - „ორი ჟამი", სამი - „სამი ჟამი" და ა.შ. „სამს ჟამს ითოავ" - სამ დღე-ღამეს ითოვაო - იტყვის თუში, თუმც ამავე ლექსიკურ ერთეულს აქვს სხვა, არატერმინოლოგიური მნიშვნელობებიც: ა) დრო, დროება: „ავა - თქვენ, ჩილოელებო, ავი დაგვეცათ ჟამია"; „რა' ჟამი, ქა, ცაიწ ჩამოტეხადა" - იტყვიან დიდი ავდრის, ჭექა-ქუხილის დროს. ბ) „ჟამი" - შავი ჭირი, ხოლერაა, ხოლო „ჟამნი" - ის მითოსური არსებები, რომლებიც ხალხს ამ გამანადგურებელ სენს უგზავნიან. ამათ ხელთ მშვილდ-ისარი უპყრიათ და სოფლისკენ ისვრიან უხილავ ისრებს - თეთრსა და შავს. ვისაც შავი ისარი დაკოდავს, ის მოკვდება, თეთრისარნაკრავი გადარჩება.

მეცხვარის სიტყვახმარებაში დღის დადგომას, ანუ განთიადს, წინ უსწრებს „ცისკარმოე", ცისკრის ვარსკვლავის ამოსვლის ხანი. ამ დროის ამსახველი



ზმნისართია - „ცისკარმოისი". შორს წამსვლელი კაცი - მონადირე თუ მოგზაური „ცისკარმოისევ უნდ წავიდეს", ამას მოსდევს „თენება" - განთიადი:

„ეხლა ამოა ცისკარი, თან<br>
ამოხყვება თენება,<br>
წამოდგნეს მეცხვარეები, ქალებს<br>
დაუწყეს ხსენება".

მთაში მზე რომ ამოდის, მისი სხივები ერთბაშად არ ეფინება გარემოს. იგი პირველად მთათა უმაღლეს მწვერვალებს გაანათებს. ესაა დრო - „მთისწვერთმზემოე", ზმნისართულად - „მთისწვერთმზემოისი": „მთისწვერთმზემოის ჭარბად სიცივე იცის, ცქრიატი". ამას „მზემოე" მოჰყვება - მზის ნათელი მთათა ქვედა ფერდობებს ჩამოჰყვება და მეცხვარეთა საცხოვრებელ ადგილზეც ამოვა, მაგრამ აღმოსავლეთის მხარეს ხევ-რუვებში, კლდეთა და ბექების ძირებში კვლავ ჩრდილები დგას. როცა მზე ცაზე იმდენად წამომაღლდება, რომ ამ ჩრდილებს გაფანტავს, მისი სხივები მთლიანად მოეფინება მიდამოს, დგება დრო „მზეებგაშლით". მზის ამოსვლის შემდეგ ცხვრის ფარები ღამის სადგომებს ტოვებენ, საძოვრად გადიან. ამ დროს მეცხვარულად „ცხვრებგაშლა" ანუ ზმნისართულად „ცხვრებგაშლით" ჰქვიან. მეცხვარეები შინასაქმიანობას იწყებენ: ბინაზე დარჩენილ კოჭლებსა და ავადმყოფებს მიხედავენ, ვეტმომსახურებას გაუწევენ - კოჭლებს, მატლიანებს „დააკეთებენ" წყლულებს დაუმუშავებენ, წამალს მოაყრიან, შესახვევსა და შესაკრავ ფეხებს შეუკრავენ და ამათაც საძოვარზე გადენიან „საკოჭლეში" - ბინის სიახლოვეს დაცულ ადგილას. მერე ზოგი შეშაზე წავა, თუ წყალი შორსა აქვთ, ზოგი წყალს მოიტანს, სხვები თავის პირად ტანსაცმელს, ფეხსაცმელსა თუ სამუშაო ინვენტარს იწესრიგებენ. ამ დროს საწველი ფარა ბინისკენ მოემართება. დაახლოებით დღის თორმეტი საათისთვის იგი საწველ

ბაკის კარს მიდგება და იქ დაეყ-რება. ესაა დრო „ცხვარმიდგომით" ან „ცხვარმიყენებით". ამ დროს „სარქალი" - ბინის მამასახლისი. - რომელმაც მანამდის ცხვრის ტყავისაგან საყველე გუდა მოამზა-და, საწველი ბაკის ღობესთან სარძევე კოდს დადგამს, ზედ „საწუ-რავს" - რძის გასაწურ მოწყობილობას - დაადგამს, ნაბდებითა და ქუ-ჩით დაათბუნებს და მწველავებს სადილად მიიწვევს. ამ დროს ცხვრის ფარა ბაკის კარს „ნაწილარზე" ყრია და იცოხნის, რძეს იყუ-ნებს. ყველაფერი ეს დაახლოებით ერთ საათს



გასტანს. მერე დგება დრო „ცხვარშერეკვით". მეცხვარეები საწველი კასრებით და არყის წყვლებით ხელში ფარას დაიკვე-ლებენ, ბაკში შერეკავენ და 3-4 საათის განმავლობაში წველიან. მზე დასავლეთისკენ გადაიხრება, როცა წველას ამთავრებენ და ფა-რას კვლავ საძოვარზე გადენიან. ესაა დრო „ცხვარგაშვებით". მწვე-ლავები კასრებს დარეცხავენ, თვითონაც დაიბანენ, ტანსაცმელს გამოიცვლიან. სარქალი ყველს ჩაა-დებს და მეცხვარეებს „სამხარ-ზე" მიიწვევს. ამასობაში მზე დასავლეთის ცისკიდურზე გადაი-ნაცვლებს, ჩახასვლელად დაექანე-ბა, დასავლეთის მხარეს ფერდობებ-ზე კლდეებსა და ბუჩქ-ბუჩქებში ჩრდილები გაჩნდება. ესაა პერიოდი „გრილოებგამოყრით". „გრილოებგა-მოყრით" ყელზე გაშლილი ფარები ღამის სადგომებისკენ - „ნაწილარე-ბისკენ" აიღებს გეზს. ძოვნით გაძღ-ება, თუ ამ დროს ფარამ „ვახშა-მი არ აილო," ღამე გაპარვას დაიწ-ყებს, მეცხვარეს გააწვალებს.

გრილოებგამოყრის მერე მოდის „მზეჩაე". „მზეჩაის" მერე დრო „მზეჩასვლით" არის. იმ ადგილას, სადაც მეცხვარეები ცხოვრობენ, მზე ჩავიდა, მაგრამ მისი სხივები შორეულ მწვერვალებს კვლავ ად-გას. როცა ეს სხივებიც გაქრება, ესაა დრო „მზეებნაკრეფით". ამის შემდეგ გარემო ფერს იცვლის. რეხს, მგლისფერს დაიდებს და დროსაც ასე ჰქვია - „შემგლისფე-რება". რასაც „თვალისკიდი" მოჰყ-ვება - ბნელდება, მაგრამ კაცი თვალს კვლავ აჭრევინებს, რაღაც-რაღაცეებს ისევ არჩევს გარემოში. მერე ღამდება, დგება „დაბინდება" და მერე „ვახშმობა". მეცხვარე ძაღლს „თვალისკიდსავე" აჭმევს და ისიც „დაბინდებითვე" გადის თემზე საყარაულოდ. „ვახშმობის" მერე მეცხვარეც გადის, თემს შემოუვ-ლის და დაწვება. ძაღლი ფხიზ-ლობს, მეცხვარე იძინებს. „ვახშმო-ბაგადასვლით" მეჯოგის ვარსკვლა-ვი, რომელიც „თვალისკიდსავე" ჩნდება დასავლეთის მხარეს, ჩადის. ამ დრომდის ზამთარში მეჯოგე ცხენის ჯოგს მინდორში აძოვებს და მერეღა შერეკავს „საჯოგეში" - ღამის სადგომში. მრავალია რომ შუა ცას გადაცდება, შუაღამე გა-დასულია. „შუაღამეგადასვლით" „ცისკარმოემდე" ტყური ნადირი, ცხვრის ფარების ეს დაუძინებელი მტერი, ბუნაგში ბრუნდება. ძაღლი, რომელიც მანამდის ფხიზლობდა, იძინებს. დგება „ძაღლისძილის დრო". ამ დროს დაწყებული ავდა-რი მეცხვარეს არ უყვარს: „ძაღლისძილის დროს" დაწყებული წვიმა მთელი დღე გასტანს, „დაბინდე-ბით" ან „ვახშმობას" დაწყებული კი გათენე-ბამდის გადაიღებს.

„ძ ა ღ ლ ი ს ძ ი ლ ი ს დროს" კვლავ „ცისკარ-მოე" და „თენება" მოჰყვე-ბა, რომელსაც მეცხვარე ერთობ პოეტურად ხე-დავს და აღიქვამს, რაც არც თუ იშვიათად ხალ-ხური პოეზიის მშვენიერი ნიმუშების დაბადების საფუძველი ხდება ხოლმე:

**„ცისკარმა ამოანათა, ფუძე**
**შეიძრა ცისაო,**
**მასკვლავნიც ეფარებიან შორი**
**მზის შუქის ჩრდილსაო,**
**შაგკილდით შურთხის კივილი**
**ნაკარობ გამოდისაო,**
**სამცორნომ სუსხად გადმოხკრა**
**ცივი ნიავი მთისაო."**

## ახალი წიგნი



მადინა კარბოზია

# ყური დავუგდოთ დიდ იაკობს

„აუცილებელია დედაენაზე სწავლება... თუ გვინდა, რომ ხალხს სულიერი საზრდო მიეცეს“. ბრძანა იაკობ გოგებაშვილმა ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში. რა მდგომარეობაა ათასწლეულის ბოლოსა და 21-ე საუკუნის დასაწყისში? რა გასაჭირი ადგას მშობლიურ ენას, მის სწავლებას? ვღებულობთ კი სულიერ საზრდოს ქართულ ენაზე? ბევრი იტყვის, რა დროს სულიერი საზრდოა, ქვეყანა თავზე გვექცევა. ქართველები ფიზიკურ გადარჩენაზე ზრუნავენ, ვის სცალია ქართული ენის სიწმინდეზე, ქართული ლიტერატურის ღირებულებაზე იფიქროს?

„დედა-ენა არის ღერძი, რომელზედაც მიგორავს ეტლი ერის წარმატებისა. დააზიანეთ ეს ღერძი და ეტლი უკან ჩამორჩება ყველა სხვა ერის ეტლსა. გატეხეთ და იგი ერთ ალაგას გაშეშდება“ (ი. გოგებაშვილი). დარწმუნებული ვარ არცერთ ქართველს არ სურს „ეტლი წარმატებისა“ დაზიანდეს ან გატყდეს. ეს რომ არ მოხდეს, რას აკეთებს ჩვენი ხელისუფლება? რას ვაკეთებთ ჩვენ, თითოეული ქართველი? - თითქმის არაფერს.

„დედა-ენა არის ძვირფასი სალარო, დაუსრულებელი რვეული, რომელშიაც დაცულია მთელი სიმდიდრე ხალხის გონებისა, ფანტაზიისა და გულისა, ნაგრძნობისა და ნამოქმედარისა და რომლის შესწავლა ბავშვს აკავშირებს მთელის ერის სულთან და გულთან, მის ხანგრძლივს ისტორიულს ცხოვრებასთან და ავსებს მას სულიერის ღონით და მხნეობით“. გოგებაშვილის ამ ნაფიქრალს თეორიულად ყველა ქართველი დაეთანხმება, მაგრამ პრაქტიკულად რა ხდება? როგორი ქართული გვესმის ტელევიზიიდან? როგორი ქართულით იწერება ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული წერილები თუ ინფორმაციები?

ქართული სახელმწიფო ენაა, ამ ენაზე ვწერთ, ვკითხულობთ და ვფიქრობთ, რომელი ქართველი იტყვის მშობლიური ენა არ ვიციო, პირიქით, აქეთ მოგედავებიან - რას მიედ-მოედებით, საქმე გამოგლევიათო. ზოგმა ისიც შეიძლება თქვას წერონ და იკითხონო... არა, ბატონებო, საქმე უფრო ცუდადაა, ვიდრე თქვენ გგონიათ. ქართული ენა ავადაა. თუ ვინმე შემეკამათება, ამის დამადასტურებელი არგუმენტიც ბევრი შეიძლება მოვიტანო. აიღეთ ნებისმიერი გაზეთი, წაიკითხეთ თავიდან ბოლომდე, რამდენ შეცდომას იპოვით? ათს, თხუთმეტს, ოცს?... არა, ბატონებო, მეტს. რა გვესმის ტელევიზიიდან?- დაბინძურებული ქართული. რას ვხედავთ ასე უხვად გამოფენილ სარეკლამო ფირნიშებზე? იმავეს. მაშ, რა ქნას ახალგაზრდა თაობამ? რაც ესმის და რასაც ხედავს, იმას იმეორებს. XIX საუკუნეში არ არსებობდა ამდენი ენის სიწმინდის დამცავი მექანიზმი, მაგრამ ილიას, აკაკის, იაკობის თაობამ უფრო მეტად დაიცვა და შემოგვინახა მშობლიური ენა.

მოდით, გადავხედოთ რას კითხულობს დღევანდელი ახალგაზრდა, უკაცრავად, თინეიჯერი.

„ასე იყო თუ ისე, სცენაზე ვარსკვლავების გამოჩენამ დარბაზში მჯდომთ თავისებური გაზაფხული მოუტანა და მაყურებელიც არ დარჩა ვალში, ოვაციები თითოეულ მომღერალზე დიდხანს არ ცხრებოდა“ (რეზონანსი, 23.03.01)“ სტატიის სათაურია „ბუჩქის ძირას“ „ფლეშის“ მენეჯერი დაჭრეს. როგორც გაირკვა, „ფლეშის“ მენეჯერი ქალაქგარეთ, ტყეში კი არა ფილარმონიის საკონცერტო დარბაზის ფოიეშია დაჭრილი, რაც შეეხება ტერმინს „ბუჩქის ძირას“ - კონცერტის სახელწოდება ყოფილა თურმე.

„ისინი გამოკამრთელდნენ. თქვენ?“ გვეკითხება მეტროს ვაგონებში გაკრული მაღალპოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული რეკლამა. „რატომ იგრძნო ხუციძემ შეურაცხყოფილად თავი“ - კითხულობს „შოუ დაიჯესტის“ გარეკანზე ჟურნალისტი. „განაცხადო და ფაქტიურად შეურაცხყოფა მიაყენო ადამიანს... ამის უფლება მე მგონი არავის არა აქვს“ (შოუ დაიჯესტი №4). არა, ამ ჟურნალის თანამშრომლებმა ნამდვილად არ იციან მშობლიური ენა.

„XXI საუკუნეში პირველი შოუ არა უშავს, გამოიყურებოდა, თბილისის ფილარმონიისა და ჩვეულ განათების ფონზე მაინც“.

„დათო გომართელის „გაზაფხული, აპრილი“-ის ანშლაგმა კინალამ „ბებერი“ ფილარმონია „დააჩოქა“... სცენაზე შავისა და თეთრი ფონის საინტერესო კონტრასტები იყო, თუმცა პატივცემული საზოგადოების არ იყოს, მეც დიდხანს ვფიქრობდი „გომარაა“ შავი თუ „გრეჩიხა“? (შოუ დაიჯესტი №4).

ვერაფერს იტყვი ჩინებული ლოგიკაა. საოცარი მიგნებებით (როგორ აღმოუჩენია ჟურნალისტს თავისი სტილი). რა დახვეწილი წერის მანერაა!.. ახლა ხომ მოდაშია, თუ გაულით მაინც ხარ ნამყოფი საზღვარგარეთ, ყველა დაწესებულების კარი ღიაა შენთვის, თუ თვითმფრინავით გადაუფრენე ამერიკას, მით უმეტეს. და თუ საყველპურო ინგლისურიც იცი, ხომ გაგიმართლა და ესაა. ქართული? რა საჭიროა, ჩვენ ხომ ისედაც ქართველები ვართ. მშობლიური ენა დედის რძესთან ერთად გვაქვს შეთვისებული.

„ენის ერთობაც ძალა გახლავს ერისათვის...“, ყური დავუგდოთ დიდ იაკობს, მივსდიოთ მის რჩევას, თუ ენის ერთობა ერის ძლიერებას მოასწავებს, იქნებ ვუმკურნალოთ ჩვენს მშობლიურ ენას, დავიწყოთ ზრუნვა მისი სიწმინდისათვის. მით უმეტეს, როცა ქვეყნის პირველი პირიც ამასვე მოგვიწოდებს „ენაა... ეროვნული კულტურისა და ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბების უპირველესი საშუალება“. (საქ. რესპუბლიკა №272, 1998 წ. 21 ოქტ.).

22101

ბელა ნიფურია

# ლუიჯი მაგაროტო - ქართული ლიტერატურის მკვლევარი

1999 წელს ქართველოლოგიური სკოლის ცენტრის მარჯორი უორდროპის სახელობის პრემია მიენიჭა იტალიელ ქართველოლოგს, ვენეციის უნივერსიტეტის პროფესორს ლუიჯი მაგაროტოს.

მარჯორი უორდროპის პრემია ენიჭებათ უცხოელ ქართველოლოგებს უპირატესად მთარგმნელობითი საქმიანობისათვის, ქართული ლიტერატურის ძეგლების ამეტყველებისათვის უცხოურ ენაზე. პროფესორ ლუიჯი მაგაროტოს მთარგმნელობითი მოღვაწეობის წყალობით იტალიურ ენაზე გახმიანდა გალაკტიონ ტაბიძის, ტიციან ტაბიძის, სიმონ ჩიქოვანის ლექსები, ვაჟა-ფშაველას პოემები - „სტუმარ-მასპინძელი", „ალუდა ქეთელაური", „გველის მჭამელი". ქართველოლოგიის დარგში იგი ეწევა აქტიურ პედაგოგიურ და ორგანიზატორულ საქმიანობასაც. იგი გახლავთ რედაქტორი ქართველოლოგიური კრებულებისა: „ავანგარდიზმი თბილისში" და „გეორგიკა" (I-II ტ.). მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ მისი ძირითადი პროფესიული ინტერესი ქართველოლოგიისადმი უწინარესად ლიტერატურისმცოდნეობითი ასპექტით არის მიმართული. ლუიჯი მაგაროტო ავტორია ათობით სტატიისა და გამოკვლევისა ქართული ლიტერატურის შესახებ. აღსანიშნავია, რომ, განსხვავებით უცხოელ ქართველოლოგთა დიდი ნაწილისაგან, რომლებიც ძირითადად იკვლევენ ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლებს, ლუიჯი მაგაროტოს კვლევის სფერო მოიცავს ახალ და უახლეს ქართულ ლიტერატურას. მის ნაშრომებში განხილულია ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველას, გალაკტიონ ტაბიძის, ტიციან ტაბიძის შემოქმედების ასპექტები. ქართული ლიტერატურისმცოდნეობისათვის უცხოელ ქართველოლოგთა მიერ შექმნილი ნაშრომები რამდენიმე



თვალსაზრისით არის მნიშვნელოვანი. ერთი მხრივ, რა თქმა უნდა, განსაკუთრებით ფასეულია ის, რომ ლუიჯი მაგაროტოს დაკვირვებები ყოველთვის არის აღბეჭდილი მისი პირადი, სუბიექტური თვალთახედვით, რაც წარმოადგენს კიდეც ლიტერატურისმცოდნეობითი საქმიანობის, ლიტერატურული ნაწარმოების ინტერპრეტაციის პროცესის აუცილებელ წინაპირობას. ამდენად, როცა ჩვენ მის სტატიებს ვეცნობით, ვეძებთ მათში სწორედ ავტორის სუბიექტურ პოზიციას. მაგრამ, მეორე მხრივ, არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორია თვით ის არეალიც, რომლიდანაც მომდინარეობს ავტორი, როგორც სუბიექტი. ეს არეალი საკმაოდ განსხვავებულია ქართული ლიტერატურის ბუნებრივი არეალისაგან. ამდენად, ავტორის სუბიექტური დაკვირვებები ქართულ მწერლობაზე არეკლავს განსხვავებულ სულიერ, მხატვრულ, სააზროვნო, ლიტერატურისმცოდნეობით ველში ჩამოყალიბებულ ტრადიციებს. ხშირ შემთხვევაში ეს გამოვლინდება კიდეც იმ მასალის არჩევაშიც, რომელიც უნდა გახდეს მკვლევრის დაკვირვების საგანი. ერთი მხრივ, ეს არის იმ კლასიკოსების მემკვიდრეობა, რომელიც ბუნებრივია, მიიპყრობს ქართული მწერლობით დაინტერესებული პიროვნების ყურადღებას: ილიას, ვაჟას პოემები, გალაკტიონის, ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსები - მეორე მხრივ კი - ქართული ავანგარდიზმი, ფენომენი, რომლის კვლევაც დიდად არ იყო წაქეზებული ჩვენს სინამდვილეში მაშინ, როცა ლუიჯი მაგაროტომ გამოხატა თავისი დაინტერესება. თავად ეს არჩევანიც, შესაძლოა, განპირობებული იყო, სწორედ, ევროპული ლიტერატურული არეალით, რადგან იმხანად, 80-იანი წლების დასაწყისში, ქართულ მწერლობაში უკვე რეაბილიტირებულნი იყვნენ ცალკეული მწერლები - ავანგარდიზმის წარმომადგენლები, მაგრამ ჯერ კიდევ არ იყო რეაბილიტირებული ავანგარდი, როგორც მიმდინარეობა, როგორც მხატვრულ-ესთეტიკური და მსოფლმხედველობრივი ფენომენი. მაგრამ უნდა აღინიშნოს,

რომ დღესაც, როცა ქართული ლიტერატურისმცოდნეობაში ავანგარდიზმი აღარ წარმოადგენს აკრძალულ თემას, უგულებელყოფილია ხოლმე თბილისში ავანგარდის, როგორც ასეთის, არსებობის მნიშვნელობა. რასაკვირველია, ცხადია, რომ საქართველოში ავანგარდი ბოლომდე არ განვითარდა, რომ ცნობილი პოლიტიკური მოვლენების გამო მას არ მიეცა ამგვარი გასაქანი და ვერ მოახდინა შემდგომი ზეგავლენა ქართული ხელოვნების განვითარებაზეც. მაგრამ ეს სრულიადაც არ ამცირებს თბილისში ავანგარდის არსებობის მნიშვნელობას და არც იმ ნაწარმოებთა მხატვრულ-ესთეტიკურ მნიშვნელობას, რომლებიც შეიქმნა საქართველოში ავანგარდიზმის აქტივობის პერიოდში და, რაც ყველაზე ნიშანდობლივია, არ ამცირებს ამ მნიშვნელობას სწორედ ევროპული ლიტერატურული პროცესის, ევროპული ავანგარდიზმის არეალში, რამდენადაც ცხადია, რომ ავანგარდი არ წარმოადგენს ლოკალურ მოვლენას და, მეორე მხრივ, სრული სახით ვერ იქნება შესწავლილი ცალკეულ ქვეყნებში მისი განვითარების თავისებურებების შესწავლის გარეშე.

ვფიქრობთ, სწორედ ამის დადასტურებაა იტალიელი ლიტერატურისმცოდნის დაინტერესება ქართული ავანგარდით. ის ფაქტი, რომ იგი პირადად გვევლინება არა მხოლოდ უაღრესად საინტერესო ნაშრომის, „ქართული ავანგარდის ისტორიისა და თეორიის" ავტორად, არამედ ფუნდამენტური კრებულის „ავანგარდიზმი თბილისში"-ს რედაქტორად, ჯანროპერტო სკარჩიასთან ერთად (ვენეცია, 1985 წ.).

ის შეხედულებები, რომლებსაც ლუიჯი მაგაროტო გამოთქვამს ქართველ სიმბოლისტთა და ფუტურისტთა დაჯგუფებების მოღვაწეობის შესახებ, გამოირჩევა ავტორის ანალიტიკური პოზიციით. ეგრეთ წოდებული „გარეშე თვალის" ფაქტორი, რასაკვირველია გარკვეულ როლს ასრულებს მაშინ, როცა ქართული მწერლობის შესახებ მსჯელობს არა ის პიროვნება, ვისაც ბავშვობიდანვე შესისხლხორცებული აქვს მწერლობისთვის ორგანული ენობრივი, კულტურული, ისტორიული ტრადიცია, არამედ ის, ვინც სავსებით განსხვავებული ენობრივი და კულტურულ-ისტორიული არეალიდან აკვირდება მას. ხშირ შემთხვევაში ამგვარი ავტორისათვის უცხო არეალის თავისებურებანი ერთგვარი მზა არგუმენტია თავად მწერლობის თავისებურებების ასახსნელად. ამასთანავე, ხშირად იგი უფრო თვალნათლივ ამჩნევს იმ განმასხვავებელ ნიშნებს, რომლებიც ქართველ ავანგარდისტებს ავანგარდიზმის საერთო ტრადიციისგან გამოარჩევს. სწორედ ამიტომ აღნიშნავს ლუიჯი მაგაროტო: „არც ერთ სხვა ქვეყანაში ადამიანის აზროვნებაზე ისე არ მოქმედებს ტრადიცია და ისტორია, როგორც საქართველოში. ქართველი მოდერნისტების ცდები ტრადიციის ერთგვარი გაგრძელება იყო. ქართველმა ავანგარდისტებმა ინდივიდუალური გზა მონახეს მსოფლიო ავანგარდის გამოცდილების ფონზე. სწორედ აქ იწყება მათი ორიგინალობა და ერთადერთობა". უაღრესად საყურადღებოა ლუიჯი მაგაროტოს შეხედულებები, გამოთქმული „ცისფერი ყანწების" შესახებ. იგი აღნიშნავს, რომ ცისფერყანწელთა მანიფესტები და თეორიული წერილები უფრო მეტად არის აღბეჭდილი იმ დროისათვის ევროპულ ლიტერატურაში უკვე მოძალებული ავანგარდული შეხედულებებით, ვიდრე უშუალოდ სიმბოლიზმის გამოცდილებით, რომლის გათავისებასაც ისახავდნენ მიზნად ეს მწერლები. მაგალითად, პაოლო იაშვილის „პირველთქმას" ლუიჯი მაგაროტო ადარებს მისივე თანამემამულის, ფილიპო ტომაზო მარინეტის ფუტურისტულ მანიფესტებს და ამ ანალოგიათა საფუძველზე ასკვნის კიდეც, რომ „პირველთქმას" მეტი საერთო აქვს ფუტურიზმთან, ვიდრე სიმბოლიზმთან. რასაკვირველია, ლ. მაგაროტოს ამ თვალსაზრისს ამყარებს ის ფაქტი, რომ მაშინ, როცა ცისფერყანწელები სიმბოლიზმის ძირითადი პრინციპების ქადაგებას იწყებენ, ეს პრინციპები უკვე რადიკალიზირებულია ავანგარდისტთა მიერ, აქედანვე შეიძლება მომდინარეობდეს ის რადიკალიზმი, რომლითაც აცხადებენ ქართველი პოეტები სიმბოლიზმის ძირითად პოსტულატებს ქართულ სინამდვილეში. მაგრამ ლუიჯი მაგაროტოს აზრით, თავიანთი პრაქტიკული, მხატვრული მოღვაწეობისას ცისფერყანწელები ნამდვილ სიმბოლისტებად გვევლინებიან. სწორედ იმდენად, რამდენადაც ისინი ითავისებენ სიმბოლიზმის გამოცდილებას სიმბოლიზმის შემდგომდროინდელი ლიტერატურული ტენდენციების გათვალისწინებით, ლუიჯი მაგაროტო განსაზღვრავს „ცისფერყანწელებს", როგორც პოსტსიმბოლისტურ დაჯგუფებას. ქართველ ფუტურისტთა შემოქმედებაზე მსჯელობისას კი გამოჰყოფს იმ თავისებურებებს, რომლებითაც გამოირჩევა ქართველი ავტორების შემოქმედება ევროპელ ფუტურისტთა გამოცდილებისაგან. საკუთრივ კი განსაკუთრებით საინტერესოდ მიიჩნევს სიმონ ჩიქოვანის ცდებს ზეგრწერაში. მაშინ, როცა ლუიჯი მაგაროტო მსჯელობს ქართველი კლასიკოსების - ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველას შესახებ, მისი შეხედულებები ემყარება ევროპელ კლასიკოსთა შემოქმედების

შესწავლისას მიღებულ გამოცდილებას. ხშირ შემთხვევაში იგი ეძიებს კიდეც პარალელებს ქართველ და ევროპელ ავტორთა შორის, რომელთაც განსაკუთრებით ანათესავებს სულიერი და მსოფლმხედველობრივი პრობლემები. სწორედ ამ თვალსაზრისით აწყვილებს იგი ნიკოლოზ ბარათაშვილსა და ჯაკომო ლეოპარდის. ამ პოეტების შემოქმედებითი პარალელების ძიებისას ლუიჯი მაგაროტო მსჯელობს, ერთი მხრივ, ზოგად პრობლემებზე, რომლებიც შეიძლება ანათესავებდეს ორ პოეტს, რომლებიც ერთი ლიტერატურულ მიმდინარეობის წარმომადგენლებად ითვლებიან, მეორე მხრივ, კი იმ განმასხვავებელ ნიშნებზე, რომლებიც იჩენს თავს ღრმა ინდივიდუალიზმით აღბეჭდილი პოეტების შემოქმედებაში. მაგრამ განსაკუთრებით საინტერესოა ლ. მაგაროტოს დაკვირვებები მაშინ, როცა სწორედ ინდივიდუალური ნიშნების ანალოგიურობას გამოკვეთს ორი განსხვავებული ქვეყნის წარმომადგენელთა სულიერ წყობაში. სწორედ ამგვარ ნიშნად ასახელებს ლუიჯი მაგაროტო ინდივიდუალური მსხვერპლშეწირვის უნარს, რომელიც ჯაკომო ლეოპარდის და ნიკოლოზ ბარათაშვილსაც „დაწყევლილი ბედის გარდაუვალობასთან" წინააღმდეგობის გზად ესახებათ.

ძალზედ საინტერესო კუთხით განიხილავს ლუიჯი მაგაროტო ქართული პოეზიის ერთ-ერთ უთვალსაჩინოეს ქმნილებას, ილია ჭავჭავაძის „განდეგილს". მისი დაკვირვებით, მხერითი, მჭვრეტელობითი აღქმა წარმოადგენს განდეგილის ერთ-ერთ ძირითად პოზიციას და სწორედ ამიტომ პოემის პოეტიკური ანალიზი მხერის პოეტიკას უნდა დაემყაროს.

განსაკუთრებით ნიშანდობლივად გვესახება ის ფაქტი, რომ ლუიჯი მაგაროტოს მოღვაწეობაში ერთმანეთს დაუკავშირდა მთარგმნელობითი და ლიტერატურისმცოდნეობითი მოღვაწეობის ასპექტები. ავტორი ირჩევს სათარგმნელ მასალას, მთარგმნელობითი მუშაობის პროცესში კი უმუშავდება ლიტერატურისმცოდნეობითი დაკვირვებები, რომელთაც შემდგომ სტატიების სახით აყალიბებს და ხშირად წინ წაუმძღვარებს თარგმანს. სწორედ ამიტომ ამ სტატიებში მწერალთა შემოქმედების ისეთი ნიუანსები გამოიკვეთება, რომლებიც სიტყვიერ სამყაროში სპეციფიური წვდომის პროცესში ხდება საცნაური.

ამ თვალსაზრისითაც არის ჩვენთვის საინტერესო ლუიჯი მაგაროტოს წერილი ტიციან ტაბიძის „ლექსი-მეწყერის" შესახებ, ვაჟა-ფშაველას პოემების შესახებ. მისი ვრცელი წერილი, რომელიც ვაჟა-ფშაველას შემოქმედებას ეძღვნება, ერთ-ერთი საყურადღებო, გასათვალისწინებელი ნაშრომია არა მხოლოდ იტალიელი მკითხველისათვის, რომლისთვისაც იწერება კიდეც ის, არამედ ქართველი ლიტერატურისმცოდნეებისთვისაც. ის ეთნოგრაფიული ექსკურსი, რომელიც წინ უძღვის ვაჟას პოემების ანალიზს, ერთგვარად ათვითცნობიერებს მკითხველს იმ სულიერ და მსოფლმხედველობით ატმოსფეროში, რომლებიც განსაზღვრავს მის წეს-ჩვეულებებს: ამ წეს-ჩვეულებათა დაპირისპირება სუბიექტის პოზიციასთან კი განსაზღვრავს პოემათა პრობლემატიკასაც. სამივე პოემის - „სტუმარ-მასპინძლის", „ალუდა ქეთელაურის", „გველისმჭამელის" - ანალიზისას ლუიჯი მაგაროტო გამოყოფს ერთ კონკრეტულ ეპიზოდს, რომელიც კომპოზიციურად, ემოციონალურად თუ მსოფლმხედველობრივად წარმოადგენს იმ საყრდენ წერტილს, რომლის ირგვლივაც არის განფენილი ნაწარმოების მხატვრული ქსოვილი. „ალუდა ქეთელაურის" შემთხვევაში ამგვარ პუნქტად გვევლინება ალუდას სიზმარი, რომლის ანალიზისასაც ლუიჯი მაგაროტო ქმნის იმ სპექტრს, რომელშიც გარდატეხს საკუთარ თვალთახედვას პოემის ინტერპრეტაციის პროცესში.

თუკი ვაჟა-ფშაველას პოემების თარგმნისას მაგაროტომ თავისი დაკვირვებები საკმაოდ ვრცელი გამოკვლევის სახით ჩამოაყალიბა, გალაკტიონ ტაბიძის ლექსების თარგმანს მხოლოდ მცირე წინასიტყვა წარუმძღვარა, მაგრამ ამჯერადაც საინტერესო დაკვირვებები შემოგვთავაზა, რომლებიც, კვლავ და კვლავ, სიტყვის, როგორც თვითკმარი ერთეულის აღქმას ეფუძნება. გალაკტიონის სიტყვა ჟღერადობის, ევფონიის და მუსიკალობის წყალობით იძენს ჭეშმარიტი პოეზიის ერთ-ერთ უიშვიათეს თვისებას, ავტონომიურ თვითღირებულებას, სადაც, სემანტიკური მნიშვნელობის გარდა, სიტყვას საკუთარი, განსაკუთრებული მნიშვნელობაც აქვს მინიჭებული.

პროფესორ ლუიჯი მაგაროტოს პედაგოგიური, მთარგმნელობითი და ლიტერატურისმცოდნეობითი საქმიანობა განუყოფელია ერთმანეთისაგან სწორედ იმდენად, რამდენადაც თავად ქართულ ენასთან და ქართულ ლიტერატურასთან ზიარების პროცესი გულისხმობს მისთვის, ერთი მხრივ, შეცნობას, გააზრებას, მეორე მხრივ კი, საკუთარი გამოცდილების გაცხადებას და იტალიელი მკითხველისთვის აღსაქმელი ფორმით მიწოდებას. ქართველოლოგიური სკოლის ცენტრი მარჯორი უორდროპის პრემიის მინიჭებით, ვფიქრობთ, გამოხატავს მთელი ქართველი ხალხის მადლიერებას პროფესორ ლუიჯი მაგაროტოსადმი.

უკანასკნელ ხანს ერთობ არასახარბიელო მდგომარეობა შეიქმნა ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკაში. ყველა, ვისაც წერა-კითხვა უსწავლია, ვისაც სკოლაში მოწაფეებისათვის ერთი დღეც არ უსწავლებია, ანდა კიდევ, ვისაც სოლიდური ცოდნა აქვს ლიტერატურათმცოდნეობაში, მაგრამ ლიტერატურის სწავლების მეთოდიკაში, რამდენადაც ვიცი, ჩხირიც არ გადაუბრუნებია - აი, ყველა ეს ხალხი ლაღად გვთავაზობს ნაირნაირ რეკომენდაციებს საშუალო სკოლაში პროგრამული ნაწარმოებების მეთოდიკურად დასამუშავებლად და, თქვენ წარმოიდგინეთ, სასწავლო სახელმძღვანელოებსაც ადგენენ მხატვრულ ლიტერატურასა და „ღვთა ქმნაც".

ამჯერად მოკლედ შევეხებით ზოგიერთი მათგანის მეთოდიკურ რეკომენდაციებს.

ცნობილმა მწერალმა და ლიტერატურათმცოდნემ ბატონმა რისტომ ბეჟანიშვილმა გასულ წელს ლიტერატურულ გაზეთში გამოაქვეყნა წერილი „უწიგნურობისა და პარადოქსების ქვეყანა" („ლიტერატურული საქართველო", №24 (3281), 9-15 ივნისი, 2000 წ.). ჩემი კოლეგა ნუ მიწყენს, თუ ვიტყვი, ერთობ უშეღავათოდ იწუნებს საშუალო სკოლის ყველა დისციპლინის სახელმძღვანელოს. „თვალი გადაავლეთ ნებისმიერ დისციპლინაში, - ვკითხულობთ წერილში,- საშუალო სკოლის სახელმძღვანელოებს, იქიდან იბისა და ხიჭელის სურნელი ცემს" (აქაც და ქვემოთაც ხაზგასმა ჩემია შ.ქ.).

ცხადია, ვერავის ვიტყვი, რამდენად მართებულია წერილის ავტორის ასეთი ვერდიქტი სხვა დისციპლინების სახელმძღვანელოების მიმართ, მაგრამ შეუძლებელია გვერდი აუარო საშუალო სკოლაში მხატვრული ლიტერატურის სწავლებასთან დაკავშირებით მის ასეთ მოსაზრებას:

„შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ საშუალო სკოლა მომავალ მკითხველს კი არ ზრდის, ' არამედ კლავს. მცდარია თვით სწავლების

შოთა ქურდაძე

# მივხედოთ ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკას

მეთოდიკა, მისი ფორმა, შინაარსი... ლიტერატურა ისწავლება როგორც სოციალურ-პოლიტიკური საგანი და არა როგორც ესთეტიკური ფენომენი, რომელსაც არავითარი საერთო არა აქვს სოციალურ-პოლიტიკურ ასპექტთან - ლიტერატურის სოციალური მორალი - მისი ესთეტიკური სიმშვენიერიდან გამომდინარეობს". ვეთანხმები წერილის ავტორს იმაში, რომ ლიტერატურა არ უნდა ისწავლებოდეს, როგორც სოციალურ-პოლიტიკური საგანი. ეს რეცეპტი თუკი სადმე რომელიმე მასწავლებლის მუშაობაში აქა-იქ შეინიშნება, ჩვენი აზრით, უფრო სხვა გარემოების ბრალია და ერთობლივად უნდა ვიზრუნოთ ამის გამოსასწორებლად როგორც ლიტერატურის სწავლების მეთოდისტებმა, ისე ლიტერატურათმცოდნეებმა.

მაგრამ მიძნელდება გავიზიარო მისი შენიშვნები მთლიანად მეთოდიკის შინაარსსა და ფორმაზე. ჯერ ერთი, მხატვრული ლიტერატურის სწავლების შინაარსი ოდენ მისი მსოფლმხედველობითი მხარე არ არის, რაც შეეხება ლიტერატურის სწავლების ფორმას - აქაც, თუ ობიექტურად ვიმსჯელებთ, ისტორიულად სკოლებიდან პოეტიკისა და რიტორიკის მექანიკური სწავლების უარყოფის შემდეგ ჯანსაღმა პედაგოგიურმა და ლიტერატურათმცოდნეობითმა აზრმა იმარჯვა და მოსწავლეებს ლიტერატურის სპეციფიკის სწავლება თვით მხატვრული ლიტერატურის ნაწარმოებით დააწყებინეს. ყველგან და საქართველოშიც მყარი საფუძველი შეიქმნა მხატვრულ ქმნილებათა ფორმისა და შინაარსის შეხამებულად სწავლებისათვის, მრავალმა შემოქმედმა პედაგოგმა და სწავლულმა ფორმის თვალსაზრისით სკოლაში შემოიტანა და მიზნობრივად გამოიყენა მომავალი თაობის სასწავლო-აღმზრდელობითი ამოცანების გადასაწყვეტად ისეთი სისტემები, პრინციპები, გზები და მეთოდები, როგორიცაა ახსნითი კითხვა, ლიტერატურული კითხვა, მაღალ კლასებში ლიტერატურის სასკოლო ისტორიის სწავლება, ტექსტების გამომეტყველებითი და კომენტირებული კითხვა, თხზულების შთამბეჭდავი არაერთი ხერხი, ნაწარმოების ანალიზის სხვადასხვა გზები და სხვა. ყველა აქ დასახელებული ტექსტზე მუშაობის საშუალებანი ლიტერატურის სწავლების ფორმაში შედის და ერთობაშიც. ერთი ხელის აქნევით იმის მტკიცება, რომ „მცდარია თვით სწავლების მეთოდიკა, მისი ფორმა და შინაარსი საშუალო სკოლაში" არაკორექტულად გვეჩვენება. რასაკვირველია, არ გამოვრიცხავთ, რომ ლიტერატურის სწავლებისას ყველა მასწავლებელი ერთნაირი დონით იყენებდეს დასახელებულ მეთოდიკურ არსენალს, ეს სხვა საკითხია. ამას უთუოდ უნდა ვებრძოლოთ კონკრეტული ფაქტებითა და კონკრეტულ პიროვნებებთან სათანადო მუშაობით. მაგრამ ვიმეორებთ, ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ თითქოს მეთოდიკური მეცნიერება არ არსებობდეს და მასწავლებლისათვის

უცხო იყოს ეს მეთოდიკა.

დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, თხუთმეტსაუკუნოვან ქართულ მწერლობას საუკუნეების მანძილზე ეკლესია-მონასტრებში, სპეციალურ სასწავლებლებსა თუ შეძლებულ ოჯახებში ასწავლიდნენ, ქმნიდნენ ცოდნის სახით სათანადო მითითებებს, რეკომენდაციებს ლიტერატურული თხზულების შინაარსისა და ფორმის გაცნობა-ათვისებისათვის და ეს დიდი გამოცდილება მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში სამოციანელებისა და, კერძოდ, იაკობ გოგებაშვილის მიერ გაფორმდა პედაგოგიკურ მეცნიერებად.

დღეს ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა ძირითადად შეიარაღებულია საიმედო მეთოდიკური მონაპოვარით, თუმცა ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ თანამედროვე ცხოვრების შემდგომი სრულყოფა-განვითარების პირობებში დავჯერდეთ მონაპოვარს, არ ვიზრუნოთ ლიტერატურის სწავლების ნოვატორული მეთოდების ათვისებაზე. ეს ჩვენთვის გარდაუვალია, მაგრამ უნდა გვახსოვდეს ისიც, რომ ტრადიციული პროგრესული პედაგოგიკური მონაპოვარი შემოქმედებითად გამოვიყენოთ. ასეთია ჩვენი მეთოდიკური პოზიცია.

ოღონდ ყოველი ახალი, თითქოსდა ნოვატორული მეთოდის გაცნობისას დიდი სიფრთხილე და წინდახედულება გვმართებს. ამ თვალსაზრისით ჩვენს ყურადღებას იქცევს ე.წ. ინტერაქტიული მეთოდების პროპაგანდა. მხედველობაში მაქვს თბილისის 51-ე საშუალო სკოლაში ბლუმისა და ჯიქსის მეთოდებით ჩატარებული ლიტერატურის სწავლების გაკვეთილები („ახალი სახალხო განათლება“ 25-31 მარტი, 1999 წ., №10 (30)).

ეს გაკვეთილები ერთი შეხედვითაც კი ნიმუშია იმისა, თუ როგორ არ უნდა ისწავლებოდეს მხატვრული ნაწარმოები სკოლაში. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ბავშვები ერთობლივად კი არ კითხულობენ, ალიქვამენ თუნდაც განსხვავებული შესაძლებლობით მხატვრულ ნაწარმოებს და ამ გზით შესასწავლი მასალის შინაარსს, მის გამომხატველ მწერლურ ოსტატობას, არამედ ცალ-ცალკე. მერე ეს მოსწავლეები „ერთმანეთს უყვებიან ნაწარმოების უცნობ თავებს და შესაბამისი ნომრები დაფაზე გაკრულ ცხრილში წერენ წაკითხული თავების გეგმას. ასახელებენ პერსონაჟებს, სენტენციებს. აქვე ხდება ნაწარმოების განხილვა“. რა არის ეს? პირველყოვლისა, ეს არის ლიტერატურული ნაწარმოების უტექსტოდ სწავლება. ამიტომაც მხარს ვუჭერ მასწავლებლების ნინო რამიშვილისა და ნატო მეფარიშვილის მოსაზრებებს იმის თაობაზე, რომ „ამ გაკვეთილზე ლიტერატურის ფენომენი დაიკარგა“, დაირღვა ნაწარმოების ლიტერატურული ღირებულება. უთუოდ საყურადღებოა წერილის ავტორის - ლალი ჯელაძის პოზიციაც - „პედაგოგებმა ამ მეთოდიკაში მხატვრული სიტყვის ღირებულების დაკარგვის საფრთხე დაინახეს“.

დიახ, სკოლაში არსებითია მხატვრული ნაწარმოების ტექსტუალური შინაარსის და ფორმის მოსწავლეთა მიერ ერთ მთლიანობაში უშუალო წაკითხვით შეგნებულად გაცნობა, მისი ათვისება და არა წაუკითხავი, გაუცნობელი და აუთვისებელი ნაწარმოების შინაარსზე და ფორმაზე ფორმალური მსჯელობა. ეს ლიტერატურული ნაწარმოების მექანიკური სწავლებაა, რაც დიდი ხანია დაგმო ჯანსაღმა, პროგრესულმა, პედაგოგიკურმა აზროვნებამ.

„ლიტერატურული საქართველოს“ 2001 წლის 23 თებერვალ-1 მარტის ნომერში ბატონმა როსტომ ბეჟანიშვილმა კვლავ გამოაქვეყნა წერილი „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა უსარგებლო სირთულეების მარწუხში“. ეს წერილი არა მხოლოდ დასათაურებით ჰგავს წინა წერილს, არამედ სულისკვეთებითაც. თუმცა ისიცაა, რომ იგი უფრო კონკრეტულად ეხება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის თითქმის ყველა სპექტრს, სტრუქტურას, სწავლების შინაარსს, სხვადასხვა კლასების სახელმძღვანელოებს, გვიჩვენებს მისეულ შეფასებას თითოეულ მათგანზე, მსჯელობს მოწაფეთა ცოდნისა და ასაკობრივი თავისებურების შესახებ და სხვა მრავალ საკითხზე.

ბუნებრივია, აქედან ჩვენს ინტერესს იწვევს მსჯელობა ლიტერატურის სწავლების საკითხებზე. აქვე ისიც გვინდა შევნიშნოთ, რომ წერილის ავტორი ამჯერად უფრო კონკრეტულად მსჯელობს ლიტერატურის სწავლების არაერთ აქტუალურ პრობლემაზე, ვიდრე ეს წინა წერილში იყო. მაგალითად, ეხება მე-7 კლასში ლიტერატურის სწავლებას და უფრო შორსაც მიდის - გვთავაზობს მხატვრული მწერლობის სწავლების მისეულ სტრუქტურას მთლიანად საშუალო სკოლაში. რა შეიძლება ითქვას ყოველივე ამის შესახებ? ვიზიარებთ წერილის ავტორის მოსაზრებას მე-7 კლასის ლიტერატურის ქრესტომათიის გადატვირთვის შესახებ. ვფიქრობთ, საკმარისი იყო აქ სასწავლებლად შეტანილიყო ერთი რომელიმე ფსალმუნი, ასევე აჯობებდა ამ ეტაპზე „ვეფხისტყაოსნიდან“ უფრო მცირე მოცულობის მასალის შერჩევა და სხვა. ამასთან ერთად, ჩვენ არ მიგვაჩნია სადავოდ მე-7 კლასში ქრესტომათიული საჭიროებით თემატიკური მოთხოვნის საფუძველზე სასწავლებლად შეირჩეს მასალები თხუთმეტსაუკუნოვანი მწერლობიდან. აქ მთავარი ისაა, რა მოცულობით შევიდეს ეს მასალა და როგორ ვასწავლოთ.

ცალკე გვინდა გამოვყოთ საშუალო სკოლაში საერთოდ ლიტერატურის სტრუქტურისა და, რაც მთავარია, „ვეფხისტყაოსნის“ სწავლების საკითხები. ბატონი როსტომის აზრით, „აჯობებს ძველი ქართული მწერლობა და მათ შორის „ვეფხისტყაოსანი“ ვასწავლოთ საშუალო სკო-

ლის დამამთავრებელ კლასში. ეს მოსაზრება არ არის ახალი. მეცნიერულმა პედაგოგიკურმა აზროვნებამ საფუძვლიანად უარყო იგი და მხარი დაუჭირა პოემის ყველა კლასში გარკვეული დოზით სწავლებას. ამ საკითხთან დაკავშირებით გასული საუკუნის 80-იანი წლების დასასრულს გაიმართა ფართო დისკუსია, სადაც მონაწილეობა მიიღო არაერთმა მოწინავე პედაგოგმა, მეთოდისტმა და ლიტერატურათმცოდნემ. კერძოდ, 1987 წელს ამ დისკუსიაში მონაწილეობდა ცნობილი ლიტერატურათმცოდნე და საზოგადო მოღვაწე კობა იმედაშვილი, რომელმაც აღნიშნა: „ვეფხისტყაოსნის" ტექსტთან შეჩვევა ადრევე უნდა დავიწყოთ, დაბალ კლასებშივე ერთიორი აფორიზმით, ამა თუ იმ პატარა ეპიზოდით, მეთერთმეტე კლასისათვის ტექსტი მოსწავლეს ფაქტიურად მთლიანად უნდა ჰქონდეს წაკითხული". („ლიტერატურული საქართველო", 1987 წ. 27 ნოემბერი) (ხაზგასმა ჩვენია, შ.ქ.).

ამ მოსაზრებას ჩვენ დავუჭირეთ მხარი და ისიც აღვნიშნეთ, რომ პოემის მასალების სწავლების მეთოდიკა ყველა კლასში ჯეროვნებით არ არის შემუშავებული, ამიტომ საორიენტაციოდ მასწავლებლებს შევთავაზეთ ასეთი პრინციპები: „I-VIII კლასებში პოემის თანდათანობითი შერჩევითი სწავლება; IX კლასში პოემის ტექსტის მთლიანობითი სწავლება; X-XI კლასებში პოემის გაღრმავებული სწავლება" (შ. ქურდაძე, „ვეფხისტყაოსანი" სკოლაში" გვ. 110, 1995 წელი).

„ვეფხისტყაოსნის" სწავლების ეს მოთხოვნა ძირითადად გათვალისწინებულია მოწინავე მასწავლებლების მიერ, მაგრამ ფაქტია, რომ ყველა კლასისათვის პოემის მასალების თანდათანობით სწავლებისათვის ყველა მასალა რაციონალურად ჯერ კიდევ ნაკლებად არის შერჩეული. კერძოდ: V, VI, VII, VIII კლასებში პოემიდან დიდი მოცულობის მასალა ისწავლება და რაც არასასიამოვნოა, მე-7 კლასის ქრესტომათიის შემდგენლები საჭიროდ თვლიან პოემიდან წინა კლასში შესწავლილი ეპიზოდების შინაარსი გამეორების სახით მოთხრობითი ფორმით გაახსენონ მოწაფეებს. უკვდავი პოემის წარმტაცი შინაარსისა და ფორმის თხრობითი მეთოდით გადმოცემა დიდი ხანია დაგმო ჯანსაღმა პედაგოგიკურმა აზრმა. ნუთუ ვერ ხვდებიან ქრესტომათიის შემდგენლები, რომ პოემის შინაარსის ამგვარი სახით გახსენება თუ სწავლება მწვანე შუქს უნთებს კლასიკური თხზულების სპეციფიკის უგულებელყოფას. მოწაფეებს და შეიძლება ზოგიერთ პედაგოგსაც უბიძგებს შოთა რუსთაველის პოეტური ხიბლი ნაცვლად უშუალო კითხვისა, ვიღაც-ვიღაცების თხრობით გაიცნონ.

იმასაც გვიკვირს, ძველი მწერლობისა და „ვეფხისტყაოსნის" სწავლებაც გადავიტანოთ დამამთავრებელ კლასში. რატომ? იმ უბრალო გარემოების გამო, რომ აქ მოწაფეები ბევრად განათლებულნი არიანო და ძველ მწერლობას უფრო ადვილად დაძლევენო. როგორც ცნობილია, აქამდე „ვეფხისტყაოსანი" ძველ მწერლობასთან ერთად წაღმართი გზით ისწავლებოდა და ზეცა თავზე არ დაგვმხობია. ესეც რომ არ იყოს, მაღალ კლასებში ხომ პროგრამით სასკოლო ლიტერატურის კურსის ისტორია ისწავლება და რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ? ჩვენი დიდი სულიერების მრავალსაუკუნოვანი განვითარების ისტორია დასაწყისიდან მიზნობრივად არ ვასწავლოთ?! დავიწყებულია ის ჭეშმარიტებაც, რომ საშუალო სკოლაში ძველი მწერლობა პროგრამული მოთხოვნით უნდა ვასწავლოთ და არა უმაღლესი სკოლის პროგრამით.

არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ იოლად, გარკვეული სიძნელეების თანდათანობითი დაძლევის გარეშე არცერთი დისციპლინის სწავლება არ შეიძლება. ეს ე.წ. სიძნელეები ძველ ქართულ მწერლობაში ადრეც დაძლეულა და მომავალშიც დაიძლევა, რისთვისაც საჭიროა რაციონალურად შედგენილი ქრესტომათია და მასწავლებელთა და მოსწავლეთა შემოქმედებითი მუშაობა.

ჩვენ მივესალმებით გაზეთ „ახალი განათლების" რუბრიკას „საუბრები ვეფხისტყაოსანზე". ეს კარგი წამოწყებაა იმ თვალსაზრისით, რომ მასწავლებლებს ხელი შეეწყობათ გაეცნონ და გაიზიარონ საშუალო სკოლის მოთხოვნების მიხედვით ეს მასალები და გამოიყენონ მხოლოდ სკოლის პროგრამის მიხედვით. ოღონდ, ძალიან კარგი იქნება, თუ გაზეთში ასევე დაიბეჭდება მოწინავე მასწავლებელთა მდიდარი პედაგოგიური გამოცდილება პოემის სწავლებასთან დაკავშირებით.

რაკი მასწავლებელთა გამოცდილების გამომზეურებაზე ვლაპარაკობთ, არ შემიძლია სინანულით არ აღვნიშნო ის ფაქტიც, რომ უკანასკნელ პერიოდში ლიტერატურის სწავლების უაღრესად საჭირბოროტო საკითხების შესწავლა-განხილვაში, თუ არ ვცდები, ძალზე ნაკლებად მონაწილეობენ ის კვალიფიციური მეთოდისტები, რომლებმაც სამეცნიერო ხარისხი სწორედ ამ დარგში მიიღეს.

ერთი სიტყვით, როგორც ვხედავთ, ბოლო ხანს მავანი და მავანი არა ერთ „ნოვატორულ" მეთოდებს, რეკომენდაციებს გვთავაზობს, ისე არ გამოგვივიდეს, „თურაშაულის პატრონი ტყეში დაეძებს პანტასაო". ჯერ ჩვენი ეროვნული პედაგოგიკური მონაპოვარი კარგად ავითვისოთ, მერე კი ყოველივე სასარგებლოსა და სწავლების ახალ მეთოდებს შემოქმედებითი მიდგომით კარი გავუღოთ ჩვენს სასწავლებლებში. ბუნებრივია, ასეთ ვითარებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება განათლების სამინისტროს შესაბამის განყოფილებისა და სამეცნიერო-მეთოდური დაწესებულებების თანმიმდევრულ, ურყევ პოზიციასაც.

# გურამ დოჩანაშვილის ორი მოთხრობა და ჩვენი წინადადება

ჩვენს ქვეყანას დიდი გასაჭირი ედგა მრავალი წლის განმავლობაში, ხშირად მონური თავმდაბლობაც კი ჰქონდათ შეპარული ქართველთ. ისევ ლიტერატურას, ხელოვნებას უნდა ეხსნა ერი. ახერხებდნენ კიდეც ქართველი ხელოვანები ამ რთულ და ძნელ საქმეს, თუმცა ყოველივე ჭეშმარიტი ქართული, ეროვნული ე.წ. სოციალიზმის ცენზურაში ტარკებოდა. მართლაც გმირობის ტოლფასი იყო მაშინ ეროვნული, ჭეშმარიტად ქართული სიტყვის თქმა.

კომუნისტურმა პარტიამ ეროვნული სულისკვეთება მოადუნა. ზნეობა შეირყვნა. ქართული ტრადიციები მიზანმიმართულად იდევნებოდა და პროვინციალიზმად ინათლებოდა. სწორედ ამ პერიოდში, როცა „გათითოკაცებული" ქართველნი თვლემდნენ, გურამ დოჩანაშვილი თავისი მოთხრობებით აფხიზლებდა საზოგადოებას.

მოთხრობაში „ჩემი ბუჭუტა, ჩვენი ტერეზა" გ. დოჩანაშვილი წერს... „მუდამ მოისმის რაღაც იდუმალი, შორეული, რომელსაც მიწვდომა უნდა, რომელიც უნდა გაიაზროთ, რომელსაც უნდა დაუდარაჯდეთ, მერე მიაგნოთ და მიხვდეთ, ჩასწვდეთ, ახსნათ, და თუნდაც ვერ ახსნათ, მაინც უნდა იპოვოთ ეს იდუმალი ხმები, მაგრამ ჯერ, უპირველეს ყოვლისა, იდუმალს გაგონება უნდა და რას გაიგებთ სიცილხარხარსა და სადღეგრძელოებში".

მკითხველი, რა თქმა უნდა, მიხვდება, რომ ეს იდუმალი და შორეული, რომელსაც უნდა მივხვდეთ და გავითავისოთ, არის ქვეყნისა და პიროვნების თავისუფლება, ქართული ეროვნული ტრადიციების დაცვა. ოღონდ ეს მთელი ერის, ყოველი ქართველის საქმეა. თითოეულმა მამულიშვილმა, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ თავში უნდა ეძიოს ლიდერი და მებრძოლი.

ერთი კაცი, რაც უნდა სრულყოფილი და უნაკლო, რაც უნდა თაკდადებული და მოწადინებული იყოს, ვერაფერს შეცვლის, ვერაფერს მიაღწევს, თუ თანამოაზრეები არ ეყოლება.

რა თქმა უნდა, დიადი, საქვეყნო საქმეების კეთებას, ქვეყნის თავისუფლების მოპოვებასა და მატერიალური კეთილდღეობის მიღწევას აუცილებლად სჭირდება ლიდერი, ეროვნული გმირი, მაგრამ იგი ფრთებშეკვეცილია, თუკი საზოგადოება არ არის მზად კეთილი თესლის გასაღვივებლად და აღმოსაცენებლად. სწორედ ამაზე მიანიშნებს მწერალი ამ მოთხრობაში: „მაგრამ ყველაფერზე უცნაური ისაა, ხანდახან ქვეყნის მოწესრიგებას რომ აპირებთ, ვის არ გადასწვდებით ლაპარაკში, ვილას არ გაჰკრავთ კბილს. მთელი კაცობრიობის გამოსწორებას აპირებთ ხოლმე, გარდა ერთადერთი ადამიანისა - საკუთარ თავს არ თვლით იმ ლეგიონში. კეთილი ინებეთ და უფრო სწორი იქნება, ჯერ საკუთარ თავებს რომ მიხედოთ... და მერე ინებეთ ქვეყნის გამოსწორება".

მოქმედება მიმდინარეობს პარალეთში. თვითონ სახელწოდება „პარალეთი" - სიმბოლურია, რადგანაც პარალეთლების მთავარი საზრუნავი გართობაა. მათ სხვა დიდი ნაკლიც აქვთ: დღევანდელი თანამეინახენი ხვალ ერთმანეთს ეკინკლავებიან, მტრობენ, ცილს სწამებენ. და აი, ჩამოდის „კაცი", რომელსაც მათი გამოფხიზლება და გამოსწორება აქვს განზრახული. მაგრამ მისი შეგონება, ქადაგება ამაო იყო. მოსულმა მხოლოდ ფიზიკური ძალადობის გამოყენებით შეძლო გამოესწორებინა ერთი კაცი - ტერეზა, რომელიც ამის შემდეგ გახდა მორჩილი შვილი, გვერდში ამოუდგა მამას. მიზანს რომ ვერ მიაღწია, წავიდა გაწბილებული „კაცი", რომელიც ასე ემშვიდობება პარალეთლებს:

...„კ ა რ გ ა დ ბ რ ძ ა ნ დ ე ბ ო დ ე თ ... აღარც კი ვიცი, რა გირჩიოთ, ძველებურად ყოფნა თუ შეცვლა, თუ არ ვიცი, თქვენ დამაბნიეთ ნამდვილად. კარგად იყავით პარალეთელნო... ეჰ და წავიდა. ცხენით მოვიდა და ფეხით წავიდა". ესეც სიმბოლურია. კაცი ცხენით მოვიდა როგორც მხედარი, დარწმუნებული, რომ დაეხმარებოდა მოყვასს, მაგრამ ამაოდ... წავიდა ფეხით, დათრგუნული, შეწუხებული.

ილია ჭავჭავაძის თქმით, ადამიანი ყოველგვარი ქმნილების გვირგვინია. ამასთან დაკავშირებით გავიხსენოთ მღვდლის სიტყვები „გლახის ნაამბობიდან": კაცი ის არის, ვინც „თვითონ დამწვარა, ზღაპრისა არ იყოს, სანთელსავით და სხვისთვის კი გაუნათებია. კაცი ის არის... რომელიც თავის გონების ნამუშევარს გულის სიკეთეს ხიდად გასდებს, რომ თუ არა თვითონ, სხვამ მაინც მშვიდობით გაიაროს".

ეძებდა ილია კაცს, რომელსაც სამშობლოზე გული შესტკიოდა. საკმარისია, ორიოდე სიტყვით გაგვაცნოს ავტორმა თავად თათქარიძეების სახლ-კარი და მიდამო, და

მივხვდებით, რა სულიერი უნდა ყოფილიყო დავანებული ამ ეზო-კარ-მიდამოში. „შუაღამემდინ ცოლ-ქმარნი გაცხარებული დაჭარხლებულნი" ფილოსოფიურად ბჭობდნენ იმაზე, ორაგულია თევზების მეფე თუ თართი, ჩიხირთმა სჯობია თუ ბოზბაში. დილიდან საღამომდე ერთადერთი საფიქრალი ჰქონდათ: „დღეს რა ვჭამოთ",- იტყოდნენ დილით, „ხვალ რა ვჭამოთ", - იტყოდნენ საღამოს.

აქ პარალელი უნდა გავავლოთ გურამ დოჩანაშვილის მოთხრობასთან „ერთი რამის სიყვარული, დაკარვა რომ სჭირდება, ანუ მესამე ძმა კვერაძე", - სადაც მწერალმა ნათლად წარმოაჩინა ადამიანი, რომელსაც საერთო-საზოგადო საქმის სიყვარული დაკარგული აქვს და ერთადერთ საზრუნავად თავისი პირადი კეთილდღეობა გაუხდია. ესაა გერასიმე, თანამედროვე, ტიპური ქართველი, ფუნქციონერი, რომელსაც ჭეშმარიტი მამულიშვილი შალვა კვერაძე ამ სიტყვით ამხელს: „ჩვენ, ადამიანები, მრავალფეხა არსება ვართ, სხვადასხვა წესით მოარული, და არ ვართ, როგორც შენ ეს გგონია, მარტო, რადგანაც დიდი სიტყვა - ერი გქვია და მე, ვისაც მუდამ მახსოვს ეს, შენ, სამშობლოდავიწყებული, მხოლოდ პირადი კეთილდღეობით გატაცებულ-აღტაცებული, წამოგიყვანე აქ, ჩემთვის დროებით რომ აგეწყო ფეხი, ამ წმინდა ღელეშიც კი გაგებანინე ტანი, გაყოყოჩებულს ყრუელი რომ შემოგცლოდა, მაგრამ აჰ, არა, ნურას უკაცრავად, მაინც ვერ შეგაგრძნებინე ის სითბო, რითაც მე ვცხოვრობ და რითაც ვსუნთქავ, შენ შენის ჭკუით, კვლავაც ჩემზე ამაღლებული, გაპრანჭული დარჩი. მაგრამ იცოდე, უსამშობლოდ - კაცი არა ხარ".

თუ განელდა ადამიანებში თავისი ქვეყნის სიყვარული, ქვეყანაც დაეცემა. ამიტომ აღწერს გურამ დოჩანაშვილი მოთხრობაში იმერეთის სოფელს, მის ლამაზ პეიზაჟებს. საქართველო მარტო თბილისი არ არის. ცივი გრძნობა-გონების ადამიანში სიყვარულის სხივი ვერ შეიხედავს, ვერც ვერახოდეს დაატკბობ მშობლიური ბუნების სილამაზით, ვერასოდეს გაახარებ კაცური სიცილით. ვაჟას თქმისა არ იყოს, „საზარელია დადგომა უგრძნობლობისა გზაზედა". გულგრილობა ყველაზე დიდი დანაშაულია. გერასიმე ვერ იგებს კვერაძის პატრიოტიზმს, აღიზიანებს იგი და უნდა მისგან თავის დაღწევა, რადგან ისინი სხვადასხვა ენაზე საუბრობენ. შალვა სამშობლოზე შეყვარებული ადამიანია, გერასიმესათვის კი სამშობლო მხოლოდ ცნებაა. ...მას მხოლოდ ის უხარია, კავკასიონს ზემოდან რომ დასცქერის: „მიხაროდა, რადგან თვითმფრინავი გზაა, ხოლო გზას, გამოზომილ-დაგეგმილს, შედეგი მოაქვს, ახლა, ამჟამად, საბოლოოდ მაშინ მოვედი ხასიათზე, სიმაღლე რომ ავიღეთ - მე მიყვარს, როცა შესანიშნავ კავკასიონს ზემოდან დავცქერი".

გერასიმეს დიდად სიამოვნებს, როცა თავის ქვეყანას ზემოდან გადმოსცქერის, მაშინ გამოუკეთდება გუნება, მიწაზე სიარული კი არ უყვარს, ვერ ეგუება ტალახსა და მტვერს... გერასიმე, ფაქტობრივად, თავის სამშობლოში უსამშობლო კაცია. უსამშობლოობა კი უფრო საშიშია, ვიდრე ლუარსაბობა.

ზნემაღალ პიროვნებას აღზრდა სჭირდება: „საკმარისი არ არის, რომ კაცი მეცნიერი იყოს, დიდი ცოდნა მიელოს, ამასთანავე იგი კაი კაციც უნდა იყოს, და კაიკაცობის შეძლებაც ჰქონდეს. კაი-კაცობა და კაი-კაცობის შეძლება მარტო ზნე-ხასიათისაგან ეძლევა ადამიანს... ავი კაცი რამოდენადაც დიდად სწავლულია, იმდენად უფრო საშიშია, იმდენად დიდად მავნებელია",- წერდა ილია. და მართლაც, გერასიმეს - ისტორიკოსს, თავისი სამშობლოს შეცნობის უნარი დაქვეითებული აქვს... „იცოცხლე, კაია, კარგი ლიეპა და კარლსრუე, გერასიმე, მაგრამ სამშობლოც უნდა გიყვარდეს, და რომ გიყვარდეს, უნდა იცნობდე. აბა იქითკენ გაიხედე, რა ხაზებია, გერასიმე, და რა სირბილე... მიწას კი ნუ ჩაჩერებიხარ, გერასიმე, იყურე ირგვლივ... და არ წააგებ".

როგორც ფრიდრიხ ნიცშე ამბობდა, კულტურა ესთეტიკური სტილის მთლიანობაა. ჭეშმარიტი ეროვნული კულტურა ყოვლად შეუძლებელია ესთეტიკური სტილის დამოუკიდებლად. დღეს ჩვენს ხელოვნებაში, საზოგადოებრივ და ოჯახურ ცხოვრებაში, თუნდაც ლაპარაკსა და ჩაცმა-დახურვაში აღარ ჩანს ის ეროვნული იერი, ჩვენმა წინაპრებმა რომ ჩამოაყალიბეს საუკუნეთა განმავლობაში. წარსულის პატივისცემით მომავალი ნათდება. უფროსმა თაობამ უნდა შეაყვაროს ყმაწვილს ისტორია: შალვასა და გერასიმეს მასპინძელი ზემოიმერელი გლეხი იხსენებს თბილისელ არქეოლოგს: „აქ, ამ აღმართ-დაღმართში, ერჩია დილა-საღამოს სიარული, ხერგულას კლდეში ტრიალი, თანაც გვიხსნიდა ჩვენ ჩვენს წარსულს, როგორც კი თავისუფალ დროს მოიხელთებდა, და, თავიდან თუ ჩუმჩუმად გვეცინებოდა, ამხელა ქალს კაცის მისაბოჭად როგორ მოუცლიაო, მერე, თანდათანობით, შეგვაყვარა ჩვენც თავისი საქმე, და ბოლოს მივხვდით, რომ ჩვენი საქმეც კი ყოფილა მშობლიური კუთხის ისტორია და სიყვარული". ისტორია გზაა ჩვენი ვინაობის წარმოსაჩენად. ნაწარმოების გმირი შალვა კვერაძე ლაღი, თავისუფლებისმოყვარე, აუმღვრეველი გონების პატრიოტია. მას აქვს

დაუცხრომელი ნდომა და სიყვარული სიცოცხლისადმი და უთანხმოება ყველაფერთან, რაც ადამიანს ამქვეყნიური არსებობის გათელვითა და გაუფასურებით ემუქრება. იგი თავდაპირველად თითქოს არასერიოზულ კაცად წარმოგვიდგება: „მე წავედი სოფელ-სოფელ წოწიალის გზით". მაგრამ მას ღრმა ფესვი აქვს გადგმული ჩვენს მიწაში. იგი დაუღალავი, შეუპოვარი კაცია, ბევრს არ ითხოვს ცხოვრებისგან.

თანამედროვე საზოგადოებას მობეზრებული აქვს მაღალი ტრიბუნებიდან ზნეობრივი სიწმინდის პრინციპების ქადაგება, რადგან ეს ქადაგება გამაგრებული არ არის თვით მქადაგებლის საზოგადოებრივი საქციელით. ბურამ დიჩხაშვილს არ უყვარს მჟღერალა ფრაზები. იგი გადაკრული სიტყვით, თავმდაბლად მიგვანიშნებს იმ ძირითადზე, რასაც სამშობლოს სიყვარული ქვია. მწერალი აგრძელებს ქართული ლიტერატურის ტრადიციებს და უპრიანი იქნება, ისწავლებოდეს სკოლაში ზემოთ აღნიშნული ორი მოთხრობა, რომლებშიც მე-20 საუკუნის II ნახევრის ქართველთა ცხოვრების ფონზე გაშუქებულია ორი მარადიული თემა ხელოვნებისა: კაცობისა და ადამიანობის პრობლემა და პიროვნების დამოკიდებულება სამშობლოსადმი. დიდი ილიაც ხომ ამას გვასწავლის: „სკოლამ უნდა მოუმზადოს ერს გონებითა და გულით გაღვიძებული კაცი იმიტომაც, რომ იგი საკუთარის ჭკუითა და გულით გაუქირვებლად გაუძღვეს იმ სულიერ და ხორციელ პატარა მოედანს, სადაც ერის უმრავლესობა სულს იბრუნებს, სულითა და ხორცით იღვწის და მოქმედებს".

**მანანა ნებიერიძე,**

***ქ. თბილისის გ. ტაბიძის სახელობის 51-ე საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი***

# რატომ ვივიწყებთ საკუთარს და ვითავისებთ უცხოს?

***2000 წლის ოქტომბერში საქართველოს რადიოს I არხზე დალი მორგოშიას საავტორო გადაცემაში „ფოლიანტები" მიწვეულნი იყვნენ თბილისის სასულიერო აკადემიის თანამშრომელი ზ. ცხოვრებაძე და ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელი ნ. ლამბაშიძე. საუბარი შეეხებოდა მთაწმინდისა და მამა დავითის ტაძრის როლსა და მნიშვნელობას. სტუმრებმა გაიხსენეს წმინდა დავით გარეჯელის ცხოვრება და მოღვაწეობა. გადაცემა ძალიან საინტერესო და აქტუალური იყო, საუბარი მთაწმინდაზე წამოწყებულ მშენებლობებსაც შეეხო. ბ-მა ზ. ცხოვრებაძემ აღნიშნა, რომ „ირღვევა სწორი დამოკიდებულება წმინდანისადმი, მისი ტაძრისადმი. ამგვარი დამოკიდებულება კი აისახება ყველაზე, თვით იმათზეც, ვინც დღეს სასახლეებს აგებს და ფარავს მამა დავითის ტაძარს, რაღა თქმა უნდა, ეს მათ ცხოვრებაზეც აისახება".***

**ᲒᲗᲐᲕᲐᲖᲝᲑᲗ ᲜᲘᲜᲝ ᲚᲐᲛᲑᲐᲨᲘᲫᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐᲡ.**

ადამიანი, ქალაქის ცენტრიდან ან მისი რომელიმე კუთხიდან რომ ხედავს მამა დავითს, მამა დავითის ტაძარს, ფაქტიურად, ეს მისთვის ხატიც არის, რომელზეც მორწმუნე მოწიწებით ლოცულობს. ჩემთვის სავსებით გასაგები და ნათელია ისიც, რომ დროთა განმავლობაში სიახლე უნდა შემოვიდეს ადამიანთა ცხოვრებასა და ყოფაში, საკუთარი ადგილი დაიმკვიდროს, სხვაგვარად არც შეიძლება, მაგრამ არის რაღაც მარადიული, რომლის შეხებას ადამიანი უნდა უფრთხოდეს. არსებობს ტრადიცია, რომლის უწყვეტობა ერისათვის აუცილებელია. ხშირ შემთხვევაში ტრადიციაში მომხდარი წყვეტა დიდ სულიერ ტრავმას აყენებს ერს. ამდენად, ტრადიციას უნდა გავუფრთხილდეთ. კერძოდ კი, ტრადიციას, რომელიც მამა დავითს უკავშირდება. მამა დავითის ხსენების დღე, როგორც ცნობილია აღინიშნება ამაღლების წინაზე, ხუთშაბათს. როგორც ბ-მა ზურაბმა ბრძანა, კვირაში ერთხელ მამა დავითი მთაწმინდიდან ქალაქში საქადაგებლად ჩამოდიოდა და ეს დღე სწორედ ხუთშაბათი იყო. მამა დავითის ხსენების დღე, მამადავითობა ქალაქელებისათვის განუზომლად დიდი დღესასწაული იყო და არა მარტო თბილისელებისათვის. მისი შემოგარენიდან წინა დღით ზოგი დილით, ზოგიც საღამოს მოდიოდა, რომ ტაძარში ლოცვას დასწრებოდა. მეორე დღეს, ხუთშაბათს კი ხალხი უწყვეტ ნაკადად მოედინებოდა. ქალაქელები განუზომლად ბედნიერები იყვნენ. იმდენი ხალხი იყრიდა თავს, რომ ტაძარში ადგილი აღარ იყო. ხალხი გარეთ იდგა. პერიოდული პრესის ფურცლებზე მამა დავითის დღესასწაულის აღწერილობას რომ ვეცნობით, ძალაუნებურად ჩვენც ამ დღესასწაულის თანამონაწილენი ვხდებით. თურმე ტაძრისაკენ მიმავალ აღმართზე უწყვეტად მიედინებოდა დიდი თუ პატარა. მათ შორის იყვნენ თეთრებში შემოსილი ბავშვები, რომელთაც მღვდელი ეკლესიის კართან ხვდებოდა.

ვინ იყვნენ ეს ბავშვები? გარდა იმისა, რომ მამა დავითი თბილისის მფარველია, ცნობილია ასე-

ვე, რომ იგი ხელს უწყობს ქრისტიანული ოჯახების შექმნას და მფარველობს მათ, ანიჭებს შვილიერებას. როგორც ცნობილია, ქრისტიანის მეოხი და შემწე ყველა წმინდანია, მაგრამ ზოგიერთი წმინდანის ცხოვრებიდან ვიცით, რომ ღმერთი მათ სხვადასხვა უნარს (მაგ.: კურნებისას) უბოძებდა. მამა დავითი ხალხში გამოირჩეოდა იმით, რომ ოჯახებს მფარველობდა და შვილიერებას ანიჭებდა. უშვილო ქალები ან გოგონები, რომლებიც ხშირად დედებს მიჰყავდათ, მიდიოდნენ და სთხოვდნენ წმინდანს, რომ მათთვის ბედნიერი ოჯახი და შვილი მიეცა. სწორედ მრავალი წლის უშვილობის შემდეგ შეძენილი შვილის, განსაკუთრებით ვაჟის მამა დავითისათვის მიძღვნით მშობლები ცდილობდნენ წმინდანისათვის მადლობა ეთქვათ და თეთრ სამოსში გამოწყობილი ბიჭუნები ამიტომ მიჰყავდათ ტაძარში. მათ ტაძრის ზღურბლზე მღვდელი ეგებებოდა, თმას აჭრიდა, თეთრ სამოსს ხდიდა და ფერადს აცმევდა. მიძღვნის შემდეგ სამადლობელ პარაკლისს იხდიდნენ. ამის გარდა, მთაწმინდის ძირში მოედანი ყოფილა, რაც დღეს ძნელი წარმოსადგენია. ამ მოედანზე იკრიბებოდა საერთო სახალხო დღესასწაულითა და საზეიმო განწყობით გაერთიანებული ხალხი. ძალაუნებურად გახსენდება 14 თებერვალს ჩვენში დამკვიდრებული ვალენტინის დღესასწაული. ვალენტინობის აღნიშვნა, რომელზეც იმ დღეებში მთელი საქართველო - პრესა, რადიო თუ ტელევიზია აღფრთოვანებით საუბრობს. ყველა ამ დღესასწაულით არის მოცული, ცდილობს ჩაერთოს ზეიმში და ამ დღისადმი საკუთარი დამოკიდებულება გამოხატოს. ვალენტინი, როგორც უკვე თითოეულმა ჩვენმა მოქალაქემ ძალიან კარგად იცის, არის კათოლიკე წმინდანი, რომელიც შეყვარებულებს უწყობდა ხელს დაქორწინებაში. ეს წმინდანი მართლმადიდებელი ეკლესიისათვის უცხოა და ჩვენ მას არ ვცემთ თაყვანს. მეორე მხრივ, ყოველი ადამიანის კეთილი საქმე მისაწონი და მისასალმებელია. მაგრამ, როდესაც ჩვენ გვყავს ასეთი დიდი წმინდანი, რომელიც შეყვარებულებს და უკვე შექმნილ ოჯახებს მფარველობს, აძლევს ბედნიერ ცხოვრებასა და მრავალ შვილს, ასეთ შემთხვევაში გვაოცებს ამგვარი დამოკიდებულება. რატომ დავივიწყეთ საკუთარი და უცხო გვინდა გავითავისოთ? უნებლიეთ გვაგონდება საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ერთ-ერთი ქადაგება, სადაც მან ბრძანა: „როგორ შეგვიძლია შევიყვაროთ სხვისი, თუ ჩვენი არ გვიყვარს“.

შევიყვაროთ მამა დავითი და სხვის კეთილ საქმეებს პატივი ვცეთ. მინდა საკუთარი გამოცდილება გაგიზიაროთ. ის დღესაც მფარველობს, დღესაც ანიჭებს წყვილებს და საერთოდ, ადამიანებს ბედნიერებას. ეს ობიექტური რეალობაა. ჩვენს გვერდით, უკიდურესი უსახობის დროს ერთი ყმაწვილი სახლის ფანჯრიდან დანახულმა ხათლით მოსილმა მამა დავითმა გადაარჩინა. თუნდაც ის ფაქტი, რომ სასწაული ხდება მის ტაძარში, ხატს სდის მირონი, ან ის ფაქტი, რომ მამა დავითის ქადაგების ადგილზე აგებულ ტაძარში (ქაშვეთში) დიდი სასწაული მოხდა, მაცხოვრის ხატი - პირი უფლისა - მინაზე გადავიდა, განა ყველაფერი ეს ნიშანი არ არის, რომ ღვთის მადლი, მამა დავითის მადლი ჩვენთან არის, იქ, სადაც მისი მოღვაწეობის, მისი სულის სუფევის ადგილია. საყურადღებოა ისიც, რომ წმინდანი მამად და მოძღვრად აღიქვა ხალხმა და მისადმი მოწიწება და სიყვარული გამოხატა კიდეც. თბილისელებმა მას წმინდა დავითი კი არ უწოდეს, არამედ მამა დავითი. მას მიმართავდნენ, როგორც საკუთარ მოძღვარს. ეს უძღური სიყვარულის ნიშანია.

ამდენად, დღესაც გვმართებს გვიყვარდეს და პატივს ვცემდეთ მამა დავითს!



ახალმშენებლობა მამა დავითის ტაძართან...

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ნანა ეხვაია**

# როცა საგნებს სიყვარულით უმზერენ



ვინც **გია ლაშხის** შემოქმედებას გაეცნობა, უეჭველად დარწმუნდება პოლ ვალერის სიტყვების ჭეშმარიტებაში: „ფერწერა ნიშნავს, საგნები წარმოჩნდნენ ისე, როგორც ისინი გამოიყურებოდნენ მაშინ, როდესაც მათ სიყვარულით უმზერდნენ".

ყველაფერი, რასაც გია ლაშხის მხატვრული გემოვნება, ფერწერული ხედვა და მკაფიოდ ჩამოყალიბებული პიროვნულ-შემოქმედებითი ინდივიდუალობა ეხება, სწორედ ამგვარი სიყვარულით წარმოჩინდება მნახველის წინაშე. გარდა ამისა, მხატვრის შემოქმედებითი დიაპაზონის არეალში მყოფი საგნები, თავის მხრივ, ჩვენშიც იწვევენ სიყვარულიან მზერას იმით, რომ ნახატის სივრცეში თანამყოფობის განცდას წარმოშობენ.

განსაკუთრებული მსჯელობის ღირსია მხატვრის მიერ ქართველ კლასიკოსთა ნაწარმოებებისთვის შესრულებული ილუსტრაციები. მათში გამორჩეული ადგილი გალაკტიონის ლექსთა ილუსტრაციებს უკავია.

მხატვრისთვის არც ისე ადვილი იყო „პოეზიის მეფის" ურთულეს სამყაროსთან მიახლება. მისი თქმით, გალაკტიონის პოეზია თავისთავად შეიცავს ფერსა და მუსიკალობას, რაც, თითქოს, ხელმეტს ხდის ფერწერაში მათ „გადმოტანას". მხატვარი თვლის, რომ გენიოსის პოეტურ სამყაროსთან შეხების „შემოქმედებითი რიდის" დაძლევაში თვითონ გალაკტიონი დაეხმარა:

გია ლაშხის შემოქმედებას არაერთი გულშემატკივარი ჰყავს. ფართო საზოგადოებას კი წინ აქვს ის ღრმა და ტევად ფერწერასთან შეხების სიხარული. მანამდე კი, ურიგო არ იქნება, გავეცნოთ იმ ცალკეულ დამფასებელთა აზრს, ვინც კარგად იცნობს გია ლაშხის შემოქმედებას.

**მიხეილ ქურდიანი:** - როგორ უცნაურადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, ილუსტრირებაში არსებობს გარკვეული პრობლემა: ხანდახან, ადამიანს ჰგონია, რომ ეს ჰგავს გაფრენის შიშით მიწასთან მიბმულ თვითმფრინავს - ისეთს, კარუსელებზე რომ ტრიალებს. ამიტომ, ილუსტრატორი ვერ შორდება ნაწარმოებს, რომლის ილუსტრირებასაც ახდენს. მაგრამ, გია ლაშხთან სრულიად სხვა შემთხვევაა. მან თვითნებური იმპროვიზაცია კი არ სცადა, არამედ, ღრმად ჩაიხედა გალაკტიონის შემოქმედებაში და საოცარი სინთეზი მიიღო: გიას ხატვის მანერა და ის იდუმალი, რაც გალაკტიონში არსებობს, ჰარმონიულად შეერწყნენ ერთმანეთს.



ახლახან გერმანიაში, ქალაქ დრეზდენში ჯვრის ეკლესიაში გაიმართა მხატვრის პერსონალური გამოფენა გერმანელი ქალბატონის, გუდრუნ ვალტერის, ინიციატივით. როგორც გვითხრეს, გამოფენამ დიდი წარმატებით ჩაიარა. ასეც ველოდით.

საერთოდ, გია ლაშხი თავის ნახატებში ყოველთვის ტოვებს რაღაც იდუმალების, ფანტასმაგორიულის ადგილს. მისი ტექნიკაც არაჩვეულებრივია (ნაცვლად გავრცელებული ერთი ფენისა, მასალის დაფარვა პასტელის მრავალფენოვანი შრეებით და კომპოზიციების ამოყვანა კაწრვის ტექნიკით - ნ.ე.).

გიას ილუსტრაციები ჩემთვის არის არა მხოლოდ ილუსტრაციები, არამედ ზუსტი გრაფიკული ადეკვატები ლექსისა. უხერხული იქნებოდა თქმა, რომ ეს ისეთივე გენიალურია, როგორც გალაკტიონის პოეზია - უბრალოდ, ლექსისა და მხატვრობის შედარება არ შეიძლება, რადგან აბსოლუტურად სხვადასხვა სფეროა. ერთი რამ კი ცხადია: მხატვარმა



გ. ორბელიანი. „სადღეგრძელო"

წარმატებით მოახერხა თავის ნახატებში მოეცა ის მთავარი ენათმეცნიერულ ტერმინს თუ ვიხმართ, რელევანტური, რაც გალაკტიონის შემოქმედებაშია.

მიმაჩნია, რომ გია ლაშხის შემოქმედება ძალიან საინტერესო ეტაპია ქართული გრაფიკის განვითარებაში.

როდესაც იგი სხვა პოეტების - ვთქვათ, ვაჟა ფშაველას, ილუსტრაციებს აკეთებს, მას გაცილებით მეტი მასალა აქვს - ისეთი, რომელშიც არსებობს „თხრობითი მომენტი" - ან ბალადაა, ან პოემა, ან მოთხრობა. გალაკტიონ ტაბიძის ლექსებს კი ეს ნარატიული მხარე არა აქვს. ის, ძირითადად, ქვეტექსტებზე ან სიმბოლოთა გარკვეული თანმიმდევრობის ჯაჭვზე არის აგებული. და, აი, ამის სრულყოფილად გადმოცემას ახერხებს გია ლაშხი.

ერთ მშვენიერ დღეს თუ მოეწყობა გიას გალაკტიონოლოგიური ნახატების გამოფენა, ვფიქრობ, ყველა, ვინც იქ მოვა, თავს იგრძნობს მხატვრის სამყაროში, მაგრამ ეს სამყარო იქნება საერთო იმასთან, რასაც ჩვენ გალაკტიონ ტაბიძის სამყაროს ვუწოდებთ. მინდა სწორად გამიგოთ: არსებობს სამყარო, რომელშიც მხატვარი ღრმად არის შესული - ეს არის პოეტის სამყარო, სადაც მხატვარი თავისუფლად გრძნობს თავს.

ამდენად, ვხედავთ, რომ ყველაზე გასახარი ჩვენთვის ის არის, რომ მისი ნამუშევრები იბეჭდება ჟურნალში „ბურჯი ეროვნებისა", ანუ იმ ჟურნალში, რომელსაც კითხულობენ მასწავლებლები, მოსწავლეები, სტუდენტები. ვფიქრობ, ძალიან ბევრ რამეს მისცემს მათ გია ლაშხის ილუსტრაციები ამა თუ იმ ავტორის შემოქმედებისა და პიროვნების წვდომის თვალსაზრისით.

საინტერესოა მხატვრის მიმართება ფერთან, რომელსაც ის თავის გრაფიკულ ნამუშევრებში იყენებს.

როდესაც მე გრაფიკაში ფერის გამოყენებაზე ვლაპარაკობ, მხედველობაში მაქვს მხატვრების მიერ გამოყენებული სხვადასხვა ტექნიკა, რომელიც გვიჩენს აზრს, რომ გრაფიკაში მთავარი არის ნახატი, ხოლო ფერი დამხმარე, ჭარბი საშუალებაა, რომელიც გვაძლევს ამ ნახატის „დასრულების" გზას.

გიასთან პირიქით, ნახატი და ფერი არის ორი სხვადასხვა, ერთმანეთთან დაკავშირებულ-შერწყმული რამ. შეიძლება ითქვას, რომ გია ლაშხი ხატავს ფერით. ცნობილი პოეტის სიტყვებს მოვიშველიებ: „პროზაში სიტყვა მასალაა, პოეზიაში სიტყვა მიზანია". ასევე, თუ გრაფიკაში ფერი არის საშუალება, მასალა, გია ლაშხის შემოქმედებაში ფერი არის მიზანი და მხატვარი ამას შესანიშნავად ართმევს თავს.

ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოების ჟურნალთან - „ბურჯი ეროვნებისა" გია ლაშხის უანგარო, მრავალწლიან თანამშრომლობაზე მადლიერებით საუბრობს გიორგი გოგოლაშვილი - ენათმეცნიერი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოების დამაარსებელი და თავმჯდომარე, ამავე საზოგადოების ჟურნალის - „ბურჯი ეროვნებისა" -



ნ. ბარათაშვილი. „ვაიმე ბაქარი"



ი. ჭავჭავაძე. „ოთარაანთ ქვრივი"

დამაარსებელი, გამომცემელი და რედაქტორი:

- როცა დავიწყეთ გაზეთის „ბურჯი ეროვნებისა" (რომელიც შემდეგში ჟურნალად გადაკეთდა) - გამოცემა, თავისთავად დადგა მხატვრის საკითხი. ჩვენი საზოგადოება ენთუზიასტებს აერთიანებს და ამდენად, უფინანსობა საშუალებას არ გვაძლევდა, მხატვარი აგვეყვანა. მაშინ, ნანა ურთაშვილმა - ბატონი ბესიკის მოწაფემ და „ბურჯი ეროვნებისას" თანამშრომელმა - თავისი მეუღლის - გია ლაშხის - სამსახური შემოგვთავაზა. როგორც პროფესიონალ მხატვარს, ჩვენ მას ვიცნობდით, მაგრამ მისმა ილუსტრაციებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. გალაკტიონის პოეზიის ილუსტრირებაზე გია ჩვენამდე მუშაობდა. მაგრამ უშუალოდ ჩვენი ჟურნალის დაკვეთით შეასრულა „ოთარაანთ ქვრივის", „სადღეგრძელოს", „განდეგილის", „ჯაყოს ხიზნების", ვაჟა-ფშაველას მოთხრობებისა და სხვა ნაწარმოებთა ილუსტრაციები. მე, როგორც ფილოლოგი, როგორც მკითხველი, ვთვლი, რომ გიას ნახატის გააზრების ფონზე უფრო ადვილად ვწვდებით ამა თუ იმ ლიტერატურულ ნაწარმოებს - პერსონაჟების სახეში, ნახატის კომპოზიციაში ლიტერატურული ნაწარმოების მთელი სათქმელი იკითხება ხოლმე. ყოველი ილუსტრაცია უაღრესად ნიჭიერი მხატვრისა და პიროვნების ნამუშევარია.

ჩვენი ჟურნალის პოპულარობა ბევრწილად განსაზღვრა გიას ილუსტრაციებმა (ჟურნალს - „ბურჯი ეროვნებისა"- ხშირად უწოდებენ „ქართული ცნობიერების ღირსეულ მცველს" და ვინც მას თანმიმდევრულად ეცნობა, ამაში უეჭველად დარწმუნდება. სასურველია, და შეიძლება ითქვას, აუცილებელიც, ამ ჟურნალს უფრო ფართო საზოგადოება ეცნობოდეს - ნ.ქ.). ჩვენ დიზაინერიც კარგი გვყავს - ირაკლი ავალიანი და ერთიანი ძალისხმევით იქმნება ჟურნალის მხატვრული სახე.

გია ლაშხთან უკვე ოთხი წელია ვთანამშრომლობთ. როცა ილუსტრაციას ვუკვეთავთ, ის ხელახლა კითხულობს ნაწარმოებს, თავისებურად უღრმავდება და მერე ხატავს. მიუხედავად იმისა, რომ უამრავი საქმე აქვს და ყველა ჩვენგანივით ყოფითი პრობლემებიც არ აკლია, იგი დიდი მონდომებით, ფაქიზად და გულწრფელად აკეთებს თავის საქმეს.

როცა ბესარიონ ჯორბენაძის წიგნი - „პოეზიის ენა" გამოვეცით, იქვე გიას ილუსტრაციები გამოვიყენეთ. გარეკანი ლექსის - „ქარი ქრის" - მოტივზეა შესრულებული.

ითვლება, რომ მხატვრულ-პოლიგრაფიული გადაწყვეტით „პოეზიის ენა" ბოლო დროს გამოცემულ წიგნთა შორის ერთ-ერთი საუკეთესოა.

ამდენად, არა მხოლოდ ჩვენ, არამედ ჩვენი მკითხველებიც დიდად დავალებულნი ვართ გია ლაშხისგან. კარგა ხანია, ის „მთლიანად ჩვენია" და ვეუბნებით კიდეც, რაკი იმთავითვე თავს იდო ეს დიდი საქმე, ბოლომდე უნდა იტვირთოს ჩვენთან თანამშრომლობა.

გიას დიდი წარმატებები ელის თავისი ნიჭისა და ენთუზიაზმის წყალობით.



ი. ჭავჭავაძე. „განდეგილი"

# ზრუნვა მიცვალებულთა სულთათვის



საქართველო მრავალფეროვანი ქვეყანაა. ეს მრავალფეროვნება კი ქვეყნის ბუნებაშიც აისახება, ხალხის ხასიათსა და ზნე-ჩვეულებებშიც. ამის გამო საეკლესიო წესებიც ხშირად ხალხის შეხედულებისამებრ იცვლება, ერში უმეტესად ხალხის დამკვიდრებულ წესებს უფრო ასრულებენ, ვიდრე საეკლესიოს, ასე შეცვლილია მიცვალებულთა მსახურების წესებიც. საზოგადოების ერთი ნაწილი მიცვალებულთა დაკრძალვის დროს გარეგნულ ეფექტებს უფრო აქცევს ყურადღებას, ვიდრე მიცვალებულის სულს. მთავარი კი ადამიანის სულია. სწორედ მიცვალებულთა სულისათვის ზრუნვა არის ქრისტიანის ვალი, ამიტომ ჩავთვალეთ საჭიროდ ამ საკითხებზე მოძღვარს გავსაუბრებოდით.

ჩვენს შეკითხვებს უპასუხებს თბილისის სიონის საკათედრო ტაძრის დეკანოზი **ზურაბ ანთაძე**

**- მამა ზურაბ, გარდაცვალებამდე მომაკვდავისათვის ახლობლებს რა დახმარების გაწევა შეუძლიათ?**

- პირველ რიგში უმთავრესი ავადმყოფის ზიარებაა. ადამიანისაგან აღსარების მიღება და მისი ზიარება შეიძლება მანამ, სანამ იგი ცოცხალია, სანამ მას პასუხის გაცემა სიტყვით თუ არა რაიმე მინიშნებით (ხელით ან თვალით) მაინც შეუძლია. თუ მომაკვდავი კონტაქტში ვეღარ შემოდის, უგონოდ არის, მაშინ მღვდელი აღსარებას ვერ მიიღებს. ამიტომ ახლობლები უნდა ეცადონ, მომაკვდავი მანამ აზიარონ, სანამ ასეთ მდგომარეობაში ჩავარდება. მათ უმეტეს, რომ ამაზე დიდს - როგორიც არის აღსარება და ზიარება,- ვერაფერს გაუკეთებენ. თუ ადამიანი სიკვდილის წინ გულწრფელად მოინანიებს ცოდვებს და ეზიარება, ეს მიანიშნებს, რომ ჩვენ უნდა გვქონდეს დიდი იმედი მისი სულის მარადისობაში, ღვთის სასუფეველში მოხვედრისა. ასევე, თუ ადამიანი ისე გარდაიცვალა, რომ არასოდეს უთქვამს აღსარება, არ ზიარებულა, შეიძლება ითქვას, არავითარი იმედი არ არსებობს მისი ცხონებისა. სიკვდილის წინ ერთი აღსარებითა და ზიარებით შეიძლება გადაწყდეს ადამიანის მარადიული ადგილსამყოფელი. ამიტომ ახლობლებმა მკურნალობასთან ერთად და, შეიძლება ითქვას, უწინარეს მკურნალობისა, უნდა იზრუნონ მომაკვდავის ზიარებაზე.

**- მომაკვდავს რა დროს ეკითხება სულთა ბრძოლის ლოცვები და თუ შეიძლება ეს ლოცვები ერისკაცმა წაიკითხოს?**

- სულთა ბრძოლის ლოცვები მომაკვდავს ეკითხება, როცა ის უგონოდ არის და მისგან აღსარების მიღებისა და ზიარების საშუალება არ არის. ამ დროს მღვდლის მოყვანის საშუალება თუ არ იქნება, ერისკაცსაც შეუძლია ამ ლოცვების წაკითხვა. თუ მომაკვდავი გონს მოვა, მაშინ სასწრაფოდ უნდა მოიყვანონ მღვდელი, რომ აღსარება მიიღოს და აზიაროს.

**- მიცვალებულს გარდაცვალების პირველ დღეს ესაჭიროება თუ არა პანაშვიდის გადახდა და რაიმე სხვა წესიც ხომ არ არის შესასრულებელი? პანაშვიდი სახლში სჯობს გადავიხადოთ, თუ ტაძარში?**

- პანაშვიდის გადახდა პირველ დღეს და საერთოდ, ყოველ დღეს არის კარგი, მაგრამ ეკლესიურად დადგენილია პანაშვიდის გადახდა გარდაცვალებიდან მე-3, მე-9 და მე-40 დღეს. პანაშვიდის გადახდა ტაძარში ხდება, მაგრამ მოძღვრის მოყვანის საშუალება თუკი არის, შეიძლება სახლშიც.

**- ხშირად მიცვალებულის წესის ასაგებად მოყვანილ მოძღვარს ოჯახის მონათლავ ბავშვებსაც ანათვლინებენ. ჩვენ ამ საკითხზე ადრეც ვისაუბრეთ, ამიტომ ახლა იმავეს აღარ გავიმეორებთ. უბრალოდ, გვაინტერესებს, დასაშვებია თუ არა ბავშვების სახლში მონათვლა?**

- დასაშვებია.

**- გარდაცვალების შემდეგ სულის მდგომარეობის შესახებ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვაგვარი წარმოდგენა აქვთ. უმეტესად ხალხი თვლის, თითქოს მიცვალებულის სული ორმოცამდე შინ რჩება და საიქიოში მერე მიემგზავრება. ეკლესიის აზრი სხვაგვარია. გთხოვთ, მოკლედ გაგვაცნოთ სხეულის დატოვების შემდეგ სულის მიერ გასავლელი გზა. ალბათ აქვე ასეთი კითხვაც უნდა დავსვათ: რატომ ვუხდით მიცვალებულს პანაშვიდს გარდაცვალებიდან მე-3, მე-9 და მე-40 დღეს?**

- მამათა სწავლებით, ადამიანის სული გარდაცვალების პირველ და მეორე დღეს იმ ადგილას იმყოფება, რაზეც მიწიერი ცხოვრების დროს იყო მიჯაჭვული: თუ ოჯახი უყვარდა, ოჯახში იქნება, განსაკუთრებულად თუ ეკლესია უყვარდა, ეკლესიაში იქნება, თუ მონასტერში ყოფნა ერჩია, მონასტერში იქნება. მე-3 დღეს სული მფარველ ანგელოზს აჰყავს ღვთის ტახტის წინაშე ღვთის თაყვანის საცემად. შემდეგი ექვსი დღე მფარველი ანგელოზი მას აჩვენებს ღვთის სასუფეველს და სამოთხეში წმინდანების ნეტარებას. მე-9 დღეს ანგელოზს სული ისევ ღვთის ტახტის თაყვანის საცემად აჰყავს. ამის შემდეგ 30 დღე ანგელოზი მას ჯოჯოხეთსა და იქ ცოდვილების ტანჯვა-წამებას აჩვენებს და ბოლოს, მე-40 დღეს მფარველ ანგელოზს სული ისევ ღვთის წინაშე აჰყავს, სადაც მისი პირველი განსჯა მოხდება. მეორე განსჯა კი იესო ქრისტეს მეორედ მოსვლის შემდეგ, საშინელ სამსჯავროზე მოხდება. თუ მე-40 დღეს, პირველი განსჯის დროს ადამიანის სული ღვთის სასუფეველში მოხვდება, საშინელი სამსჯავროს დროს აღარ განისჯება და იესო ქრისტეს მეორედ მოსვლის დროს ანგელოზებისა და წმინდანების დასში იქნება, რომლებიც კაცობრიობის განსახჯელად ქრისტესთან ერთად

მოვლენ. აქედან უკვე ჩანს, რომ გარდაცვალებიდან მე-3, მე-9 და მე-40 დღეს მიცვალებულებს წირვებსა და პანაშვიდებს ვუხდით, რათა მის სულს ლოცვით დავეხმაროთ.

გარდაცვალების შემდეგ ადამიანის სული საზვერეებს გაივლის, სადაც ყოველ ცოდვაზე ეშმაკებისაგან გამოიკითხება და გამოიცდება. ზოგიერთის ვარაუდით, როცა ანგელოზი 30 დღის განმავლობაში სულს აჩვენებს ჯოჯოხეთს, საზვერეების გავლაც მაშინ ხდება.

**- საქართველოში წინათ მიცვალებულს მე-3 დღეს ასაფლავებდნენ. ახლა კი ამ წესს თითქმის არ იცავენ. აქვს თუ არა მნიშვნელობა, როდის დავასაფლავებთ მიცვალებულს?**

- ქრისტიანული წესით, მიცვალებული რაც შეიძლება მალე უნდა მიბარდეს მიწას. სულისათვის კი როგორც უკვე ზემოთ ვთქვით, საჭიროა განსაკუთრებული ლოცვა. ეკლესიურად ყველაზე სწორია მე-3 დღეს დასაფლავება. მიცვალებულის ამდენი ხანი გაჩერება, რაც ჩვენთან არის მიღებული, ქრისტიანული არ არის, არის წარმართული, სხეულის თაყვანისცემაა. ამ დროს მიცვალებულის სულზე საერთოდ არ ზრუნავენ. მიცვალებული მე-3 დღეს თუ არა, მე-4 დღეს მაინც უნდა დავასაფლავოთ.

**- რომელ დღეს არ შეიძლება მიცვალებულის დასაფლავება?**

- რამდენადაც მე ვიცი, მიცვალებულს არ ასაფლავებენ აღდგომა დღეს. დანარჩენ დღეებში, თუნდაც დიდ საეკლესიო დღესასწაულებზე, დასაფლავება დასაშვებია.

**- რომელ დღეს უნდა ავუგოთ მიცვალებულს წესი?**

- წესი მიცვალებულს აეგება დასაფლავების დღეს, მაგრამ თუ სოფელში მიასვენებენ, სადაც მღვდელი არ არის, წესის აგება ადრეც შეიძლება.

**- რატომ ვუგებთ მიცვალებულს წესს?**

- წესის აგების ძირითადი აზრი არის მიცვალებულისათვის შენდობის ბოლო ლოცვის წაკითხვა. დავუშვათ, ადამიანი იყო მორწმუნე, ალსარებებს ამბობდა, ეზიარებოდა, სიკვდილის წინაც რამდენიმე დღით ადრე ეზიარა და ბოლო აღსარების შემდეგ რაღაც ცოდვა კიდევ გაახსენდა, რომელსაც გულში ნანობდა, განიცდიდა და ამ ცოდვის მონანიებაც უნდოდა, მაგრამ ისე გარდაიცვალა, რომ მისი აღსარებაში თქმა ვერ მოასწრო. ამიტომ ეკლესიამ დააწესა მიცვალებულზე ბოლო შენდობის ლოცვის წაკითხვა - წესის აგება, ე.ი. ამ დროს მიცვალებულს მიეტევება ის ცოდვები, რომლებზეც გულში ნანობდა და სიკვდილის გამო აღსარებაში თქმა ვერ მოასწრო.

**- შეიძლება თუ არა მიცვალებული წესის აგების გარეშე დავასაფლავოთ? რა დროს იკრძალება წესის აგება?**

- წესის აგება შესრულება არ შეიძლება, თუ ადამიანი, პირველ რიგში, არ იყო მონათლული, ან თავი მოიკლა. ასევე არ შეიძლება წესის აგება, თუ ადამიანი დიდი ცოდვის დროს გარდაიცვლება ყაჩაღობის დროს, მრუშობის დროს, ნარკოტიკის ან ბევრი სასმელის მიღების გამო. წესის აგება არ შეიძლება ჯადოქრებზე, მკითხავებზე, და იმათზე, ვინც თავს კანონიერ ქორწინებას უწოდებს.

**- თუ შეიძლება წესის აგება თვითმკვლელზე, რომელიც სულიერად იყო დაავადებული?**

- შეიძლება.

**- წესის აგების გარეშე დასაფლავებულ მიცვალებულებს წლების შემდეგ თუ შეიძლება ავუგოთ წესი?**

- შეიძლება.

**- დასაფლავებამდე მიცვალებულს თავთან უდებენ სანთელს, კანდელს და ასევე პატარა ჯამით ხორბალს, ზეთსა და ღვინოს. რა არის ამ დროს აუცილებელი? როგორია ეკლესიური წესი?**

- მიცვალებულს სჭირდება მხოლოდ კანდელი ან სანთელი, ან ორივე ერთად. მეტი არაფერი არ არის საჭირო.

**- ხალხში დაწესებულია მიცვალებულთან დაკავშირებით რაღაც აკრძალვები. მაგალითად, პანაშვიდზე მისვლას და სასაფლაოზე გასვლას უკრძალავენ ფეხმძიმე ქალს, არის თუ არა ეს აკრძალვა სწორი?**

- ეს აკრძალვა არ არის ეკლესიური. ზოგიერთ ადამიანს აქვს მიცვალებულის შიში. ამიტომ ფეხმძიმე ქალს რომ არ შეეშინდეს და ამან მუცლის მოშლა არ გამოიწვიოს, არ აძალებენ პანაშვიდსა და დასაფლავებაზე მისვლას.

**- ხალხში არის კიდევ ერთი უცნაური წესი, დასავლეთ საქართველოში როგორც კი გარდაიცვლება ადამიანი, მას ცოცხალივით უდგამენ საჭმელს. ეს გრძელდება ორმოცამდე. ოჯახში რასაც ამზადებენ, თითო ლუკმას უდებენ მიცვალებულს თეფშზე. მერე ოჯახის რომელიმე წევრი - მეუღლე ან შვილი შეჭამს. რას გვეტყოდით ამის შესახებ?**

- ეს არაეკლესიური და არასწორი ჩვეულებებია, რომლებიც სათავეს წარმართული წეს-ჩვეულებებიდან იღებს. ამ წესების შესრულება არ არის საჭირო, მიცვალებულის სულს ვერაფერს უშველის, პირიქით, თუ არ დაამძიმებს.

**- მიცვალებულს დასაფლავებამდე ყინულში ათავსებენ ან სპეციალური ქიმიური საშუალებებით აბალზამირებენ. არის თუ არა ეს ეკლესიურად გამართლებული?**

- ეს არ არის აკრძალული, ისე უმჯობესია ბალზამის გარეშე. ეს ყველაფერი იმიტომ კეთდება, რომ მიცვალებულს დიდხანს არ ასაფლავებენ. თუ მე-3 დღეს დაასაფლავებენ, არც ბალზამი და არც ყინული არ იქნება საჭირო.

**- გარდაცვალების შემდეგ საჭიროა თუ არა მიცვალებულის დაბანა-დასუფთავება?**

- საეკლესიო წესით გარდაცვალების შემდეგ მიცვალებულს სჭირდება განბანა, ეს ხდება წყლითა და ჩერით.

**- ხშირად მიცვალებულის ნაბან წყალსა და საპონს სხვადასხვა წამლისათვის იყენებენ. როგორ შეაფასებდით ასეთ ქმედებას?**

- ეს ყოვლად დაუშვებელია. ეს არის ჯადოქრობა!

**- დასაფლავებამდე ზოგან მიცვალებულის ოჯახის წევრები და ახლობლები იცავენ მარხვას, ბრწყინვალე შვიდეულშიც რომ იყოს მარხვის დაცვა სავალდებულოა. ამ წესს ქალები უფრო მკაცრად იცავენ. დასაფლავების დღეს მიცვალებულს დილით ადრე ოჯახის წევრები უკეთებენ საკურთხს - სახსნილოს. ამას ზოგან ხელის გახსნას ეძახიან, ზოგან კი სულის გახსნას. წესის აგების შემდეგ მოძღვარს ამ საკურთხსაც აკურთხებინებენ და ოჯახის წევრები ახლობლებთან ერთად იხსნილებენ. თუ მარხვაა, სამარხვო**

**საკურთხს აკეთებენ და სახსნილოს გახსნილების შემდეგ გააკეთებენ. ამ საკურთხის გაკეთებამდე მარხვას დაიცავენ. რამდენად სწორია ეს წესი?**

- ეს არაეკლესიური წესია და მიცვალებულის სულისათვის არავითარი მნიშვნელობა აქვს.

**- რა უნდა ჩავატანოთ მიცვალებულს? ხალხში გავრცელებული წესით უმეტესად ატანენ თითქმის ყველა საჭირო ნივთს. ატანენ ოქროსაც და ცოტა ფულსაც. როგორია საეკლესიო წესი?**

- მიცვალებულისათვის ჩატანების წესი თავიდან ბოლომდე წარმართულია. წარმართული ცრურწმენებით მიცვალებულს ჩაატანდნენ ტანსაცმელს, საჭმელს, რომ ვითომ მას საიქიოს გზაზე ეს ყველაფერი დასჭირდებოდა. სინამდვილეში კი სულს მატერიალური არაფერი აღარ სჭირდება. ესაჭიროება მხოლოდ ლოცვა და მის სახელზე გაცემული მოწყალება.

**- ცალკე საკითხია მიცვალებულის სახელზე საკურთხის გაკეთება, რომელიც რაღაც რიტუალს ნაშობვავს. საკურთხს აკეთებენ დილით, 12 საათამდე. საკურთხი კეთდება შაბათ დღეს. ის დღე ოჯახისათვის უქმეა. რა საჭმელიც მიცვალებულს უყვარდა არ იყოწყობენ. ყველაფერს მაგიდაზე ერთად დააწყობენ, აანთებენ სანთლებს და აკმევენ საკმეველს. ოჯახის ყველა წევრი თუ სტუმარი სათითაოდ აკმევს და სთხოვს უფალს მიცვალებულის ცხონებას, რას გვეტყოდით ამის შესახებ?**

- ასეთი რიტუალით საკურთხის გაკეთება არცერთ საეკლესიო წიგნში არ არის მინიშნებული. ასე, რომ ამ წესების დაცვა სრულებით არ არის აუცილებელი. საკურთხის ძირითადი აზრი არის ის, რომ მიცვალებულის სახელზე დარიგდეს საჭმელი. როგორც ზემოთ ვთქვით, მიცვალებულის სულს ძალიან ეხმარება მის სახელზე გაცემული მოწყალება.

**- ორმოცამდე მიცვალებულის ნივთებს არ გასცემენ. ორმოცამდე მისი ნივთების ხელის ხლება არ შეიძლებაო, ამბობენ. ასეთ შემთხვევაში როგორ უნდა მოვიქცეთ?**

- საეკლესიო წესით, პირიქით, ორმოცამდე უნდა დარიგდეს მიცვალებულის პირადი ნივთები, ტანსაცმელი. მიცვალებულის სახელზე ორმოცამდე გაკეთებულ მოწყალებას ღმერთი მე-40 დღეს, განსჯის დროს მიცვალებულის სულს ჩაუთვლის და მეტად შეიწყალებს. ასე, რომ ზუსტად ორმოცამდე უნდა ვეცადოთ მოწყალებაში გავცეთ მიცვალებულის პირადი ნივთები.

**- ხალხში არის კიდევ ერთი სათაცარი წესი, ერთ წელიწადში თუ ოჯახიდან 2 მიცვალებული წავა, მეორის დასაფლავების წინ საფლავში ქათამს კლავენ. ქათამი მიცვალებულის სქესის შესაბამისად შეირჩევა.**

- ეს არის წარმართობა და ჯადოქრობა.

**- დასაფლავებიდან მე-3 დღეს მიცვალებულის ახლობლები სასაფლაოზე გადიან. რას უკავშირდება ეს წესი და არის თუ არა აუცილებელი?**

- ჭირისუფალს სასაფლაოზე გასვლა შეუძლია ნებისმიერ დღეს, მაგრამ განსაკუთრებული მე-9 და მე-40 დღეებია.

**- მიცვალებულის სულის მოსახსენებლად აუცილებელია თუ არა ცხვრის დაკვლა? დასავლეთ საქართველოში ქელეხში ცხვარს არ კლავენ, მაგრამ თვლიან, რომ წლისთავამდე 3 ცხვარი უნდა დაიკლას. რას იტყოდით ამის შესახებ?**

- არავითარი ასეთი წესი ეკლესიაში არ არსებობს.

**- მიცვალებული თუ არ იყო მორწმუნე, შეიძლება თუ არა წაეკითხოს ფსალმუნები?**

- მიცვალებული თუ მორწმუნე არ იყო, თუ ღმერთი არ სწამდა, ნამდვილი წესით, მას არც წესი აეგება, არც ლოცვები და თავისთავად, არც ფსალმუნები არ წაეკითხება.

**- რომელია მიცვალებულთა მოსახსენებელი დღეები? ხალხი თავისებურად აღნიშნავს მიცვალებულთა დღეებს. საკურთხს აკეთებენ დიდ საეკლესიო დღესასწაულებზე. მაგ.: ფერისცვალებას, მარიამობას, ღვთისმშობლობას, გიორგობას, მთავარანგელოზობას, შობასაც. ახალგარდაცვალებულს ზოგან ყოველ მე-3 შაბათს უკეთებენ საკურთხს, მაგრამ არც პანაშვიდს უხდიან და არც ეკლესიაში მიდიან. ზოგჯერ საეკლესიო წესებსაც იცავენ და ხალხში დამკვიდრებულ ჩვეულებებსაც. რას გვეტყოდით ამის შესახებ?**

- მიცვალებულთა მოხსენიების დღეა ყოველი შაბათი. მაგრამ ეკლესიაში არის დაწესებული 5 განსაკუთრებული დღე: 1. ხორციელის შაბათი, დიდი მარხვის წინ ბოლო შაბათი, როდესაც ხორცის ჭამა შეიძლება. შემდეგი 3 დღეა დიდი მარხვის მე-2, მე-3 და მე-4 შაბათები და მე-5 დღეა - სულთმოფენობის წინა დღე - სულთაობა. დანარჩენ ზემოთ ჩამოთვლილ დიდ საეკლესიო დღესასწაულებზე მიცვალებულთა განსაკუთრებული მოხსენიების დღეები არ არის და ამიტომ საკურთხის გაკეთება არ არის საჭირო. რაც შეეხება ხალხში გავრცელებულ არასწორ, არაეკლესიურ წესებს, მათი შესრულება არ არის სწორი და ამდენად, არ არის საჭირო. აუცილებელია მიცვალებულთა მოხსენიების ეკლესიაში დადგენილი წესების შესრულება.

**- მამა ზურაბ, თქვენ ბრძანეთ, რომ მიცვალებულთა მოსახსენებელი დღე ხუთია. არაფერი გითქვამთ დიმიტრის შაბათსა და ბრწყინვალე შვიდეულის ორშაბათზე. ზოგი ამ დღეებს თომას კვირის სამშაბათსაც უმატებს. ჩვენი ეკლესია და მორწმუნე ერი ამ დღეებს, როგორც მიცვალებულთა მოსახსენიებელ დღეებს, განსაკუთრებულად აღნიშნავს.**

- ამ დღეების, როგორც მიცვალებულთა მოსახსენიებელი დღეების აღნიშვნა რუსული ეკლესიიდან შემოვიდა. დიმიტრის შაბათი დაწესდა იმის შემდეგ, რაც რუსეთის ჯარმა დიდი გამარჯვება იზეიმა კულიკოვოს ველზე, დიმიტრი დონსკოის მეთაურობით. ამის შემდეგ რუსეთში დააწესეს დიმიტრის შაბათი, რათა მოეხსენიებინათ კულიკოვოს ველზე დაღუპული რუსი მეომრები. თომას კვირის შემდეგი სამშაბათიც რუსული ტრადიციით არის დაწესებული. ბრწყინვალე შვიდეულში მიცვალებულთა მოხსენიება არ ხდება და უკრაინის ეკლესიებში მიცვალებულთა მოხსენიება თომას კვირის შემდეგ ორშაბათს დააწესეს, რუსულ ეკლესიებში კი - სამშაბათს. რუსული ეკლესიის გარდა არცერთი სხვა ადგილობრივი ეკლესია მიცვალებულთა მოსახსენიებელ ამ ორ დღეს არ აღნიშნავს და აღნიშნავს მხოლოდ 5 დღეს.

**- ზოგიერთ კუთხეში მიცვალებულის ორმოცზე მღვდელი აუცილებლად სახლში მიჰყავთ. მღვდელს აკურთხებ-**

ნებენ საკურთხს, მიცვალებულის საწოლსა და ტანსაცმელს. ამის შემდეგ აშლიან საწოლს, მანამდე მისთვის ხელის ხლება არ შეიძლება. რას გვეტყოდით ამის შესახებ?

- ასეთი წესი ეკლესიაში არ არსებობს.

**- მიცვალებულის სახლიდან გამოსვენების დროსაც რაღაც რიტუალები სრულდება. მაგ.: კარების ჩაკეტვა, მერე სამჯერ კარზე დაბრახუნება; ოჯახის უფროსის გარდაცვალების შემთხვევაში ზოგან ფანჯრის მინას ტეხენ, ზოგან ხეს ჭრიან. მერეც, ეზოში თავისებური რიტუალები სრულდება, ზოგან მიცვალებულს სახლის ირგვლივ შემოატარებენ, ცეცხ-თამაშოთა და სიმღერით წაასვენებენ ოჯახიდან. როგორ ფიქრობთ, რა უდევს საფუძვლად ამ წესებს?**

- ეს ყველაფერი ჰგავს ცრურწმენას და ზოგი კი აშკარად წარმართულია. მართლმადიდებელი ქრისტიანის დასაფლავების დროს ამ წესების შესრულება არ შეიძლება.

**- მიცვალებულისათვის დაბადების დღის აღნიშვნა თუ არის დასაშვები?**

- მიცვალებულის დაბადების დღეს შეიძლება პანაშვიდის გადახდა, სასაფლაოზე წასვლა და მოწყალების გაცემა, თუმცაც გაზვიადებული ხალხის დაპურება.

**- ბრწყინვალე შვიდეულში გარდაცვალებულს წესის აგება და პანაშვიდის გადახდა განსხვავებულად ესაჭიროება. როგორ სრულდება ეს წესები?**

- ბრწყინვალე შვიდეულში მიცვალებულთა მოხსენიება წირვაზე ხდება მხოლოდ კვეთაში, პანაშვიდის გადახდა კი არ ხდება. მიცვალებულს წესი აეგება განსხვავებული ტიპიკონით, რომელიც მხოლოდ ბრწყინვალე შვიდეულისათვის არის დამახასიათებელი.

**- თუ აღდგომას ან თორმეტ დღესასწაულს დაემთხვევა გარდაცვალების მე-3, მე-9 და მე-40 დღე, პანაშვიდი უნდა გადავიხადოთ თუ არა?**

- აღდგომას პანაშვიდს არ იხდიან, ათორმეტ დღესასწაულზე კი შეიძლება.

**- მიცვალებულის წლისთავის გადახდა არის თუ არა აუცილებელი? იმავე დღეს უნდა გადავიხადოთ, თუ შეიძლება გადაცილება?**

- წლისთავის გადახდა შეიძლება ზუსტად გარდაცვალების დღეს, მაგრამ ასევე შეიძლება ადრე ან ცოტა მოგვიანებითაც.

**- აღდგომას ხალხი რატომღაც მიცვალებულთა დღესასწაულად აღიქვამს და ამიტომ სასაფლაოზე გასვლას უპირველეს საქმედ თვლიან. არის თუ არა აუცილებელი სასაფლაოზე გასვლა და თუ არის, რომელ დღეს არის უმჯობესი?**

- აღდგომა არის როგორც ცოცხალთა, ისე გარდაცვლილ მართლმადიდებელ ქრისტიანთა დღესასწაული. როგორც ჩვენ, ცოცხლები ვდღესასწაულობთ აღდგომის დღეს, ასევე დღესასწაულობენ გარდაცვლილი მართლმადიდებელი ქრისტიანებიც. იმიტომ გავდივართ სასაფლაოზე, რომ ჩვენს მიცვალებულებს მივულოცოთ აღდგომა, ვუგალობოთ „ქრისტე აღსდგა" და სხვა საგალობლები. აღდგომის შემდეგ ბრწყინვალე შვიდეულის ყოველი დღე აღდგომის ტოლფასია. ამიტომ სასაფლაოზე გასვლა შეგვიძლია როგორც აღდგომა დღეს, ასევე ბრწყინვალე შვიდეულის ნებისმიერ დღეს.

**- აღდგომა დღეს სასაფლაოზე რომ გადის ხალხი, იქ პურ-მარილი მიაქვთ და სუფრებს შლიან, ფაქტიურად ლხინი იმართება, რას გვეტყოდით ამის შესახებ?**

- სასაფლაოზე პურ-მარილის გამართვა არ არის სწორი. ლხინი საერთოდ არის უხამსობა და მიცვალებულთა უპატივცემულობა, რაც ამძიმებს კიდეც მათ სულებს.

**- როდის არის საჭირო სასაფლაოების კურთხევა?**

- სასაფლაო იკურთხება წესის აგების დროს. პანაშვიდის გადახდა კი სასაფლაოზე ყოველთვის შეიძლება.

**- მე-40 დღის პანაშვიდი დასაშვებია თუ არა შესრულდეს 39-ე დღეს, თუ მე-40 დღე ისეთ დღეს ემთხვევა, როდესაც მიცვალებულთა მსახურება არ ხდება?**

- ორმოცი დღის განმავლობაში პანაშვიდი შეიძლება ყოველ დღე შესრულდეს, მაგრამ მე-40 დღეს თუ ცილებელია წირვაში მოხსენიება და პანაშვიდის გადახდა.

**- არის თუ არა აუცილებელი ქელეხის გადახდა?**

- მიცვალებულის სახელზე ხალხის დაპურება ან როგორც ჩვენში ეძახიან, ქელეხის გადახდა აუცილებელია. ეს არის უძველესი წესი, რომელიც ძველი აღთქმიდან მომდინარეობს. მხოლოდ სუფრა უნდა იყოს ხანმოკლე და ქეიფში არ უნდა გადაიზარდოს.

**- რამდენიმე ადგილას წავიკითხე და ცალკე, ბროშურადაც არის გამოცემული გრიგოლ სომეხთა განმანათლებლის კითხვა-პასუხი, ანგელოზთან. ჩემი ყურადღება ერთმა პასუხმა მიიპყრო: „[შეჭვეთილი წირვა] შთახდების ფსკერსა ჯოჯოხეთისასა და აღმოიყვანს ზემოთ სულსა ცოდვილისასა და განაბრწყინებს მზებრ, უკეთუ გულსავსედ და წმიდად წიროს მღვდელმან". როგორ გავიგოთ ეს ნათქვამი? მღვდელზეა დამოკიდებული მიცვალებულის ცხონება?**

- მართლმადიდებელი მიცვალებულისათვის წირვაში მოხსენიება არის უდიდესი დახმარება, მაგრამ თუ ადამიანი სიცოცხლეში არ ცხოვრობდა ქველსიურად, რაც არ უნდა დიდი გულმოდგინებით წიროს მღვდელმა, ვერაფერს უშველის.

**- მამა ზურაბ, დიდი მადლობა საინტერესო საუბრისათვის.**

რუბრიკას უძღვება ნინო ქვანტალიანი





# ბერმუხა

ქართული ენათმეცნიერების ბერმუხას, მის ერთ-ერთ გამოჩენილ წარმომადგენელს, ბატონ ლეო კვაჭაძეს 90 წელი შეუსრულდა. ქართული ენისა და მისი სწავლების მეთოდიკის მკვლევარი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სკოლის დამსახურებული მასწავლებელი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი...

ბატონი ლეო XX საუკუნის საქართველოს ისტორიის ყველა ქარტეხილს შესწრებია, ყველა მისი სატკივარი გულით გაუთავისებია. სიმწარეც ბევრჯერ უწვნევია: საქართველოს დამოუკიდებლობაზე მეოცნებე სვანი ჭაბუკი პირველად სკოლის მოსწავლე დააპატიმრეს. ხშირი იყო გამომძიებელთა „გულთბილი" დაკითხვები, უმრავლესობისაგან განაპირება.

გაგრის ტრაგედიამ მშობლების საძვალეებს ახლიბელთა ძვირფასი საფლავებიც დაამატა, მისი ბინა დევნილთა თავშესაფრად აქცია...

ყოველივე ამის მიუხედავად, ბატონმა ლეომ არ დაკარგა რწმენა, მომავლის იმედი, ადამიანებისადმი სიყვარული, სითბო, სიკეთის თესვის მადლი.

ბატონმა ლ. კვაჭაძემ გასაოცარი რუდუნებით შექმნა არაერთი ნაშრომი, რომელთაგანაც ყველაზე ფასეულია ფუნდამენტური გამოკვლევა „ქართული ენა" (მორფოლოგია და სინტაქსი). ამ წიგნში ვერ შეხვდებით დაუხვეწავ, გაუმართავ თუნდაც ერთ ფრაზას. ყველაფერი სადად, მარტივად, გასაგებადაა გადმოცემული.

სწორედ ამის გამო შეიყვარა ბევრმა „ქართული ენა", მასზე აღიზარდა არაერთი თაობა; იგი ყოველი ჩვენგანის სამაგიდო წიგნიცაა.

შესაშურია, რომ ცხრა ათეულ წელს გადაცილებული პედაგოგი და მეცნიერი დღესაც ახალგაზრდული ენერგიით ატარებს ლექციებს. ნიშანდობლივია ისიც როგორ ერთნაირად უყვართ სტუდენტებს, ახალგაზრდებს, კოლეგებსა თუ ნაცნობებს.

ვუსურვებ მხცოვან მეცნიერს კიდევ დიდხანს ეტარებინოს ეს დიდი, რთული და მძიმე, მაგრამ ფრიად საპატიო მისია. კვლავ გაუტეხლად, შეურხევლად და მყარად იდგეს მშობლიურ მიწაზე.

ვახტანგ მაღრაძე

## ახალი წიგნები










# იდღეგრძელეთ, ბატონო ნოდარ!



ქართული ენის წინაშე მდგარი პრობლემები დღითიდღე იზრდება. მხოლოდ სამთავრობო ღონისძიებათა იმედზე ყოფნა ამ პრობლემებს ვერ შველის; თუ ყოველმა ჩვენგანმა ჩვენი წილი პასუხისმგებლობა არ გააიაზრეთ და, შესაბამისად, რაიმე არ ვიღონეთ, დადგება დრო, როცა დიდი სურვილის შემთხვევაშიც კი წამხდარ საქმეს ველარ ვუშველით...

ასე ფიქრობდა ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოება, როცა გადაწყვიტა, დაეარსებინა პერიოდული ბეჭდვითი ორგანო „ბურჯი ეროვნებისა". ჩვენი აზრით, ეს იქნებოდა ტრიბუნა, საიდანაც შეგვეძლებოდა ჩვენი სათქმელის ხმამაღლა თქმა, შეძლებისდაგვარად ჩვენი წილი საქმეების კეთება; ვიბრძოლებდით ქართული ენის სიწმინდის დაცვისთვის; წინ აღვუდგებოდით დედაენის წინააღმდეგ მიმართულ გაცნობიერებულ თუ გაუცნობიერებელ ღონისძიებებს; პოპულარიზაციას გავუწევდით ქართული სალიტერატურო ენის ნორმებს; პატივს მივაგებდით დედაენისთვის თავდადებულთა ღვაწლს; მხარში დავუდგებოდით ჩვენს სკოლას...

დიახ, გაჩნდა ასეთი სურვილი; და ჩვენ, პროფესიონალი ფილოლოგები, ვინც იმ დღემდე გაზეთის მხოლოდ მკითხველები ვიყავით, გაზეთის შექმნაზე დავფიქრდით. ვიცოდით, რომ პური მეპურეს უნდა გამოეცხო; არ ვიყავით ის ხალხი, ამ ანდაზას რომ დაივიწყებდა... მოკლედ, პროფესიონალი




ჟურნალისტის თანადგომა გვჭირდებოდა და თსუ ჟურნალისტიკის ფაკულტეტს მივაშურეთ. ბატონმა ნოდარ ტაბიძემ გულდასმით მოგვისმინა, მრავალი საყურადღებო რჩევა მოგვცა და იმჟამად გაზეთ „თბილისის" რედაქტორის მოადგილეს იოსებ ჭუმბურიძეს ესაუბრა, ჩვენთან თანამშრომლობა სთხოვა. ამით, ცხადია, თავიდან არ მოვუშორებივართ...

1995 წლის ივლისში გამოვიდა ყოველთვიური გაზეთის „ბურჯი ეროვნებისას" პირველი ნომერი. 1998 წლის იანვრიდან ჟურნალად გადავაკეთეთ „ბურჯი ეროვნებისა". ბატონი ნოდარი გულდასმით ეცნობოდა ყოველ ნომერს. ადამიანებს, როგორც ჩანს, არცთუ უადვილდებათ ობიექტური საქებარი სიტყვების თქმა: ხშირად დუმილს არჩევენ, ანდა შენიშვნებისა და ავის თქმა ურჩევნიათ... ბატონ ნოდარს არც შენიშვნები დაუკლია, მაგრამ არც საქებარი სიტყვები დაუნანებია. ზოგჯერ ვგრძნობდით, რომ ეს საქებარი სიტყვები უფრო წახალისება იყო, მომავალი სასიკეთო საქმეების კეთების სურვილის განმტკიცება... ასე გრძელდებოდა წლობით და გრძელდება დღესაც.

ხუთი წლის რომ გახდა ჩვენი ჟურნალი, ერთ-ერთ გაზეთში ასეთი წერილი დაიბეჭდა: „ბურჯი ეროვნებისა" - ეროვნული ცნობიერების ღირსეული მცველი". თუ ჩვენმა საქმიანობამ ჩვენს მკითხველს ასეთი შთაბეჭდილება შეუქმნა, თუ ჩვენს ჟურნალს პატივს სცემენ, ამას დიდად ვუმადლით ბატონ ნოდარს.

მისი რჩევები, მისი შენიშვნები, მისი თანადგომა დიდხანს და დიდხანს არ მოაკლებოდეს „ბურჯი ეროვნებისას".



# თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აბიტურიენტთა საყურადღებოდ

**წინამდებარე ინფორმაცია გამოქვეყნდა პერიოდულ პრესაში, მაგრამ ვითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ პერიოდული პრესა ვერ აღწევს ყველა დაინტერესებულ პირამდე, განმეორებით ვთავაზობთ მას.**

2001 წელს წერითი გამოცდა ქართულ ენასა და ლიტერატურაში ჰუმანიტარულ ფაკულტეტებზე შემომსვლელ აბიტურიენტთათვის ჩატარდება შემდეგი ფორმით:

წერით გამოცდაზე მათ მიეცემათ ორი საკითხი. ამათგან.

პირველი არჩევითია - ორი დასახელებული თემიდან აბიტურიენტი ირჩევს ერთ-ერთს. საგამოცდო თემატიკა შეირჩევა საპროგრამო მასალის მიხედვით და გულისხმობს, როგორც ცალკეულ ნაწარმოებთა განხილვას, ასევე მათი საერთო პრობლემატიკისა თუ მხატვრული თავისებურებების ანალიზს, ცალკეული პერსონაჟის დახასიათებასა და სხვა.

მეორე საკითხად გათვალისწინებულია 10-პუნქტიანი ტესტი. ტესტის პირველი ექვსი პუნქტის მეშვეობით მოწმდება ლიტერატურული მასალის ცოდნა ქართული მწერლობის სამივე პერიოდიდან. დანარჩენი ოთხი პუნქტი მართლწერის საკითხებს მოიცავს.

აბიტურიენტს მოეთხოვება წერილობითი ფორმით სრული პასუხი გასცეს ტესტის თითოეულ პუნქტს.

## ᲡᲐᲒᲐᲛᲝᲪᲓᲝ ᲑᲘᲚᲔᲗᲘᲡ ᲜᲘᲛᲣᲨᲘ

### ᲰᲣᲛᲐᲜᲘᲢᲐᲠᲣᲚ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲖᲔ ᲨᲔᲛᲡᲕᲚᲔᲚᲗᲐᲗᲕᲘᲡ:

I. აირჩიეთ თემა:

1) XII საუკუნის ქართული სინამდვილე და „ვეფხისტყაოსანი".

2) გიორგი I - მეფე და მიჯნური.

II. უპასუხეთ კითხვებს:

1) სად იყო იაკობ ხუცესი, როდესაც გამაზდეანებულივარსქენი ცურტავში ბრუნდებოდა და დედოფალმა შუშანიკმა სასახლე მიატოვა?

2) ვის ეკუთვნის ტარიელის შემდეგ სიტყვები: „ცოცხალ ვიყო, შენ ინდოეთს, ღმერთო, ხანი ვერა დაჰყო"!...

3) სად დაიწყო მუშაობა პეტერბურგიდან ახლადდაბრუნებულმა ილია ჭავჭავაძემ?

4) დაასრულეთ სტროფი: „წინ მომიგებენ ღიმილით"...

5) რა ერქვა თავსაფრიანი დედაკაცის მეუღლეს?

6) რომელი პოეტის ლექსში ხმიანდება პერიფრაზი რუსთაველის სტრიქონებისა: „მოწყურვილ იყო ზაფხული,

ქვეყნად ამოსვლა მწვანისა"...?

7) შემოხაზეთ სწორი ფორმა: ა) ლევანმა გაანალიზა.

ბ) ლევანიმ გააანალიზა.

გ) ლევანმა გააანალიზა.

8) შეარჩიეთ და ჩასვით სწორი ფორმა:

სურდა, რომ ყველაფერი...

(ქონოდა, ჰქონოდა, ჰქონებიყო)

9) გაასწორეთ წინადადება: დავითმა მიჰყვა თავის თავგადასავალი.

10) ხაზი გაუსვით სწორ ფორმას: შევათავსეინებ, შევათავსებინებ, შევათავსევინებ.

*P.S.* ***საბუნებისმეტყველო და ეკონომიკურ ფაკულტეტებზე გამოცდა ჩატარდება ტრადიციული ფორმით - აბიტურიენტი სამი პროგრამული თემიდან (ერთი განხილვა, ორი შინაარსი) ირჩევს ერთ-ერთ მათგანს.***

ქართული ენისა და ლიტერატურის წერით გამოცდაზე ინდივიდუალური ტესტის იმ პუნქტის შესასრულებლად, რომლის მოთხოვნაა „დაასრულეთ სტროფი", საზეპირო მონაკვეთები მოხმობილი იქნება XIX-XX საუკუნეების საპროგრამო ლირიკული ლექსებიდან.

ამგვარი მოთხოვნა, რა თქმა უნდა, არ გამორიცხავს ეპიკურ ქმნილებათა საზეპირო მონაკვეთების ცოდნას, რის გარეშე, ბუნებრივია, გაძნელდება ნაწარმოების (არჩეული თემის) საფუძვლიანი გაანალიზება. ამასთანავე, ეპიკური პოეზიიდან ინდივიდუალურ ტესტებში შევა კითხვები, რომელთა მეშვეობითაც შემოწმდება ტექსტის ცოდნა და მისი მხატვრული გააზრება.

ᲛᲘᲜᲓᲘᲐ ᲙᲝᲑᲘᲡᲘᲐ

## ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲘᲒᲜᲘ




წიგნი შეგიძლიათ შეიძინოთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (I კორპ. 130-ე ოთახი); „ბურჯი ეროვნებისას" რედაქციაში (პ. ინგოროყვას 8, 403-ე ოთახი).





